

АКАДЕМИЯ НАУК СССР — ს. ს. რ. კ. მშობნიერებათა აკადემია
Институт Кавказоведения им. акад. Н. Я. Марра
აკად. ნ. ი. მარრის სახელობის კავკასიის მცოდნეობის ინსტიტუტი

OK 559
3

იან. ლორქიპანიძე

ქ ვ მ მ რ ქ ა რ თ ზ ი

I და II

იან. ლორქიპანიძე

НИЖНЯЯ КАРТИЯ

I и II

10691-5102 5.R

თქ 559
3

ქვემო ქართლი

მე XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში

НИЖНЯЯ КАРТЛИЯ

В ПЕРВОЙ ЧЕТВЕРТИ XVIII СТОЛЕТИЯ



А К А Д Е М И Я Н А У К С С С Р
НАУЧНО-ИССЛЕДОВАТЕЛЬСКИЙ ИНСТИТУТ КАВКАЗОВЕДЕНИЯ
им. акад. Н. Я. Марр

Яс. ЛОРДКИПАНИДЗЕ

НИЖНЯЯ КАРТЛИЯ В ПЕРВОЙ ЧЕТВЕРТИ XVIII СТОЛЕТИЯ

Части I и II

ИССЛЕДОВАНИЕ ИСТОЧНИКОВ
и
ГЕОГРАФИЧЕСКИЕ СВЕДЕНИЯ

З А К Г И З
ИЗДАТЕЛЬСТВО «ТЕХНИКА да ШРОМА» — 1935

ს.ს.რ.კ. მეცნიერებათა აკადემია
აკადემიკოსის ნ. ი. მარჩის სახელობის
ქავკასიის მცოდნეობის ინსტიტუტის საკვლევო ინსტიტუტი

იან. ლორთქიფანიძე

ქ ვ ე მ რ ქ ა რ თ ლ ი
მე XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში

ნაწილი I და II

ფეოდალის გამორკვევა
და
საგემოჯრადი ცნობები

სანამ ამ წიგნის კითხვას შეუდგებოდეთ, საჭიროა შეასწოროთ
ის შეცდომები, რომლებიც აღნიშნულია 503 გვერდზე:

Прежде чем приступить к чтению, необходимо исправить
ошибки и опечатки, указанные на 510 стр.

ნაწილი პირველი

ЧАСТЬ ПЕРВАЯ

შ ე ს ა ვ ა ლ ი

§ 1. ამ შრომის მიზნად დასახულია: გამოვიკლიოთ და შევაგროვოთ ქვემო-ქართლის მე-XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის მოსახლეობის და მფლობელობის შესახები ყველა ის სტატისტიკური და გეოგრაფიული ცნობები, რომლებიც ხელთა ჰქონია იმდროინდელ საზოგადოებას.

მე-XVII საუკუნის პირველ მეოთხედის ქვემო-ქართლი არჩეულია იმიტომ, რომ საქართველოს არცერთ მხარის შესახებ არ შენახულა იმდენი სტატისტიკური და გეოგრაფიული მასალა, რამდენიც ამ პროვინციის შესახებ. ამის მიზეზი შეზღვევა: სწორედ მე-XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში რამდენიმე წელს საბარათიანოს სარდლად ვახუშტი ბატონიშვილი ყოფილა (იხ. 1721 წლ. აღწერის წინასიტყვაობა), რომელსაც მეფე-დედოფლის დავალებით და მდივანი გივი თუმანიშვილის მ-ნაწილეობით აუწერია მეწინავე სადროშოს რაიონი — ქვემო-ქართლის უდიდესი ნაწილი.

ეს აღწერა ჩვენამდე შენახულა. გასაკვირველი არ არის ამიტომ ის გარემოება, რომ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობილ საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში ქვემო ქართლის შესახებ უფრო ვრცელი და უფრო დაწვრილებითი ცნობებია მოყვანილი, ვიდრე სხვა პროვინციის შესახებ. აგრეთვე უფრო დაწვრილებითი ცნობებია მოთავსებული ამ მხარის შესახებ იმ სოფლების სიებში და იმ რუკებზე, რომლებიც შედგენილია ვახუშტის მიერვე და დართული აქვს მის გეოგრაფიას.

მეორე მიზეზი ქვემო-ქართლის შესახებ უფრო მეტ და ვრცელ ცნობების შენახვისა ის არის, რომ ამ მხარეში, შედარებით სხვა მხარეებთან, მეტად ბევრი სამეფო და სადედოფლო მამულები ყოფილა. ამით აიხსნება ერთი მხრით ის გარემოება, რომ „დასტურლამალში“ აღნიშნული სამეფო და სადედოფლო სოფლები თითქმის ყველა ქვემო-ქართლის სოფლებია და მეორეს მხრით ის, რომ გამოქვეყნებულ სიგელ-გუჯრებიდან უმეტესი ნაწილი ეკუთვნის იმავე ქვემო-ქართლის სოფლებს და მის მოსახლეობას. თჳვის თავად ცხადია, რომ სადაც სამეფო და სადედოფლო სოფლები მეტი იყო, იქ მეტი იქნებოდა ამ სოფლების გადასახადების აღნუსხვა, სიგელ-გუჯრების გაცემა; იმავე მხარიდან მეტი იქნებოდა მოხელეთა და ხელისუფალთა დანიშვნა და მათი სამსახურის რიგის განწესება.

ბოლოს, ამ ცნობების სიმრავლე აიხსნება იმითაც, რომ იმ დროს ქვემო-ქართლში უდიდეს მებატონეებად ყოფილა ორი დიდი გვარი — ბარათაშვილები

და ყაფლანიშვილები, რომელთა ბევრი სიგელ გუჯარი და მამულის დავთარი დროთა განმავლობაში გადარჩენილა და ეხლა გამოქვეყნებულია.

მთელი ეს შრომა ოთხ ნაწილად განიყოფება:

პირველი ნაწილი შეიცავს იმ წყაროების განხილვას, რომლებზედაც დამყარებულია ჩვენი გამოკვლევა. ამისათვის საჭირო შეიქნა არა თუ იმ ხელნაწერების განხილვა და შესწავლა, რომლებიც ჯერ არ არის დაბეჭდილი, არამედ გადამუშავება და ერთგვარი სისტემით გამოცემა ზოგიერთ უკვე გამოქვეყნებულ საბუთებისა.

მეორე ნაწილში მოთავსებულია გეოგრაფიული ცნობები ქვ.-ქართლის საზღვრების, მისი მხარეების, სოფლების და სხვა დასახლებულ ადგილების შესახებ და დასახლებული ადგილების ზოგადი სტატისტიკა.

მესამე ნაწილი შეიცავს—მოსახლეობის და მფლობელობის დეტალურ სტატისტიკას.

მეოთხე ნაწილი — საძიებელს და ლექსიკონს.

საქართველოს სწორი და ნამდვილი ისტორიის შესადგენად მასალების ამგვარი გამოკვლევა და შეკრება უპირველეს საჭიროებას შეადგენს. უამისოდ ყოველგვარი მოსაზრება და დასკვნა ზერელე იქნება, მკიდრო საფუძველს მოკლებული. ქართულ სამეცნიერო მწერლობაში ასეთი შრომა პირველი ცდაა. ამიტომ წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ეს შრომა ვერ ასცდებოდა შეცთომებს და დეფექტებს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მოგვიდეთ ამას ხელი და ვეცადეთ გადაგვედგა პირველი ნაბიჯი. მით უმეტეს, რომ მე-XVIII საუკუნის ყოფა-ცხოვრების გაცნობას უაღრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი თანამედროვე მდგომარეობის შესასწავლად.

წ უ ა რ ო ე ბ ი

§ 2. შესავალში უკვე მოვიხსენიეთ, თუ როგორი წყაროებია გამოყენებული ამ გამოკვლევაში. აი ეს წყაროები: 1) ვახუშტის გეოგრაფია და მასთან დართული სიები და რუკები; 2) მისივე მეწინავე დროშის 1721 წლ. აღწერა; 3) ვახტანგ IV-ის სამეფო „დასტურლამალი; 4) გიორგი XI-ის სადედოფლო „დასტურლამალი“, 5) დავთრები და სიგელ-გუჯრები.

რადგან ეს შრომა დამყარებულია ამ წყაროებზე, საჭიროა იმათი განხილვა და შესწავლა.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ამ წყაროებიდან ამოკრეფილია მხოლოდ ის სტატისტიკური და გეოგრაფიული ცნობები, რომლებიც გავრცელებული ყოფილა ქვემო-ქართლის მოსახლეობის და მფლობელობის შესახებ მე-XVIII საუკ. პირველ მეოთხედში. დამატებით მოყვანილია ისეთი ცნობები, რომლებიც შეეხებოდა ამ საკითხებს დასახული პერიოდის წინა ხანებში. ყველა დანარჩენი ცნობები, რომლითაც სავსეა ეს წყაროები და რომლებიც შეეხებიან საადმინისტრაციო, სასამართლო და საფინანსო საკითხებს, თუმცა მეტად საინტერესო არიან ჩვენი ისტორიისთვის, ამ შრომაში, რასაკვირველია, არ შეგვიტანია.

I.—ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფია.

§ 3. ეს გეოგრაფია მეტად ცნობილი თხზულებაა. მისი ხელნაწერები ბევრი ინახება ჩვენს წიგნთსაცავებში. ჩვენ ვსარგებლობდით საქართველოს ცენტრალურ არქივის ხელნაწერებით (კატალ. № 104 და 33). ქართული ტექსტი ფრანგული თარგმანით პირველად გამოსცა აკადემ. ბროსემ 1842 წ.; შემდეგ 1904 წ. ქართული ტექსტი და მისი რუსული თარგმანი მრავალი შენიშვნებით და განმარტებებით გამოსცა ისტორიკოსმა მ. ჯანაშვილმა. მანამდე კი 1895 წ. იმავე მ. ჯანაშვილმა გამოსცა ამ თხზულებას რამდენიმე ნაწილი (სამცხე, ქართლი). ყველა ეს გამოცემები სრულიად ეთანხმებიან საქ. არქივის ხელნაწერებს.

როგორც ვახუშტის წინასიტყვაობიდანა სჩანს, მას ეს შრომა დაუმთავრებია 1745 წ., რაც იმითაც მტკიცდება, რომ თვით გეოგრაფიაში მოხსენებულია ნადირ-შაის შემოსვლა საქართველოში, რომელიც, საისტორიო ცნობების მიხედვით, მოხდა 1735 წ. (იხ. საქ. სიძვ. II ტ. № 500, შენ. თაყაიშვილისა).

რადგან 1724 წლიდან ვახუშტი სცხოვრობდა მოსკოვში (იხ. საქ. ისტ. ვახუშტისა, გამოცემა დ. ბაქრაძისა, გვ. X), ცხადია, ბევრი მასალა, რომლითაც იგი სარგებლობდა თავის შრომის შესადგენად, მას მიღებული ექნებოდა სხვა პირებისაგან საქართველოდან.

ვახუშტის გეოგრაფია განხილული და შეფასებული აქვს პროფ. ივ. ჯავახიშვილს მის თხზულებაში: „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები“ (გვ. 285, 286).

II. — ვახუშტის გეოგრაფიასთან დართული ქვემო-ქართლის სოფლების სიები.

§ 4. ვახუშტის გეოგრაფიას დართული აქვს სოფლების და „ობების“ სიები ქართლისა და კახეთისა. ეს სიები ქართულ ენაზე აქამდე გამოცემული არ ყოფილა (იხ. დამატება § 20). ბროსეს იგინი მხოლოდ ფრანგულად აქვს დაბეჭდილი და შეცთომებიც დაუშვია, სხვათა შორის, ზოგიერთი ქართული ასოების მსგავსი მოხაზულობის გამო; მაგალითად:

№ № სიებისა	ვახუშტის ხელნაწერ № 104-შია:	ბროსეს გამოცემაშია:
45	პარაფისი	სარაფსი
92	შაქარას სოფელი	ბაქარას სოფელი
157	უჩქილისია	უოშქილისია
216 წინ	აღბაბალუ	ალიბაბალუ
319	მუტაკვისი	მუტაკისი
344	ალაგარი	ალაგარი
446	მანქათელა	მანქათელა
476	ბაბია	ბაძია
552 წინ	ამირახსლუ	ამირასანლუ
560	დოლოვნა	ღვადოვნა
663	ახობი	ამოთი

სიას აქვს საერთო ნუმერაცია, რომლითაც ქვემო-ქართლში აღნიშნულია 682 სოფელი. ხუთ სოფელს (კოდა — ჭლგეთში, ნარიანი, ფანავარი, შაორი — თრიალეთში, ღომელაური — მტკვრის ვალმა) ნუმერაცია არა აქვს; არა აქვს ნუმერაცია არც „ობებს“ და ნასოფლარებს.

გარდა საერთო ნუმერაციისა, რომელიც უზის სოფლებს სახელწოდების შარჯვნივ, ყოველ ნაწილის (მხარის და ხეობის) სოფლებს თავისი სპეციალური ნუმერაცია აქვს და ეს ნუმერაცია უზის სოფლებს სახელწოდების მარცხნივ. მაგ., ტაშირის სოფლების საერთო ნუმერაცია 121—176-ია, მათი სპეციალური

ნუმერაცია კი 1—56-ია, ასურეთის ხეობის საერთო ნუმერაცია 577—592-ია, სპეციალური 1—16. ზოგიერთ სოფელს თუმცა ნუმერაცია აქვს, როგორც საერთო, ისე სპეციალური, მაგრამ სათაურები არ აქვს და არ არის ნაჩვენები, რომელ მხარეს ეკუთვნიან ეს სოფლები. მაგ., ირაგას მთების სოფლებს შემდეგ მოთავსებულია ფოცხვერიანის ხევის სოფლები (№№ 409—413) უსათაუროდ; ვერის ხევის სოფლებს შემდეგ—მტკვრის გაღმა მხარის სოფლები (№ № 674—682) და სხვ. (იხ. დამატ. § 20).

ამ სიების ნაკლს შეადგენს ის, რომ შიგ სრულიად არაა მოთავსებული ბანბაკ-ბერდუჯის მხარის, ლორის რაიონის სოფლები და ძლიერ ცოტა ცნობებია ელი ხალხის მიერ დასახლებულ ადგილების შესახებ.

III.—ვახუშტი ბატონიშვილის რუკები.

§ 5. ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიას დართული აქვს მის მიერ შედგენილი რუკები. აქამდე შენახულა ორი ვარიანტი ამ რუკებისა. ერთი წინედ ინახებოდა საქართვე. საისტ.-საეიტნ. მუზეუმში (ახლა საქართველოს მუზეუმში), მეორე ინახება საქართველოს ცენტრ. არქივში (კატალ. № 105). ეს უკანასკნელი რიცხვითაც უფრო მეტია და ცნობების მხრითაც უფრო დაწვრილებითაა შედგენილი, ვიდრე პირველი ვარიანტი. ქართულად ვახუშტის რუკების არც მთელი კომპლექტი, არც მისი რომელიმე ნაწილი გამოცემული აქამდე არ ყოფილა (იხ. დამატ. მეორე ნაწილისა).

ცენტრარქივის ვარიანტში სულ 21 ფურცელია. აქედან 4 ფურცელი (№ № 10, 11, 12 და 13) შეიცავს ქართლის სამეფოს მტკვრის სამხრით მდებარე ნაწილის რუკებს, სადაც შედის ქვ.-ქართლიც. ბროსეს მიერ გეოგრაფიასთან ერთად გამოცემული რუკები სწორედ ამ ვარიანტიდან უნდა იყოს გადაღებული, რაც ცხადია როგორც ბროსეს წინასიტყვაობიდან, სადაც აღნიშნულია სწორედ ის 21 რუკა, რომლებიც ცენტრარქივის ვარიანტშია, ისე ამ ვარიანტების და ბროსეს მიერ გამოცემულ რუკების ერთმანეთთან შედარებით.

ქართლის მტკვრის სამხრით მდებარე ნაწილების რუკებიდან ბროსეს გამოუღია ერთი ფურცელი, სახელდობ № 105/12, მხოლოდ ის ცოტათი გაუდიდება. სამწუხაროთ, ბროსეს მიერ რუკები ფრანგულ ენაზეა მარტო გამოცემული და რადგან შრიფტი მეტად წვრილია, ზოგიერთი ფრანგული ასოც ერთი-მეორისაგან ძნელი გასარჩევია.

ვახუშტის დედანთან შედარებით ბროსეს გამოცემაში შემდეგი განსხვავება შევამჩნიეთ:

ქმ. № სიების	ვახუშტის რუკაში დასახელებულია	ბროსეს გადმოცემაში დაბეჭდილია.
35	ალეგი	ალეგი
68	არქევანი 2	არქევანი, გაჩიანი
93	შაინის სოფელი	მაინის სოფელი
104	ფირფიჯანი	ფირთვიჯანი
130	ალტაში	ალჩა
134	ყირბულახი	ყისბულახი
149	ახატქალაქი	ახალარაკი
166	ახბულახი	ახბულახი
210	მოლაბდულას სოფელი	ბოლაბდულას სოფელი
225	ყიშლალი	ყიმლალი
229	ხახალჯვარი	ახალჯვარი
238	მუსაფერიანი (კრემის სამხრით)	არაა
262	შუშელი	შუშენი
275	აბულმაგრ	ბულმეგი
302	ქვაბევანი	გვაბლოვანი
310	ჩინჩხური	ჩინჩხუ
312	ლაკლაკაშენი	ლავრაკაშენი
315	მოლამასხუტი	მოლა მასხული
325	აცუტი	არცუტი
358	ბალახაური (მირტაშენის აღმ.)	არაა
393	მენქალისი	შენქალისი
433	ჩამძვრალა (თოფრაყალას აღმ.)	არაა
471	კარუკულმართი 2	კარუკული, ღმართო
476	ბაბია	ბაძია
503	კირკიტა	გვირგვიტა
508	საბოზჯრო	საბოზჯრო
527	გველფარენა (ფარენის აღმ.)	არაა
552 წინ	ყურყურთა (ალგეთში მტკვრის პირას)	არაა
555	თოფრაყალა	თოფრაგი
577	მუხათი	ბუხათი
585	ლოუბანი	ლებანი
589	ელფია (წინვენახის და კიკეტის შუა)	არაა
590	კიკეთი	კილეთი
600	კუმისი (ორი მეზობელი სოფელი)	კუმისი და კუხისი
639	მარიამი (ლაკვის ხევის მარცხენა მხარეზე)	არაა
643	ხოხეთი (მანგლისის აღმ.)	არაა
657	მაწუნარა	მაწუნარა

როგორც ამ სიიდანა სჩანს, ბროსეს გამოცემა განირჩევა ვახუშტის დედნისაგან იმით, რომ:

1) სოფლების სახელწოდება გადასხვაფერებულია, მაგ.: ალები—ალების მაგიერ, აზალარაქი—აზატ ქალაქის მაგიერ და სხვ.

2) რამდენიმე სოფელი და მოსახლეობა, რომელიც აღნიშნულია ვახუშტის დედანში, ბროსეს გამოტოვებული აქვს (ბალახაური, ჩამძვრალა, ყურყუთა, ელფია, ხოზეთი).

ერთი დიდი განსხვავება დედანსა (№ 105/12) და ბროსეს გამოცემულ პირს შორის იმაში მდგომარეობს, რომ ვახუშტს არ აქვს აღნიშნული თვით შიგ ფურცელში საერთო სახელი „ქვემო-ქართლი“, ან „საბარათიანო“, იგი მხოლოდ ზოგიერთ მხარეს აღნიშნავს: თრიალეთს, ალგეთს, ზურტაკეტს და სხვა. მაგიერად ფურცლის მინაწერში ნაფუქვამია: „ქართა ქართლისა მტკვრის სამხრეთის კერძოსი, სომხით-საპარათიანოსი და მეფის დროშისა, რომელიც შინა მჩენარებს ხეობათა თვითვეულად ახალს პოვნილს უფლის ფელეს¹⁾ მენაკსა²⁾ ზედა ჩემ მიერ მეფის შვილის ვახუშტისაგან“³⁾. ბროსე კი სახელს „საბარათიანოს“ ათავსებს თვით შუაგულ ფურცელზე, მაგრამ ამ სახელწოდებას აკუთვნებს მეოთხე სადროშოს რაიონს, რომელიც მდებარეობდა თორის, ერჯევანის და დიდგორს იქით, საბარათიანოჲ ჩრდილოეთით და რომელიც ქვემო-ქართლს არ ეკუთვნოდა.

ბოლოს, განსხვავება დედანსა და ბროსეს გამოცემას შორის იმაშიაც მდგომარეობს, რომ ვახუშტის აღნიშნული აქვს რუკაზე მხოლოდ უმთავრესი მდინარეების სახელები (მტკვარი, ალგეთი, ქცია და სხ.), მაშინ როდესაც ბროსეს, უტყობა, მოუსურვებია შეეესო რუკები და კიდევაც აღუნიშნავს თავის გამოცემაში პატარა მდინარეები და ხეხები ვახუშტისავე გეოგრაფიის ცნობების თანახმად, ან და ამ მდინარეების და ხეხების სახელწოდება გადმოუღია ახლოს მდებარე სოფლების სახელებისაგან.

რუკაზე აღნიშნულია ქვ.-ქართლის როგორც ის სოფლები, რომლებიც ჩამოთვლილია ვახუშტისავე სოფლების სიებში, ისე ბანბაკ-ბერდუჯის და ლორის რაიონის სოფლები. ასე რომ ამ მხრივ რუკა შეიცავს ქვ.-ქართლის თითქმის ყველა სოფლებს. მასში მხოლოდ შედარებით ცოტა ცნობებია ელი ხალხის ბინადრობის შესახებ.

IV.—დასტურლამალი

§ 6. 1886 წ. პ. უმიკაშვილმა გამოსცა ვახტანგ მეფის „დასტურლამალი“, რომელიც შესდგება ორი ნაწილისაგან: სამეფო და სადედოფლო დასტურლამალისაგან. გამოცემის დროს მას ჰქონია სამი ვარიანტი: სულხან მდივნის, მელიქი-

1) ფელე—ლუი ფელიე—საფრანგეთის გეოგრაფი და ასტრონომი (1600—1732 წ.)

2) მენაკი—გრადუსი

3) ეს წარწერა ამოიკითხა პ. ინგოროყვამ, რისთვისაც გულითად მადლობას უჭირვინ.

შეიღის და ალექსი-მესხიშვილისა. პირველი და მესამე ვარიანტის დედნები ახლა დაცულია საქართველოს მუზეუმში (წერა-კითხვის საზოგადოების კოლექცია №№ 4738 და 1507); ხოლო მეორეიშვილის ვარიანტი ჩვენს წიგნთსაცავებში ჩვენ ვერ ვიპოვეთ. გამოცემას წინ უძღვის პ. უმიკაშვილის წინასიტყვაობა, სადაც აღწერილია სამივე ვარიანტი.

ამ ვარიანტებს გარდა საქართველოს მუზეუმში იმავე კოლექციაში ინახება მეოთხე ვარიანტი (№ 4532).

სულხან მდივნის (თუმანიშვილის) ვარიანტი შეიცავს მხოლოდ სამეფო დასტურლამალს და დალაგებულია შინაარსის კვალობაზე ჯერ ნაწილებად (კარებად), მერე თავებად. ვარიანტში ბევრი ადგილი თავისუფალია, ბევრი გადახაზულ გაუქმებულია, უფრო მეტად ბევრია სხვა მელნით, თუმცა, შესაძლებელია, იმავე ხელით ჩამატებული-დამატებული ხან თვით ტექსტში, ხან არსებებზე. ალექსი-მესხიშვილის ვარიანტთან შედარებით მას 17 თავი აკლია, რაც აღნიშნული აქვს პ. უმიკაშვილსაც (გვ. 202). ეს ვარიანტი პირია და არა თვით პირვანდელი დედანი, რაც მინაწერებიდანაც სჩანს. რამდენსამე ადგილას გადამწერი ამბობს: „აქ დედანი დახეული იყო“, „აქაც დედანი დახეულია. ვიპოვეთ“...

მელიქიშვილის ვარიანტი, პ. უმიკაშვილის სიტყვით, შეიცავს სამეფო და სადედოფლო დასტურლამალს და გადაწერილი ყოფილა სადედოფლო—1773 წ., სამეფო კი—უფრო ადრე. როგორც პ. უმიკაშვილის გამოცემიდანა სჩანს, მასში ყოფილა განსხვავება როგორც სულხან მდივნის, ისე ალექსი-მესხიშვილის ვარიანტებისაგან (იხ. გვ. 157—162). როგორც ყველა დანარჩენი ვარიანტები, გარდა სულხან მდივნის ვარიანტისა, საქმეფო დასტურლამალი დალაგებულია ანბანის რიგზე თავების სახელწოდების თანახმად. სადედოფლო დასტურლამალი-კი დალაგებულია შინაარსის კვალობაზე.

ვარიანტი № 4532 შეიცავს მხოლოდ სამეფო დასტურლამალს და განსხვავდება როგორც სულხან მდივნის, ისე ალექსი-მესხიშვილის ვარიანტებისაგან. საკმაოდ მოვიხსენიოთ, რომ, ალექსი-მესხიშვილის ვარიანტთან შედარებით, მას აკლია 2 თავი (ოვ—იარაღის კეთებისათვის და რკდ—თევზის ჩაჩნისათვისა); მეორეს მხრით, სულხან მდივნის ვარიანტთან შედარებით, მასში მოთავსებულია 15 ახალი თავი. ეს 17 თავი ის თავებია, რომლებიც აკლია სულხან მდივნის ვარიანტს, ალექსი-მესხიშვილის ვარიანტთან შედარებით.

როგორც ვარიანტი № 4532-ის ტექსტის და პ. უმიკაშვილის მიერ მელიქიშვილის ვარიანტიდან მოყვანილ ამონაწერების (გვ. 157—162, შედარებისაგან სჩანს, ისინი ძლიერ უახლოვდებიან ერთი-მეორეს, მაგრამ ცოტაოდენი განსხვავება მათს შორისაც არის. მაგალითად:

მესხიშვილის ვარიანტი	მელიქიშვილის ვარიანტი	ვარიანტი № 4532
<p>კპ. ბოქაულთუხუცესისა და ეშეაკალაბაშებისათვის (გვ. 14)</p>		
<p>1. „ზურაბიშვილი ბეჟან“</p>	<p>გამოტოვებულია</p>	<p>„ზურაბიშვილი ბეჟან.“</p>
<p>2. ლ. შიგამდგისა და ქორის ბაზიერისათვის (გვ. 15)</p>	<p>„ბოქაულთუხუცესი და შიგამდგის, ქორის ბაზიერის“</p>	<p>„ბაზიურთუხუცესი და შიგამდგის და ქორის ბაზიერის“</p>
<p>ლვ. ბაზიერთუხუცესისა და ყარაის მყორულისათვის (გვ. 19).</p>		
<p>3. „... ბაზიერთ ხუცისა არის და ნახევარი შიგამდგისა და ბაზიერებისა“</p>	<p>„ბაზიერთ ხუცისა არის თუ დუშალიკი, ნახევარი ბაზიერთხუცის არის და ნახევარი შიგამდგის და ბაზიერის“</p>	<p>„ბაზიერთ ხუცისა არის თუ დუშალიკი მოვა, ნახევარი ბაზიერთხუცის არის და ნახევარი შიგამდგის და ბაზიერების“.</p>
<p>4. რლზ. საღვინის მოხელეთათვის (გვ. 70).</p>	<p>ეს თავი მთლად არის მოთავსებული</p>	<p>ეს თავი გამოტოვებულია.</p>
<p>5. რმა. მეთეფშეთათვის (გვ. 71) „მეთეფშეთ თავლიდარი გიორგი“.</p>	<p>„სათეფშოსი“ თავლიდარი თუშმლიშვილი გიორგი</p>	<p>სათეფშოსი. „დაგვიყნებია მეთეფშეთ თავილდარი გიორგი“.</p>
<p>6. რნთ. ხალთხუციხ სარგოსათვის (გვ. 76). „ჩელეიქიდან თუმანი სამი ტყვიის ბაჟიდან თერთმეტის თავის ნახევარი“</p>	<p>„ჩელეიქიდან თუმანი სამი ტყავის ბაჟიდან თერთმეტის ნახევარი“</p>	<p>„ჩელეიქიდან თუმანი სამი ტყავის ბაჟიდან თერთმეტის თავის ნახევარი“.</p>
<p>ხიბ. ჰალის მწვანელიხათვის (გვ. 103)</p>		
<p>7. „მარილის საპალნეზე ფული, თავლზე ორი ფული, მატყლზე ერთი ფული“</p>	<p>„მარილის საპალნეზე ფული, ბრინჯის საპალნეზე ფული, თავლზე ორი ფული, ნალთურ-სმანის და რკინის საპალნეზე ორი ფული, მატყლზე ერთი ფული“.</p>	<p>„მარილის საპალნეზე ფული, ბრინჯის საპალნეზე ფული; ერბოაა და თავლზე ორი ფული, მატყლზე ერთი ფული“.</p>

ასეთი ძვირე განსხვავება, როჰელიც, შესაძლებელია, შეტანილი იყოს ვადამწერის მიერ, ან, რაც უფრო მისაღებია, იყოს მისი უბრალო შეცთობა, გვაფიქრებინებს, რომ ვარიანტი № 4532 გადაწერილია იმ დედნიდან, რომელიც ჰქონია მელიქიშვილის ვარიანტის ვადამწერს. როდისაა ის დედანი შედგენილი, რომლიდანაც ვადამოუწერიათ მელიქიშვილის და № 4532 ვარიანტები, ხელნაწერებიდან არა სჩანს, მაგრამ საფიქრებელია, იგი შედგენილია სულხან მდიენის ვარიანტს შემდეგ, ალექსი-მესხიშვილის ვარიანტის შედგენამდე.

რაც შეეხება ალექსი-მესხიშვილის ვარიანტს, იგი ვადამწერილია 1821 წ., შეიცავს დასტურლამალის ორივე ნაწილს და განსხვავდება როგორც მელიქიშვილის და № 4532-ის, ისე უფრო მეტად სულხან მდიენის ვარიანტებისაგან. ამ ვარიანტის ხელნაწერები საკმაოდ ვავრცელებული ყოფილა. ვამოცემის ტექსტად პ. უმიკაშვილს ეს ვარიანტი აქვს აღებული, როგორც უფრო სრული, ხოლო სულხან მდიენის და მელიქიშვილის ვარიანტების განსხვავებანი შეტანილი აქვს შენიშვნებში (გვ. 131—162). ალექსი მესხიშვილის ვარიანტი, შედარე-

ბით სულხან მდივნის, მელიქიშვილის და № 4532—ის ვარიანტებთან, მართლაც უფრო სრულია. მაგ., 141 თავში (მეთექვშეთათვის) უკანასკნელ სამ ვარიანტში ჩამოთვლილია მხოლოდ 6 მეთექვშე და შემდეგ მიწერილია: „სამი კიდევ იშრონ“. ალექსი-მესხიშვილის ვარიანტში კი უკვე 9 მეთექვშეა მოხსენებული („კიდევ გიორგი, თეოდორე და ბერუასშვილი იოანე“); სჩანს, სამი ახალი მეთექვშე უშოვნიათ და ჩაუმატებიათ. მეორე მაგალითი: 153 თავში („საციციანოს კოდის პურისათვის“) უკანასკნელ სამ ვარიანტში ნათქვამია: „საციციანოს გამომღებები ქია: ამისი თარხანი ვ“. ალექსი-მესხიშვილის ვარიანტში კი, გარდა ამ ცნობებისა, ბევრი სხვა ცნობებია ამ თავში აღნიშნული საციციანოს კოდის პურის გამოსაღებზე. ეს ორი მაგალითიც ამტკიცებს, რომ ალექსი-მესხიშვილის ვარიანტი უფრო სრულია, ვიდრე დანარჩენი სამი ვარიანტი.

მაგრამ იგი დამთავრებულად მაინც ვერ ჩაითვლება. მასში რამოდენიმე მუხლია ისეთი, რომლებსაც კონსპექტური ხასიათი აქვს: 24 თავის („ყაიყულში ახალი მოსული კაცისათვის“) ბოლოს ნათქვამია: „ხასადარის რიგი და სარგო“. რა რიგი და სარგო იყო დაწესებული, აღნიშნული არაა; თუმცა სულხან მდივნის ვარიანტი ამ სიტყვას უმატებს: „წიგნი აქვსთ, მოიტანონ“; 40 თავის („გატეხილის ხიდის რაგისათვის“) ბოლოს ნათქვამია: „ამისის მოურავის სარგო“—ამგვარათვე უშინაარსოთ; 158 თავის სათაურია: „სამშვილდე კრწანისს ხერგეშების, მზარეულების და ფარეშებისათვის“,—შინაარსი კი ეხება სოფ. ჯურორის, დამბლუტის და ანდიკის გადასახადებს; 185 თავის ბოლოს („ქვითკირის ლილოს“) ნათქვამია: „ქვითკირის ლილოს მამასახლისისა, ქვითკირის ლილოს ნაცვლისა“,—აქაც უშინაარსოდ. ამგვარი შემთხვევა ცოტა არაა, რაც ამტკიცებს, რომ ალექსი-მესხიშვილის ვარიანტიც დაუმთავრებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ვარიანტი უკანასკნელი რედაქციაა, იგი სავესტა შეცთომებით და გაუგებარი ფრასებით. მაგ., 3—თავში („კოყოზღ ტკბილის ზიდვის ულაყის შეწერილობისათვის“) ნათქვამია:

„შულავერის ამაღადან უნდა იქირაონ 6 (ულაყი)“, რაც გაუგებარია, რადგან ამაღადან ქირაობა არ შეიძლება. სულხან მდივნის და № 4532 ვარიანტში კი იკითხება: „შულავერის მალიდამ უნდა იქირაონ 6 (ულაყი)“, რაც გასაგებია, რადგან მალი ერთგვარი გადასახადი იყო. თრიალეთის სოფლების სიაში (აზ) აღნიშნულია: „ემანი“ „ემანის“ მაგიერ, „ლომოსი“—„ლომოს“ მაგიერ, „ოლოფისი—ოლოფისის“ მაგიერ. როგორც პ. უმიკაშვილის გამოცემიდან სჩანს, ამ მხრივ მელიქიშვილის ვარიანტი ეთანხმება სულხან მდივნის და № 4532 ვარიანტებს.

ყველა ეს შენიშვნები ეხება მხოლოდ სამეფო დასტურლამალს, რაც შეეხება სადედოფლო დასტურლამალს, იგი შენახულა ორის რედაქციით. ერთი, როგორც უკვე იყო ნათქვამი, გადაუწერიათ 1773 წ.; და, უმიკაშვილის სიტყვით, მოთავსებული ყოფილა მელიქიშვილის ვარიანტში; მეორე მოთავსებულია ალექსი-მესხიშვილის ვარიანტში. პ. უმიკაშვილის გამოცემაში ტექსტად დაბეჭდილია ალექსი-მესხიშვილის ვარიანტი, ხოლო შენიშვნებში მოყვანილია ცოტაოდენი წვრილმანი განსხვავება მელიქიშვილის ვარიანტისგან (გვ. 162). რადგან სულხან მდივნის და № 4532 ვარიანტებს სადედოფლო დასტურლამალი არ

აქეთ, ამიტომ ჯერჯერობით უნდა დაკმაყოფილდეთ ზემოხსენებული ორი ვარიანტით.

§ 7. სამეფო დასტურლამალი შედგენილია ვახტანგ ბატონიშვილის მიერ, როცა იგი საქართველოს ჯანიშინად, მეფე გიორგის (1704—1709) მაგივრათ ითვლებოდა. მაგრამ ამ ხანის შემოკლებაც შეიძლება. თრიალეთში მეფეს, სხვათა შორის, ეკუთვნოდა სამი სოფელი: უზნარიანი, კარუკულმარით და კარწახი. ამათგან დასტურლამალში (თავი 53), სადაც ჩამოთვლილია თრიალეთის ყველა სახასო სოფლები, იხსენიება მხოლოდ კარწახი და არ იხსენიება უზნარიანი და კარუკულმარით, ეს იმიტომ, რომ უზნარიანი და კარუკულმარით უკვე 1707—წ. (ისტ. სბ. V) ვახტანგ ბატონიშვილმა შესწირა ნათლისმცემლის მონასტერს; კარწახი კი შესწირა იმავე მონასტერს მეფე ბაქარმა 1719 წ. (იქვე). 1721 წლ. აღწერაში კი სამივე ეს სოფელი ნაჩვენებია როგორც ნათლისმცემლის სოფლები. მაშასადამე, სამეფო დასტურლამალი შედგენილია უზნარიანის და კარუკულმარითის შესწირვის შემდეგ, მეფე გიორგის სიკვდილამდე, ე. ი. 1707—1709 წელს.

ამგვარად, სამეფო დასტურლამალის ტექსტის შედგენა ასე უნდა წარმოვიდგინოთ: პირველად შეუდგენიათ ის ტექსტი, რომელიც შენახულა სულხან მდივნის პირვანდელ ვარიანტში, მრავალ ადგილების გამოტოვებით; შემდეგ ეგ ტექსტი ზოგ ადგილას შეუვსიათ, ზოგ ადგილას შეუსწორებიათ ან ჩაუმატებიათ. ამ შესწორებულ და ჩამატებულ ტექსტისაგან შეუდგენიათ მელიქიშვილის და № 4532 ვარიანტების დედანი და ბოლოს შეუდგენიათ ალექსი-მესხიშვილის ვარიანტის ტექსტი.

სადედოფლო დასტურლამალი „განახლებულია“ ვახტანგ მეფის მიერ, ხოლო „განწესებული“ მეფე გიორგის მიერ. დასტურლამალში მოხსენებულია დედოფლის დარბაისლები: გერმანოზის შვილები ოთარი, პაპუა, გუგუნა და ვარაზა. ოთარი და ვარაზა შვილებია გერმანოზისა (იხ. გერმანოზიშვილების შტო (§ 21, —2, 4). პაპუა და გუგუნა შვილებია გერმანოზის შესამე შვილის პაატასი (იქვე 3. 5. 6). პაატა ცოცხლად სხანს 1679 წ. (სიძვ., 1—318). მაშასადამე მანამდე სადედოფლო დასტურლამალი შედგენილი არ ყოფილა.

შემდეგ, სადედოფლო დასტურლამალის დასაწყისში ასეთი გარიგებაა: „სააღაპოდ მისაცემი მარიამ დედოფლისათვის. მარიამ დედოფლისათვის მიეცემოდეს შვიდს საუფლოს დღეს“... მარიამ დედოფალი გადაიცვალა 1682/3 წელს (თ. ჟორდანაას ქრონიკები 11 გვ. 496/497). ამიტომ სადედოფლო დასტურლამალი ამ წლის შემდეგ უნდა „განწესებულიყო“ და მის შედგენის დროდ უნდა ვიგულისხმოთ 1682/1688 წლები, რადგან 1688 წ. უკვე მეფედ ერეკლე ნაზარალიხანი იყო.

რამოდენათ, დაახლოვებით მაინც, ადგილად გამოსაკვევია, როგორც სამეფო, ისე სადედოფლო დასტურლამალის პირველად შედგენის დრო, იმდენათ, ჯერჯერობით, სანამ შესაფერი საბუთები არ იქნება გამოქვეყნებული, ძნელია მისი ვარიანტების შედგენის დროის აღნიშვნა. ერთად-ერთი დასკვნა შეიძლება მხოლოდ გამოვიტანოთ: ეს ვარიანტები დროს მიხედვით შეტად დაშორებულნი არ არიან ერთი-მეორისაგან, რადგან. მოხელეთა გვარები, სახელები

და მათი თანამდებობანი, მცირე გამოხატვისის გარდა, თითქმის ერთი და იგივეა ოთხსავე ვარიანტში.

სამეფო დასტურლამალი ვახტანგ ბატონიშვილის მიერ მთლად ხელახლად შედგენილი კი არ არის, არამედ ის წარმოადგენს როგორც თვით ვახტანგის, ისე ადრინდელ მეფეების დებულებათა და განკარგულებათა კრებულს. ზოგიერთი ასეთი დებულება კიდევაც აღნიშნულია დასტურლამალში. მაგალითად, ბოქაულთაუკესის სარგოს დებულება (თავი ლღ) — გამოცემულია ვახტანგ VI-ის მამის შაყულიხანის — ლევანის მიერ; ყარაიის კონის გარიგება (თავი ოზ) — მეფე როსტომის მიერ; ყაიყულის სამოურაოს გარიგება (თავი სა) — მეფე გიორგის მიერ; მდივანბეგის გარიგება (თავი რ) — შაყულიხან ლევანის მიერ; სამორდროს გამოსაღების რიგი გაუჩენია მეფე როსტომს 1638 წ. (საქ. სიძვ. III—565). უნდა ვიფიქროთ, რომ დასტურლამალში შემოსხენებულ თავებს გარდა სხვა ბევრი თავია შეტანილი ძველ სიგელ-გუჯრებიდან, მაგრამ ჯერჯერობით იმათი სწორი აღნიშვნა შეუძლებელია.

ისე, როგორც სამეფო დასტურლამალი, სადედოფლო დასტურლამალიც შეიცავს არა მარტო გიორგი მეფის გარიგებებს და განკარგულებებს, არამედ მათთან ერთად განხილული და დამტკიცებულია „ძველადგან“ გამოცემული წესები დედოფლის კარის მოხელეებისა და მათი ხარჯების ბეგარის შესახებ (იხ. მაგ, თავები ლთ, მა).

სამეფო და სადედოფლო ყმების მოსახლეობის შესახებ დასტურლამალი ბევრ ცნობას იძლევა, მეტარდე ძვირფასია მისი ცნობები ელი ხალხის მოსახლეობის შესახებ, რადგან სხვა საბუთებში ჯერჯერობით ასეთი დაწვრილებითი ცნობები ამ ხალხის შესახებ არ აღმოჩენილა.

სამეფო დასტურლამალი ურცლათ და სადედოფლო უფრო მოკლეთ გარჩეული და განხილული აქვს პროფ. ივ. ჯავახიშვილს მის „ქართული სამართლის ისტორიაში“ (წიგნი პირველი, გვ. 73—81) და აგრეთვე „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“ (წიგნი I, გვ. 51—52).

V.—სიგელ-გუჯრები.

§ 8. ერთ მთავარ წყაროდ ქვ. ქართლის მოსახლეობის და მფლობელობის სტატისტიკის გამოსარკვევად მე-XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში უნდა მიჩნეულ იქნეს აურაცხელი სიგელ-გუჯრები, რომელთაგან ზოგი დაცულია ჩვენს მუზეუმებში, მაგრამ უმეტესი ნაწილი კი გაბნეულია სხვადასხვა დაწესებულებებში საქართველოს და საქართველოს გარეშე, და ბევრიც კერძო ოჯახებში ჩნახება. დაბეჭდილი და გამოქვეყნებულია მხოლოდ მათი უმცირესი ნაწილი. ამ დაბეჭდილ საბუთებიდან სარგებლობა შეიძლება მხოლოდ ე. თაყაიშვილის, სარგ. კაკაბაძის, ა. ხახანაშვილის და თ. ყორღანიას კრებულების საშუალებით, რადგან სხვა სიგელ-გუჯრები ყურნალ-გაზეთებშია მოთავსებული. ამ გამოკვლევისათვის ესარგებლობდით უმთავრესად ე. თაყაიშვილის („საქართველოს სიძვ.“) და ს. კაკაბაძის („ისტორ. საბ.“) გამოცემებით, რადგან მხოლოდ ამ გამოცემებშია სიგელ გუჯრების სრული ტექსტი დაბეჭდილი. თაყაიშვილის გამოცემას განმარტებებიც აქვს.

ყველა ამ გამოცემების მოკლე განხილვა მოყვანილი აქვს პროფ. ივ. ჯავახიშვილს თავის თხზულებაში: „სიგელთ-მცოდნეობა და დიპლომატიკის ისტორია“ (გვ. 14-19).

დაბეჭდილი სიგელ გუჯრები კრიტიკულად გასინჯული არ არის¹⁾, ამიტომ შიგ ბევრი შეცთომა უნდა იყოს, უმთავრესად მათს დათარიღებაში. შემჩნეული შეცთომები ჩვენ აღნიშნეთ დამატებაში (§ 21); იქვე (§ 22) მოყვანილია სია ყველა იმ სიგელ-გუჯრებისა, რომლებშიაც იხსენიება ქვ.-ქართლის სოფლები და დასახლებული ადგილები.

VI.—საუკუნის სახელმწიფო დავთარი.

§ 9. პროფ. ივ. ჯავახიშვილის „საქ. ეკონომიურ ისტორიაში“ (გვ. 52) გამოქვეყნებულია სია ყაფლანიშვილების სოფლებისა შემდეგის სითაურით: „მოწინავე სადროშოს ძღვენისა და სამასპინძლოს გარიგების წიგნის ნაწყვეტი“. თვით დედანი ხელნაწერი ინახება საქართველოს მუზეუმში (წერაკითხვის საზოგადოების კოლექცია № 1365). ხელნაწერის თავში აღნიშნულია მერიქივე გულანიზაშვილი ბეჟან, ფინეზაშვილი გიორგი, წრაურთას მამასახლისის შვილი ბაინდურა, 10 ფარეში, მეჯინიბეთ-უხუცესი რამაზ, შიგამდეგი ხანდამაშვილი ბიძინა, 4 მეჯინიბე, ბოქაულთ-უხუცესი ზურაბ და 9 იასაული; ბოლოს, აღნუსხულია ის ძღვენი და სამასპინძლო, რომელიც ედვათ შემდეგს სოფლებს და გვარებს:²⁾ წყლამი, შუშელი (მუშელი), მწყენეთი (წყენეთი), აღზიბეუჭი, ფარჩხლუ, შიშთეფა, ჩახმახლუ, ჩარდახლუ, ვალავერი, სირჩაპატი (შირჩაპატი), წითელიეკლისია, გატეხილი საყდარი, ჯანბაღა, ჭუკა, იანგიჩახი, ხუცის სოფელი, ოსკევანას სოფელი, წყალთა შუა, წრაურთა, იფნობი, ტურის უბანი, ბაღუჩაშვილები, მუგუთი, ბალახაურა, ქცილა (ქცხილა), ნახიდური, აფრიამას სოფელი, მუხრანა, წულრულაშენი, ტანძია, მუყეფარიანი, ჯანაზიანი, კაპრუჭი, ძაბილაშვილები, ფოკხვერიანი, ავაზანი (ავაზანთი), ჯვარა, ფიტარეთი (ფიტარელი), ბოცოეთი, ვარდის უბანი, ჩინჩხური, არმანი, თავუთი, ვარძაგარი, ორმოხანი (ოროზმანი), მანაკერტი (მანავერი), ტამალია (ტამალა), ავანჯუკი, ქვემო მიჯა, ქარატაკი, (ქაიატაკი), ძველი დბანისი (ძველი დმანისი), დილამაშეხი, ბოსლები, ქვაბევანი, შინდლარი, საკინეთი, ვარდისუბანი, შესაყარი, სარახველა, ყაჯილუხი ხული, დარბაზი, სუგუჩანი, ჩარგამაშენი, იალლუხი (იალყუხი), ყამიში, ელიას სოფელი (გელას სოფელი), აღუმბრუ, (აღყუმბრუ), წაკაგელცი, ნადარბაზევი და მზა სოფელი. /სულ 70 სოფელი და 2 გვარი.

დავთარი შეიცავს ჩამოთვლილ სოფლების და გვარების სამასპინძლოს და ძღვენის გადასახადების გაწერას მეტრტონე ყაფლანიშვილების სასარგებლოდ. სჩანს, იგი ყაფლანიშვილების სამეურნეო დავთარია და არ ეხება მ წინავე დრო-

¹⁾ გამოჩვენებულია სასისხლო სიგელები, რომლებიც გარჩეულია და განხილული პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ და რომლებიც მისგან თითქმის ყველა აღიარებულია „ნატყუარად“ (იხ. მისი „სიგელმცოდნეობა“ და „დიპლომატიკის ისტორია“ (იქვე გვ. 160). მაგრამ ამგვარი სიგელები ჩვენის გამოკვლევის საგანს არ შეეხებიან.

²⁾ ამ შრომაში სოფლების და დანარჩენი დასახლებული ადგილების სახელები აღნიშნულია იმ ტრანსკრიპციით (იხ. §§ 60-65), რომელიც მიღებულია ჩვენს მიერ. თუ რომელსავე წყაროში სხვა ტრანსკრიპციაა, იგი მოთავსებულია ბრჩხილებში.

შის აღწერას, რომელიც ხდებოდა მთავრობის განკარგულების თანახმად სახელმწიფო გადასახადებისა და სამხედრო ბეგარის გასაღებად.

რაც შეეხება ძაბილაშვილებს და ბადუჩაშვილებს, ისინი ყაფლანიშვილების ყმები ყოფილან: პირველები სოფ. კიპრუქში (იხ. 1721 წლ. აღწ. გვ. 172) და მეორენი სოფ. მუგუთში (იხ. 1707 წლ. სიგ. სიძვ. II—174 ძაღუჩაშვილები).

ხელნაწერი უთარიღოა. პროფ. ჯავახიშვილი მას ათარიღებს მე-XVII საუკუნით. ასეც უნდა იყოს, რადგან იქ აღნიშნული მერიქიფე გულაიზაშვილი ბეჟანი და ხანდამაშვილი ბიძინა იხსენიებიან მხოლოდ 1701/11 წლ. აღწერაში (გვ. 348, 352); 1721 წლ. აღწ. იგინი უკვე აღარ სჩანან.

VII.—1721 წლ. აღწერა მეწინავე დროშისა.

§ 10. 1907 წელს ექ. თაყაიშვილმა გამოსცა „მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში“, სადაც, სხვადასოვრის, მოთავსებულია ქართლის სამეფოს „მეწინავე დროშის“ აღწერა, შედგენილი 1721 წ. ვახუშტი ბატონიშვილის და მდივანი გიგი თემანიშვილის მიერ (გვ. 4—296). ხელნაწერი ამ აღწერისა ინახება საქართველოს მუზეუმში (კოლექცია წერა-კითხვის საზოგადოების №3037). ექ. თაყაიშვილს თავის წინასიტყვაობაში საკმაოდ აღწერილი აქვს ეს ხელნაწერი. ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ ზოგიერთ გარემოებას. ხელნაწერი დათარიღებულია 1721 წ. და შეიცავს 450 გვერდს დიდის in folio ფორმატისას და იმათში ალაგ-ალაგ დაუწერელია 74 გვერდამდე. ზოგ ადგილას დაუწერელია 1/4 გვერდი, ზოგან 1/2 და ზოგან კიდევ მთელი, ზოგან 12 და 16 გვერდიც. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ აღმწერლებს არ დაუმთავრებიათ აღწერა და ფაქრად ქონიათ შემდეგში დაესრულებინათ ეს აღწერა.

აღწერაში არ არის შეტანილი ბანბაკის და ბერდუჯის მხარეები, ლორის რაიონი, ყაიყული და ელის მოსახლეობა. ბანბაკის, ბერდუჯის, ლორის და ელის შეუტანლობა გასაგებია. ქართლის სამეფოს აღწერის დებულებით ისინი არ შედიოდნენ სამეფოს აღწერაში. „როდესაც ქართლი აღწერილა ან აღიწერების, ამ წესით უნდა აღიწერებოდეს,—ამბობს ეს დებულება (დასტ. კზ): ყაიყოლიდან შემოყოლებით თათარსა და მელიქის საულდარს (ოლქი) გარდა. სომხიას, ტაშირს, ყაიყულს, თრიალეთს და საბარათაშვილოში—ამაზე საბარათაშვილოს სარდალი წავა“.

აქ „თათარი“ გულისხმობს ელის გარდა ბერდუჯ-ბანბაკის მხარეებს, რადგან ისინი უმეტესად თათრებით იყო დასახლებული, მელიქის საულდარი კი — ლორის რაიონს. ბანბაკ ბერდუჯის მხარეები ერთ სახანოს შეადგენდნენ, რომელსაც შებატონებდა ბორჩალოს ხანი (იხ. II ნაწ.); ლორის რაიონიც როგორც, ეტყოფა, ცალკე ერთეულს შეადგენდა, რადგან მე-XVII საუკ. მეორე ნახევარში და წინათაც (იხ. 1557 წ. სიგ.-საისტ. მოამ. 1924 წლ, წ. 1 გვ. 173) იქ სახანო ყოფილა. ყაფლან ბარათაშვილის მამულზე დავის შესახებ მეფე როსტომი ამბობს: „პაპის ჩემის ლუარსაპის ეამში თქვენნი სახლსკაცები დიდი ორბელი და იო-

თამ გაყრილიყვნენ და რაც თქვენი მამა-პაპის სამკვიდრო მამული ყოფილიყო, ყველა გაგეყოთ. ამას წინად ვინცა ვინ ლორეს მჯდომნი ხანი ან სულთანი ყოფილა, ვერავის ეხსენებინა და არც გაგონილა“ და სხვა.

ცხადია, რომ ამ ორ სახანოს, როგორც ვასალურ იურიდიულ ერთეულებს, ქონდათ თავისი ცალკე აღწერები; ელის რაიონის შესახებ კი პირდაპირი ცნობაა, რომ მისი აღწერა ხდებოდა 3 წელიწადში ერთხელ (დასტ. 168), მაშინ, როდესაც ქართლის სამეფოს აღწერა ხდებოდა 7 წელიწადში ერთხელ (საქ. ეკონომ. ისტ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, გვ. 5).

ძნელი გამოსარკვევია მხოლოდ, რატომ არ არის 1921 წლის აღწერაში შეტანილი ყაიყული. ეს მით უფრო გაუგებარია, რომ, როგორც ქართლის სამეფოს აღწერის დებულებიდან დავინახეთ, სამეფოს აღწერის დროს ყაიყულიც უნდა აღწერილიყო.

ამ აღწერის დაუმთავრებლობა იმაშიაც გამოიხატება, რომ მეწინავე სადროშოს არა ყველა სოფელი და არა ყველა მფლობელობა არის შიგ შეტანილი. ეს ნათლად გამოიჩვენება ამ შრომის მოსახლეობის სტატისტიკის ნაწილის და ქვ.-ქართლის სოფლების სიის განხილვის დროს (III და II ნაწილები).

თვით იმ სოფლების და მათის მფლობელობის აღნუსხვა, რომელიც შეტანილია 1721 წლ. აღწერაში, სრული არის. ეს შეიძლება აიხსნებოდეს იმ მიზნითაც, რომელსაც ისახავდენ ამწერლები და რომელიც გამოთქმულია მათს წინასიტყვაობაში: „აღწერეთ,—ამბობენ ვახუშტი ბატონიშვილი და გივი მდივანი,— ამ დავთართა შინა, რომელთა ძალედვა აბჯართა და ცხენთა ხმარებანი, გინა, სამეფოთა ხარჯთა და ბეგართა გამოღებანი, ხოლო რომელთა არა ძალედვა ყოვლისა რასამესი ქმნა და გამოღება, განუტევით და არა აღწერეთ წიგნსა ამასა შინა.“

აქედან ცხადია, რომ 1721 წ. „მეწინავე დროშის“ აღწერას მიზნად დასახული ჰქონდა იმ მოსახლეობის და მფლობელობის მხოლოდ აღნუსხვა, რომელთაც სამეფო გადასახადები და სამხედრო ბეგარა ეღვათ. ამიტომ იქედან განგებ გამოუტოვებიათ ყველა უჩაღუტი და უსახსრო მოსახლეობა, რომლის რაოდენობა, იმ დროინდელ მდგომარეობის მიხედვით, საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად ამ დაუმთავრებლობისა და დანაკლისისა, 1721 წ. მეწინავე დროშის აღწერა დაუფასებელი განძია ქვემო-ქართლის მე-XVIII საუკუნის პირველ მეოთხედის ეკონომიურ-სოციალური ცხოვრების დასახასიათებლად. იგი ჯერჯერობით ერთად-ერთი წყაროა, სადაც ამ ეპოქის შესახებ მოყვანილია ისეთი ცნობები, როგორიც სხვა საბუთებში არ მოიპოვება.

აღწერას ორი წინასიტყვაობა აქვს. ერთი მოთავსებულია აღწერის დასაწყისში, მეორე—97 გვ. სადედოფლო სოფ. წინწყაროს აღწერის წინ. პირველ წინასიტყვაობაში ვახუშტი და გივი მდივანი იგზავნებიან მეფე ვახტანგის მიერ ასაწერად „მეწინავე დროშისა, საბარათაშვილოის და სომხითისა“ (გვ. 1.) მეორე წინასიტყვაობაში იგივენი იგზავნებიან რუსულან ლედოფლის, ვახტანგ მეფის მეუღლის მიერ „აღწერად სადედოფლოს თვისისა საბარათაშვილოისა და სომხეთის (უნდა. იყოს სომხითის) თავადთა, აზნაურთა და გლეხთა“ (გვ. 99).

ორი წინასიტყვაობის მოქცევა 1721 წ. აღწერაში გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აღწერის დებულების თანახმად (დასტ. თავი 38), ქვეყნის აღსაწერად სარდალთან ერთად ერთ მხარეს მეფის მდივანი იგზავნებოდა, მეორე მხარეს — დედოფლის მდივანი. და რადგან ამ შემთხვევაში მდივანი გივი გაგზავნილი იყო როგორც მეფის, ისე დედოფლის მიერ, ამიტომ ორივეს მინდობილობა, წინასიტყვაობის სახით, აწერლებს მოუქცევით აღწერაში: სამეფო საბარათაშვილოს აღწერის დასაწყისში — მეფის დავალება და სადედოფლო საბარათაშვილოს აღწერის დასაწყისში — დედოფლის დავალება.

§ 11. მთელი მეწინავე სადროშოს რაიონი ხუთ ნაწილადაა დაყოფილი. ესენია: სამეფო საბარათაშვილო (გვ. 1—96), სადედოფლო საბარათაშვილო (გვ. 97—156), საყაფლანიშვილო¹⁾ (გვ. 159—232), სომხითი (გვ. 233—288) და სამეფო ტაშირი (გვ. 288—296). აქედან მხოლოდ სომხითია გეოგრაფიული ტერმინი თავისი საზღვრებით, სამეფო ტაშირია შეიცავს აღწერას მხოლოდ მეფის მამულებისას ტაშირში, დანარჩენი სამი სახელწოდება — ორივე საბარათაშვილო და საყაფლანიშვილო შეიცავენ სხვადასხვა მხარეების სოფლებს იმის მიხედვით — სამეფო და სადედოფლო თავადებად და აზნაურებად ითვლებოდნენ იქ სოფლების ყმების მფლობელები, ანუ იმის მიხედვით — ეკუთვნოდნენ იქაური ყმები მეფეს, დედოფალს თუ ყაფლანიშვილებს.

ქვ. ქართლის ამგვარი დანაწილება არ შეეფერება ვახუშტის გეოგრაფიაში ჩამოთვლილ მხარეებს (იხ. II ნაწილი). იქ, როგორც დავინახავთ, ჩამოთვლილია: ალგეთი, ბერდუჯი, ბანბაკი, დბანისის ხეობა, თრიალეთი, სკვირეთი სომხითი, ტაშირი, ქციის ხეობა (იგივე ქციის ხრამი), ყაიყული (იგივე აბოციქყარაბულალი (იგივე ზურტაკეტი) და ცალკე აღნიშნულია, თუმცა დაუსახელებლად, მტკვრის გაღმა მხარე.

1721 წლ. აღწერაში კი მთლად სომხითია გამოყოფილი თითქმის სრულიად. ტაშირის მხოლოდ ის ნაწილია გამოყოფილი, რაც შეეხება მეფის ან ყაფლანიშვილების მფლობელობას. ამავე გარდა საყაფლანიშვილოში გამოყოფილია დბანისის ხეობა²⁾ და ყარაბულალი და იქ აღნიშნულია ის სოფლები, სადაც ყაფლანიშვილებს ყავდათ ყმები. მაგიერად იქ მოთავსებული არიან რაიონები „დაბალი“ და „ლოქი“, რომლებიც ვახუშტის გეოგრაფიაში არ სჩანან. საყალ-ნიშვილოს „დაბალში“. 1721 წლ. აღწერით შედიოდა ვახუშტის გეოგრაფიაში მოხსენებულის შემდეგი მხარეების — ქციის და დბანისის ხეობების და

¹⁾ იოსებ ანთაძეს (იხ. კრებული, გამოცემა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტობისა) საყაფლანიშვილო მოუქცევია სომხითში (გვ. 55, 59) ეს, რასაკვირველია, შეცდომაა, არა თუ დბანისის და ქციის ხეობები, არამედ თვით ტაშირი სომხითის ნაწილად არ შეიძლება ჩაითვალოს. იგი, როგორც დავინახავთ (იხ. მე-2 ნაწილი § 44), იყოფოდა ორად: საბარათაშვილოდ და სალოროდ. ყაფლანიშვილების ყმები იყვნენ მხოლოდ ტაშირის საბარათაშვილოს ნაწილში, თვით-სომხითში კი ყაფლანიშვილებს მეტად მცირე ყმა ჰყავდათ და ისიც უმეტესად არა სამკვიდრო, არამედ ნასყიდი.

²⁾ დბანისის ხეობაში მოქცეულია ალგეთის სოფელი მარაბდა (გვ. 169), სადაც ყაფლანიშვილების აზნაურს ზურაბ ჩაჩიკაშვილს ყავდა „ნასყიდი“ ყმები. თვით ყაფლანიშვილებს ალგეთში ყმები არ ყოლიათ, ამიტომ ჩაჩიკაშვილის მარაბდელი „ნასყიდი“ ყმებიც არ შეიძლება საყაფლანიშვილოს მიეწეროს.

ყარაბულალის რამდენიმე სოფელი¹⁾: „ლოქში“ შედიოდა დბანისის ხეობის, სომხითის და ტაშირის საზღვრებზე მდებარე ზოგიერთი სოფლები. რაც შეეხება ორივე საბარათაშვილოს, ისინი სრულიად არ არიან მხარეებად დაყოფილი და მებატონეები და სოფლები მოქცეულნი არიან იმათში ქვ.-ქართლის ყველა ნაწილებიდან. მხოლოდ შემდეგი სოფლების შესახებ ნათქვამია, რომ იგინი მდებარეობენ თრიალეთში: ეძანი (გვ. 7), ახალქალაქი (გვ. 14), უგუდეთი, (გვ. 41), (როგორც შემდეგ დავიხანავთ, უგუდეთი მდებარეობდა ალგეთში და არა თრიალეთში), საბატე (გვ. 39), ტამალია (გვ. 95).

სოფლების აღნიშვნა, ამ დანაწილების თანახმად, თითქმის სრულიად დაცულია, შემდეგის მცირე გამონაკლისს გარდა:


1. სომხითის სოფლები: ბოვაძორი (ბეჟან შერმადინაშვილისა) მოთავსებულია სადედოფლო საბარათაშვილოში (გვ. 131); ციხის სოფელი (მუშა მუსტოფასი) მუშა მუსტოფას და მეფის ტაშირის სოფლებში (გვ. 295); ჭაპალა (სოლდაშვილების) სადედოფლო საბარათაშვილოში (გვ. 143—145), მაშინ როდესაც ეს სოფლები სომხითში უნდა ყოფილიყვნენ აღნიშნულნი.

2. ყაფლანიშვილების ახნაურ ზურაბ ჩაჩიკაშვილის ყმები მარაბდაში, რომელიც მდებარეობდა ალგეთში, მოქცეულია დბანისის ხეობაში (გვ. 179), მაშინ როდესაც საყაფლანიშვილოს აღწერის ტერმინოლოგიის თანახმად, იგი მოთავსებული უნდა ყოფილიყო „დაბალში“, როგორც მოთავსებულია ასლამაზ ყაფლანიშვილის ნასყიდი ყმა ალგეთის ხეობის სოფ. ჩხიკეთაში (გვ. 160) მცხოვრები.

3. მაშავერის მარცხენა მხარეზე მდებარე ყაფლანიშვილების სოფლები შინდლარი და საკარისები მოქცეული არიან ყარაბულალის ხეობაში (გვ. 205—206), მაშინ როდესაც, იმავე ტერმინოლოგიის თანახმად, იგინი მოთავსებული უნდა იყვნენ ან დბანისის ხეობაში, ან „დაბალში“.

§ 12. აღწერა, მცირე გამონაკლისს გარდა, შედგენილია ქვემო-ქართლის ზემოხსენებულ ნაწილების მებატონეების მიხედვით, ასე რომ ერთი და იგივე მებატონე იმდენჯერ არის აღნიშნული, რამდენ ნაწილშიაც მას ყავდა ყმა. მაგ. მეფე იხსენიება ოთხჯერ, რადგან მას ჰყავდა ყმები სამეფო საბარათაშვილოში, სომხითში, ტაშირში და საყაფლანიშვილოში (დბანისის ხეობაში); დედოფალი იხსენიება ორჯერ, მას ჰყავდა ყმები სადედოფლო საბარათაშვილოში და სომხითში. სომხითში მეფე დედოფალი ორორ-ჯერ არის მოხსენებული, მაგრამ ეს რედაქციის ბრალი უნდა იყოს. ამილახორი მოხსენებულია ორჯერ, ყავდა ყმები სამეფო საბარათაშვილოში და სომხითში. ასე რომ ერთი და იგივე სოფელი იმდენჯერ მეორდება, რამდენ მებატონეს ჰყავდა მასში გლეხები; აბრამეთი სამკერაა მოხსენებული, აბულმაგი 9-ჯერ, ანდრია 11 ჯერ და სხ., რადგან ამდენ მებატონეს ყავდა იქ ყმები.

¹⁾ „დაბალში“ მოქცეულია ალგეთის სოფელი ჩხიკეთა, სადაც ასლამაზ ყაფლანიშვილს ყავდა „ნასყიდი“ ყმა. ყაფლანიშვილებს ალგეთში სამკვიდრო ყმები არ ყოლიათ, ამიტომ ასლამაზის ჩხიკეთელ „ნასყიდი“ ყმაც არ შეიძლება საყაფლანიშვილოს მიეწოდებინათ.



ამგვართვე საყაფლანიშვილოში ერთი და იგივე მემამულე იმდენჯერ იხსენიება, საყაფლანიშვილოს რამდენ რაიონში ჰყავდა მას ყმები (ახნ. ჩ. ჩიკა-შვილება, ყაითმაზაშვილები და სხვა).

ცხადია, ის ვარიანტი, რომელზედაც ახლა გვაქვს ლაპარაკი, პირველი რედაქცია არ არის. ტექნიკურის მხრივ შეუძლებელი ამწერლებს აეწერათ თუ გინდ ქვ.-ქართლის ერთ ნაწილში ჯერ ერთი მებატონის ყმები ყველა იმ სოფლებში, სადაც მას ყმები ყავდა, და შემდეგ დაბრუნებულიყვნენ ისევ იმავე სოფელში მქოლე მებატონის ყმების ასაწ რად. შემდეგ მესამის და ასე ა' გვარად.

აღწერა უთუოდ ხდებოდა სოფლობით, ე. ი. ჯერ აღიწყოებოდა ერთი სოფლის მოსახლეობა მებატონეების, მემამულეების და მათი ყმების აღნიშვნით. შემდეგ მეორე სოფლის, მესამესი და სხ. ბოლოს, იმ რედაქციის შედგენის დროს, რომელიც ჩვენამდე მოღწეულა, შეუჯგუფებიათ ყმები მებატონეების მიხედვით.

იგი არც მეორე რედაქციაა. ე. თაყაიშვილის იმავე გამოცემაში დაბეჭდილია 1721 წ. აღწერის სხვა რედაქციის ნაწილი, სადაც მოთავსებულია მეტი ცნობები (გვ. 362—406). ამ მქოლე რედაქციაში აღნიშნულია ბოგანოების გვარები, დამატებითი ცნობები აყრილებს შესახებ, რომელიც ჩვენს ვარიანტს, რამოდენიმე შემთხვევას გარდა, სრულიად აკლია. ხოლო სისტემა და შინაარსი დატულია იგივე. ეტყობა, პირველი რედაქციის შემდეგ შედგენილი იყო მეორე რედაქცია, რომლის ნაწილს წარმოადგენს ბოგანოების გვარების და დამატებითი ცნობების შემცველი ვარიანტი, და მხოლოდ ამ ვარიანტიდან ბოგანოების გვარების და ზოგიერთი აღწერის მიზნის გაჩეხე ცნობების გამოკლებით შეუდგენიათ ის აღწერა, რომელსაც ჩვენ ახლა ვიკვლევთ.

იმ დიდმნიშვნელოვან ცნობების გამო. რომლებსაც შეიცავს ხელნაწერი № 3037, ჩვენ საჭიროდ დავინახეთ მისი ხელმეორედ გამოცემა. მითუმეტეს იყო ეს საჭირო, რომ ეს აღწერა საუფძვლად უფვეს მთელ ჩვენს გამოკვლევას მხოლოდ ტექსტი გავსწმინდეთ სარედაქციო ნაკლისაგან და შეჯგუფებული სტატისტიკური ცნობები მოვაქცევთ ერთგვარ ცხრილებში (იხ. დამატება § 23—33).

1721 წლ. აღწერის ხელნაწერის შესახებ, გარდა თაყაიშვილის ხემოყვანილი წინასიტყვაობისა, აღწერა და განმარტება აქვს პროფ. ივ. ჯავახიშვილს თავის „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“ (გამოც. 1930 წ. წიგნი 1, გვ. 18).

სამეფო და სადედოფლო საბარათაშვილოში და აგრეთვე სომხობაში პირველად აღწერილია მეფის და დედოფლის სახასო, სახასოდან „გაცეჟული“ და მეფედედოფლის ხელქეით მემამულეების ყმები, შემდეგ მეფის გვარეულობის, უდიდესი მებატონეების (ამილახორის, ციციშვილების, გოსტაშაბაშვილების და სხ.) და ბოლოს, დანაჩინი მებატონეების ყმები. საყაფლანიშვილოში და სამეფო ტაშირში კი, რასაკვირველია, ამგვარ სისტემას ადგილი არა აქვს, რადგან იქ მებატონეებად იყვნენ პირველში მხოლოდ საყაფლანიშვილები, მეორეში — მეფე.

1921 წლ. აღწერის ვარიანტი.

§ 13. როგორც ზევით იყო მოხსენებული, თაყაიშვილის „მასალებში“ გამოქვეყნებულა 1721 წლის აღწერის საყაფლანიშვილოს ნაწილის ვარიანტიც (გვ. 362—406). მისი ხელნაწერი იოანე ბატონიშვილის ბიბლიოთეკიდან შეუ-

ქენია პეტერბურგის საჯარო წიგნსაცავს, სადაც პირი გადმოუღია პროფ. ივ. ჯავაიშვილს, და თაყაიზვიერ ს ეს ვარიანტი დაუბეჭდია ამ პირიდან. ახლა დედანი ინახება საქართველოს მუზეუმში (საეტნოგრ. მუზეუმის კოლექცია №1366). ვარიანტი გადაწერილი უნდა იყოს მე XIX საუკ., რადგან ერთ აღგილას გვარი (გვ. 402) აღნიშნულია რუსული დაბოლოებით: „მგალობელი“, 1721 წლ. აღწერის სრულ რედაქციაში (იხ. § 10) კი მისი გვარი „მგალობელია“ (გვ. 229). ვარიანტი ეხებზ იმ სოფლებს, რომლებიც აღნიშნულია თაყაიზვილის გამოცემაში 1721 წ. აღწერის სრული დედანის 160—170 და 206—232 გვ. რდებზე. ორივე ნაწილი მიწებებულია ერთი მეორეზე, მაგრამ როგორც პირველს, ისე მეორეს აკლია დასაწყისი და ორივეს თავში მოქცეული სოფლების მირტაშენის და ჩინდლარის ყმებს სიაც მხოლოდ ნაწილობრივ შენახულა.

ვარიანტი სრულებით მიყვება 1721 წლ. სრულ რედაქციას, მხოლოდ არის ზოგიერთი განსხვავებანი:

1. სოფლების უმეტეს ნაწილს უზის სიტყვა „სახასო“. მაგ. მუგუთი—სახასო, იფნობი—სახასო, რაც 1721 წ. სრულ რედაქციაში არაა, ან ამ სიტყვის მაგიერ არის სიტყვა „ყფლანიანთ“; ისიც ორიოდ შემთხვევაში.

2. ბევრ სოფელს უზის სიტყვა „სოფელი“ მაგ., მოლაყასუმას სოფელი, ქვემო-დელიყუოიჯანი სოფელი, რაც სრულ რედაქციაში არაა.

3. ბოგანოებს უზის ხშირად სახელი და გვარი, ყოველთვის თითო „კომლი“ და „თავი“, ზოგიერთ შემთხვევაში აყრილებსაც უზის სახელი და გვარი (გვ. 374). შინდლარში კი აყრილებს უზის გვარი, სახელი, კომლი და თავი; სრულ რედაქციაში ეს არაა.

4. იფნობში გამოტოვებულია „საყდრის ყმა გოჩალაშვილი გოდერძა ბოგანო (გვ. 163—365¹); აკოფას სოფელში (211—381) გამოტოვებულია პაპი-აშვილი მიჩიტა „კ. 1, თავი 2“, რომლებიც ჩანან სრულ რედაქციაში.

5) 1721 წლ. აღწ. სრულ რედაქციაში სოფლები ბაზითალა, სამალალექი, უნდუში, ჯურარი და შუმბუნი მოხსენებულია მარტივად, როგორც აყრილი (გვ. 220). ვარიანტში კი ნათქვამია: ბაზითალაზე — „იქ სამი კომლი სახლებულა“, სალამალექზე — „იქ სამი კომლი სახლებულა“ შუმბუნზე — „აყრილი სოფელი ახალი შუმბუნი“, უნდუშზე და ჯურარზე „აყრილი სოფელი“.

6. რამდენსაჲ სოფელში ქვრივებიც არის ნაჩვენები ყმებად თუშუა მათ კომლი არ უზის და საერთო ჯამის გამოანგარიშებაში ისინი არ შედიან; ზემოჯანბალაში (გვ. 208—378) — „ეროი ქვრივი“, ქვემო დელიყულიჯანში — (გვ. 20—379) „ორი ქვრივი“, ქალის სოფელში (გვ. 212—382) — „ერთი ქვრივი, ობოლი ყავს“, აზბულახში (215—386) — „ერთი ქვრივი, ობოლი ყავს“.

7. მირტაშენის ყმების საერთო ჯამის გამოანგარიშების შემდეგ ნათქვამია (160—362): „აქვე შარმადინაშვილს რომ „მისცემია“.. ჩამოთვლილია 8 კომლი, 8 თავით: 3 მალიაშვარი, 3 ყარახანაშვილები. 1 მარქარაშვილი და 1 სარქისაშვარი. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება სოფ. მუგუთის აღწერა. 1721 წლ. აღწ. სრულ რედაქციაში ეს აბზაცი სრულებით არ არის. მაგრამ სადედოფლო საბა-

¹ ამ წ-ში ფრჩხილებში ჩასმული ც. ფრები უჩვენებენ: პირველი 1721 წლ. სრული რედაქციის გვერდებს თაყაიშვილს გამოცემიდან, მეორე — მისი ვარიანტის იმავე გამოცემიდან.

რათა შეილოში, სადაც შერმად ნაშვილის ყმებია აღწერილი მირტაშენში (გვ. 130); აღნიშნულია ორი ყმა (მალიაშვილი ულუხანა და მარტარაშვილი არუთინა), რომლებიც მოთავსებული არიან ზემომოყვანილ აბზაცში.

რამოდენიმე შემთხვევაა, როცა ყმებს განმარტება აქვს: „ესენი (ე. ი. ზემოთ ჩამოთვლილი ყმებ) განაყაი არიან“. მაგ., ჭრეში ორჯელ (166—369), (177—369), ჯვარში (169—373) და ბურვილში (170—374).

9. შემდეგი გამოანგარიშება განსხვავდება 1721 წლ. აღწ. სრული რედაქციისაგან: (215—387) ყარაქილისიაში აყრილთა რი, ხვი 20-ია ნაჩვენები 6 მაგიერ (220—392), ხანძორში (ხანძორი) 3 აყრილია ნაჩვენები ერთის მაგიერ; (226—398) თოფრაცალსა და ეგრისში ქაიხოსრო ყაფლანიშვილის ყმები ნაჩვენებია: „კომლი 1, ბოგანო 1“—ორი ბოგანოს მაგიერ; (231—405) შაშილეთში ნაჩვენებია „აყრილი სახლი ილაძისა, აყრილი პაპუასი—ორი აყრილის მაგიერ (216—387); გატეხილ საყდარში ნაჩვენებია 5 აყრილი სამის მაგიერ.

10. ბერთაქარის და ჯავშანიანის ყმები ყაფლან ყაფლანიშვილის (231—404) ნაჩვენებია როგორც „ნასყბი“, სოფ. საკარისის ერთი ყმა კოჭლანა ყაფლანიშვილებისა (206—375) „ახალ მოსულად არის აღნიშნული“.

11. წიჯორში (გვ. 168—371) ნაჩვენებია ალთუნაშვილის ყმა „რევაზი-შვილები აყრილი“, რომელიც სრულ რედაქციაში არაა.

12. ქვემო თალას (168—372) ყაითმაზაშვილი რამაზას შესახებ ნათქვამია: „აყრილი სახლი მეხრისა—1, თვითონ სენის დროს აქ დადგების“, რაც არ არის სრულს რედაქციაში.

13. ბოლოს, ტაშირის სოფლების აყრილების გამო შემდეგი შენიშვნებია იმის შესახებ, თუ როდის და რამდენი ყმა აყრიოა: (იხ. ცხრ. 21 გვ.)

აქ ჩამოთვლილ მუხლებიდან სჩანს, რომ უმთავრესი განსხვავება 1721 წლ. სრულ რედაქციასა და მის ვერსიანტს შორის მდგომარეობს სხვადასხვა წვრილმანებში და ისეთ შენიშვნებში, რომელთაც აღწერის დასახული მიზნისათვის (იხ. § 10) დიდი მნიშვნელობა არ ქონდათ, ამიტომ უკანასკნელი სრული რედაქციის შედგენის დროს ყველა ეს შენიშვნები გამოუტოვებიათ და ამით გაუწმენდიათ აღწერა. ამ გამოკვლევაში ჩვენ ტხელმძღვანელობთ სრული რედაქციით.

IX. 1701/11 წლის აღწერა საქაფლანიშვილოსი.

§ 14. იმავე „მასალეში“ ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა საქაფლანიშვილოს ნაწილის სხვა აღწერა (გვ. 297—361). ამ აღწერის დედანი წინედ ინახებოდა ლეინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში. ახლა იგი დაცულია საქართველოს მუზეუმში (საისტ.-საეტიმოგ. საზოგად. კოლექცია № 1364). გამოცემა დაბეჭდილია იმ პირისაგან, რომელიც გადმოუწერია პროფ. ივ. ჯავახიშვილს.

გამომცემელი ე. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ ამ აღწერაში „მოთავსებულია მარტო სახასო გლეხები მეწინავე დროშისა“ და რომ იგი „ამთავრებს მეწინავე დროშის საბარათაშვილოს, სომხითის, ტაშირის, ყაიყლის და თრიალეთის აღწერას“. როგორც ქვევით დავინახავთ, ორივე ეს დებულება შეშცატარია. შიგ მოქცეულია მხოლოდ ყაფლანიშვილების როგორც სახასო, ისე

სოფლები	1721 წლ. აღწერით.		1701/11 წლ. აღწერით:	
	გვ.	შინაარსი	გვ.	შინაარსი
ხანზადას (ხანდაზას) სოფ.	207	ოხერი	376	სოფელი აყრილია „დიდი ხნის“
ჭუკა (ჭუკას სოფელი)	208	აყრილი	377	აყრილი „მულუშისაგან“
ახარ-ქალაქი	208	„	377	აყრილი „ახალი“
ზემოჯანბაღჩა	208	„	378	„ახლა აყრილია“
მოლაყასუმი	209	„	378	„ახალი“ აყრილი
სულეიმანის სოფ.	209	„	379	„წრეულს“ აყრილი
ქვემო დელიყულიჯანი	210	„	379	აყრილი „ახალი“
ზემო დელიყულიჯანი	210	„	380	აყრილი „ზოგი წრეევანდელი. ზოგი შარ- შანდელი“.
ყოშა-ქილისა	211	„	381	„ათი ახლა აყრილია და ექვსი შემოდ- გომაზედ“.
აკოფას სოფელი	211	„	381	„აყრილი 14,6 შემოდგომაზედ. და სხვა ახლა აყრილია“.
წითელი ეკლესია	212	„	382	აყრილი „შემოდგომაზედ“.
ჭალის სოფელი	212	„	382	აყრილი „ზოგი ძველი და ზოგი ახალი“.
სირჩაპატი	212	„	383	„ზოგი ძველი და ზოგი ახალი“ აყრილი.
ალზიბუქი	213	„	383	აყრილი „ახალი“
შავი საყდარი	213	„	383	აყრილი „ახალი“
ჩარდახლუ	214	„	384	აყრილი „ახალი“
ჩახმახლუ	214	„	384	„სულ აყრილი არის, ახლა აყრილია“
შიშტეფა	214	„	385	„ახლა“ აყრილი
მწყნეთი	214	„	385	„ამ ჯამთარ აყრილია“
ფარჩუხლე	215	„	385	„დიდი ხნის“ აყრილია
მდივანაზეგის სოფ.	215	„	386	„ახლა“ აყრილი
ახბულახი	215	„	386	„ახლა“ აყრილი
ყარაქილისა	216	„	387	„ცხრა შარშანწინ და თერთმეტი ახლა აყრილია“
პატარა ჯანბაღჩა	216	„	387	აყრილი „წრეევანდელი“
ვატეხილი საყდარი	216	„	387	„აყრილი, ორი შარშან და სამი წრეულს“.
მეორე ჭალის სოფ.	217	„	387	აყრილი 3 „სამი შარშან და ოთხი ახლა“.
ვალავერი	217	„	388	აყრილი 8, 9 შარშან და 1 წრეევანდელი
პატარა ყარაქილისა	217	„	388	„ახალი“ აყრილი.
მეორე ყამიშის სოფ.	218	„	389	აყრილი შემოდგომაზედ კომლი 3“.
ხუცის სოფელი	218	„	389	აყრილი 3 „დ შემოდგ. 3 ახლა“.

შათი მემკვიდრეების ყმების ნაწილი სხვადასხვა რაიონებში, და ისე როგორც 1721 წლ. აღწერის საყოფლანიშვილო განყოფილება არ ეხება თრიალეთს. ყაი-ყული ხომ სრულად არ არის 1722 წლ. აღწერაშიაც.

დედანი დაწერილია რამდენიმე ერთი მეორეზე მიწებებულ გრაგნილ ნაჭრებზე. თითო ნაჭერზე მოთავსებულია უფრო ხაირად ერთი სოფელი, ზოგიერთ შემთხვევაში — ორი სოფელიც. დაუწერავი ადგილები მეტად ბევრია.

ხელნაწერა არავი, არი მინაწერი ან აქვს არც თავში და არც ბოლოში, იწყება პირდაპირ სოფელ შინდლარიდან „შინდლარი მსახლობელი მამასახლისი შალვა კი — 1, თავი 3“. მხოლოდ პირველი ნაჭერის მეორე გვერდზე აწერია „საორბელოშვილოს დავთარი“.

აღწერაში სულ 10 სოფლის ყმები არიან ჩამოთვლილი. ამ 120 სოფლის ყმებიდან ჯეო 24 სოფლის ყმებია აღნიშნული მებატონების ან მემამულეების დაუსახელებლად, შეჰდევ მებატონე სარდლის „სახასო“ ყმები 10 სოფელში, მებატონე მდივანბეგის „სახასო“ ყმები 12 სოფელში, მებატონე მ. მუკას „სახასო“ ყმები 13 სოფელში და ბოლოს მებატონე პაპუას „სახასო“ ყმები 8 სოფელში. სულ 66 სოფელში, (რადგან ერთ სოფელში (საკირეში) ორ მებატონეს სარდალს და პაპუას ყოლიათ ყმები. სოფელი საკირე კი 1721 წლ. აღწერაში არ იხსენიება, ამიტომ არა გვაქვს საბუთი, იგი ორ სოფლად მივიღოთ). სოფლების ამ კატეგორიას უნდა მივუძღვოთ 6 სოფლის ყმები (ავახანი, ჯვარი, ბოცხოეთი, ბურკილი — ბერკილი, ზემო მიჯახი და ნარიას სოფელი). რომლებიც მოთავსებული არიან მებატონის ან მემამულის დაუსახელებლად მემამულეების ყმებს შორის. ამგვარად, მებატონის ან მემამულის დაუსახელებლად ამ აღწერაში აღნიშნულია სულ 34 სოფელი, მებატონის დასახელებით — 42 სოფელი.

მემამულეების ყმების აღრიცხვა იწყება ზ. მოხსენებული მებატონე პაპუას ყმების შემდეგ. მემამულეებს ჰყოლიათ ყმები 65 სოფელში, აქედან 17 სოფელში — მებატონეებთან ერთად და 48 სოფელში — მხოლოდ მათ.

§ 42. დანარჩენი 15 სოფელი ვახუშტის სიისა და 13 სოფელი და 5 ნასოფლარი დასტურლამალისა სახელებით განსხვავდებიან და მათი შეთანახმება და შესატყვისობა ჯერჯერობით შეუძლებელია. ეს სოფლები და ნასოფლარები შემდეგია:

184	ალიხანას სოფელი	ბანო—სამოურაო როსტომისა
202	გოლი (მეორე)	თაფალასი—სამოურაო პაატასი
203	იელდიოღლი	მარქარას სოფელი—სამოურაო დურმიშხანისა
213	კარაკოხას სოფ. (მეორე)	მისირას სოფელი—სამოურაო მზექაბუკის
210	მოლა აბდულას სოფელი (რუკაზე ბოლა ბულას სოფელი)	მონათის სოფელი—სამოურაო ფარასი
179	მირის სოფელი	სარქისას სოფელი—სამოურ. გოგიბაშვილისა
198	ოქსუზი მეორე	ფირმამადას სოფელი—სამოურაო უზბაშისა
195	რევაზის სოფელი	ყაზის სოფელი სამოურაო ფირმამადას შვილისა
196	სოფელი (რუკაზე არაა)	ყალაჩის სოფელი—სამოურაო მამედისა
186	ფარემუხას სოფელი	ყურუჩა—სამოურაო ოთარ ყაფლანიშვილის
187	ფარემუხას სოფელი მეორე	შეუკერის სოფელი—სამოურაო აზიზას შვილისა
		ხუცის სოფელი—სამოურაო ქეშალუ ხოჯასი
		ჯიგრაშენი—სამოურაო დოლენჯიშვილისა
		ნასოფლარი—სამოურაო რძიებისა (?)
		ნასოფლარი—სამოურაო ანაყიზ ოღლისა
		ნასოფლარი
208	ქალის სოფელი	ნასოფლარი
183	ხოზიას სოფელი	ნასოფლარი
214	ხურუტას სოფელი (რუკაზე ხუსტა ოღლის სოფელი)	ნასოფლარი

ამ გამოკვლევაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ ვახუშტის რუკის და სიის ცნობებით.

ჩვენს სიაში (§ 71) ვახუშტის რუკაზე და სიაში ნაჩვენები სოფლების სახელწოდებანი დანომრილია ჩვეულებრივი რიგით. დანომრბლია აგრეთვე სოფ. ბეთლემი—ჯიგრაშენი, რომელიც იხსენიება არა მარტო დასტურლამალში, აგრეთვე 1692 წლ. სიგ. (სიძვ. II—310); დასტურლამალის დანარჩენი სახელწოდებანი, როცა ისინი არ ეთანახმებიან ვახუშტისას, არიან აღნიშნული ორმაგი ნომრებით.

ბანბაკი, ბერლუჯი და ლორის რაიონი

§ 43. ვახუშტი ბატონიშვილის არც გეოგრაფიაში და არც რუკაზე ეს სამი მხარე განსაზღვრული არაა ერთი მეორისაგან. ვახუშტის სოფლების სიებში ხომ მათი სოფლები სრულიად არ არიან ნაჩვენები. გეოგრაფიაში (გვ. 136—140) მათი აღწერა იწყება ბერლუჯით, შემდეგ გადადის ბანბაკის და ლორის მხა-

რეებზე, შემდეგ ბერდუჯის მონასტრებზე და ბოლოს ხელახლა ლორის და ბანბაკის არეზე და მათ ქალაქებზე. ამგვარათ, აღწერა როგორც მხარეების, ისე მოსახლეობის, ერთმანეთში არეულია. რუკაზე სამივე მხარის დასავლეთის საზღვარი იწყება მდ. დებედას და ქციის შესართავიდან, მიყვება მდ. დებედას სამხრით ახპატა-სანაინამდე, უვლის ირგვლივ ამ ორი მონასტრის მიდამოებს. შემდეგ გადადის მდ. დებედას მარცხენა მხარეზე, მიყვება იმ მთაგორებს, რომლებიც ყოფენ შულავერის წყალის და ფოლადაურის შემდინარე წყლებს დებედას შემდინარე წყლებისაგან, შემდეგ იმ მთაგორებს, რომლებიც ყოფენ მდ. ტაშირის ლორის ციხის აღმოსავლეთით და დასავლეთით შემდინარე წყლებს, და შემდეგ აღმოსავლით მდ. ტაშირის წყლით მის და დებედას შესართავამდე*). აქედან სამხრით მდ. დებედით იმ მთა-გრეხილამდე, რომელიც ყოფს ტაშირის წყლის შემდინარე წყლებს მდ. ბანბაკის შემდინარე წყლებისაგან და ბოლოს დასავლით ამ მთა-გრეხილით აბოცის მთაგრეხილამდე.

რუკაზე ამ საზღვრებში მოქცეულია შემდეგი ქალაქები, დაბები და სოფლები: აგო, არდუზა, აქორი, ბანბაკი, ბერდიკი (ბერდუჯი), ბოიალსა, გატეხილი ხილი, ლორე, უწუნი, შიდაკარი. ამათ უნდა დაემატოს ახპატი, სანაინი, ბაშბეუქი და ვართაპეტის სოფელი, რომელთაგან პირველი სამი რუკაზე სომხეთის საზღვრებშია მოქცეული, ვართაპეტის (ვარაპეტის) სოფელი კი მხოლოდ 1693 და 1792 წლ. სიგელებში (სიძვ. I-365,—368). გარდა ამისა, სანაინი და ბაშბეუქი სითაც სომხეთის რაიონშია მოქცეული (№№ 18—19). რომ ახპატი, ბაშბეუქი, სანაინი და ახპატის მეზობლათ მდებარე (იხ. სიძვ. I № 366) ვართაპეტის სოფელი სომხეთში კი არა, ბერდუჯის მხარეში იმყოფებოდნენ, მტკიცდება მით, რომ ვხვ. ახპატი და სანაინი (გვ. 138) ბანბაკ-ბერდუჯის მხარის საზღვრებშია ნაჩვენები, ახპატი მდებარე მდ. დებედას მარჯვენა მხარეზე, როგორც 1693 წლ. სიგელიდან (სიძვ. I-366,368) სჩანს, ეკუთვნოდა ბორჩალოს მებატონებს, მეფეს იგი ჩამოურთმევია და გადაუცია ზურაბისშვილებისათვის. ვართაპეტის სოფელი, იმავე სიგელების თანახმად, ახპატის მეზობლად მდებარე, ეკუთვნოდა ზურაბისშვილებს და, როგორც ასეთი, ბერდუჯის მხარის ყოფილა. რაც შეეხება ბაშბეუქს, იგი მდებარეობდა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ლორის რაიონის უცილობელ სოფელთა (ბოიალსა და არდუზას) შუა და ამიტომ შედიოდა ტაშირში.

ამ სოფლების მიკუთვნება ვახუშტის ზოგიერთ შრომაში სომხეთისადმი აიხსნება უთუოდ იმიტომ, რომ ახპატის და სანაინის მონასტრები ეპყრათ სომხებს (გეოგრ. გვ. 138), ბაშბეუქის და სანაინის სოფლები სომეხ მებატონებს არღუთაშვილებს (სია №№ 18—19), ამასთან ისინი მდებარეობდნენ სომხეთის და ბერდუჯის საზღვარზე (§ 40).

მხედველობაშია აგრეთვე მისაღები ის გარემოება, რომ ტაშირის ყველა ის სოფლები, რომლებიც ლორის რაიონს არ ეკუთვნოდა (§ 44), და აგრეთვე

*) ტაშირის წყლით მის და დებედას შესართავამდე საზღვარი მიღებულია ვახუშტის რუკის თანახმად, თუმცა საფიქრებელია სინამდვილეში, ტაშირის წყლის შემდინარე წყლებიდან დაწყებული საზღვარი მიდიოდა პირდაპირ სამხრით ბანბაკის მთაგრეხილამდე და შემდეგ აღმოსავლეთით ამ მთა-გრეხილით, მდ. დებედამდე.

სომხითის სოფლები, თითქმის ყველა აღნიშნულია 1721 წლ. აღწერაში; რომ აქ ჩამოთვლილი სოფლები სომხითის ანუ საბარათაშვილოს ტაშირის ყოფილიყენენ, იმათი ნაწილი მაინც უთუოდ მოექცეოდა ამ აღწერაში (§ 10).

§ 44. გამოსარკვევია მხოლოდ: 1) რა საზღვარი იყო ბანბაკსა და ბერდუჯის შორის, 2) რომელ მხარეს ეკუთვნოდა ლორი და 3) რა და რა სოფელი შედიოდა ამ სამ მხარეში. პროფ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიული რუკით, ბანბაკის აღმოსავლეთის საზღვარი და ბერდუჯის დასავლეთ-სამხრეთის საზღვარი მიყვებოდა იმ მთაგორებს, რომლებიც ყოფენ მდ. კარპის აღმოსავლეთით დებედას შემდინარე წყლებს ბერდუჯის მთაგრებილამდე. ეს საზღვარი ბუნებრივია და ამიტომ მისაღებიც. მაშინ ბანბაკის მხარეში ვახუშტის რუკის თანახმად რჩება მხოლოდ ერთი დასახლებული ადგილი, სახელდობ ქალაქი ბანბაკი.

ლორის რაიონის საზღვრების გამოსარკვევად საჭიროა გავიხსენოთ, რომ ბერდუჯის მხარე, იგივე ბორჩალო, არ გადადიოდა მდ. დებედას მარცხენა მხარეზე (იხ. §§ 45, 48). ამიტომ ყველა ის სოფლები, რომლებიც ვახუშტის რუკაზე მოქცეული არიან დებედას მარცხენა მხარეზე და რომლებიც გამოსაზღვრული არიან როგორც სომხითის, ისე ტაშირის მხარეებიდან, უნდა ვიგულისხმოთ ლორის რაიონად. ამ საზღვრებში ნაჩვენებია შემდეგი დასახლებული ადგილები: შიდაკარი, აკორი, აგო, არდუზა, უცუნი, ბოიალსა და ლორე. ამ მხარის საზღვრები გამორკვეულია ზემო ნათქვამიდან. ჩამოთვლილ სოფლებს უნდა დაემატოს: 1) ბაშბეუკი, რომელიც ვახუშტის რუკით მოთავსებულია სომხითის საზღვრებში, მაგრამ ნამდვილად კი იგი მდებარეობდა ლორის რაიონის შუა გულში ამ მხარის უცილობენ სოფ. ბოიალსა და არდუზას შორის (იხ. პროფ. ჯავახიშვილ. ისტორ. რუკა) და 2) ბარქადარა (იხ. ქვემოთ (1657 წლ. სიგელზედ).

ამასადაამე, ზემოხსენებულ სოფლებიდან ბურდუჯის მხარეში მდებარეობდა ქალ. ბერდიკი და სოფ. გატეხილი ხიდი. ამას უნდა დაემატოთ ახპატი, სანაინი და ვართაპეტის (ვარაპეტის) სოფელი, რომლებიც მდებარეობდნენ მდ. დებედას მარჯვენა მხარეზე და რომლებიც ამიტომ ტერიტორიალურად ეკუთვნოდნენ ბერდუჯის მხარეს.

თუ ლორის რაიონის ზემოხსენებულ სოფლებს შემოვავლებთ საზღვრებს პროფ. ივ. ჯავახიშვილის და რუსეთის გენერალური შტაბის რუკების თანახმად, გამოვა, რომ ლორის რაიონს საზღვრავდა ჩრდილოეთით სომხითი და აღმოსავლეთით სომხითი და ბერდუჯი, დასავლეთით სომხითი და ტაშირი. რადგან ბერდუჯის მხარე მდინარე დებედის მარცხენა მხარეზე არ გადადიოდა, ამიტომ ლორის რაიონი უნდა მივაკუთვნოთ ან ტაშირს, ან სომხითს.

უფრო სამართლიანი იქნება, თუ ამ რაიონს მივაკუთვნებთ ტაშირს, როგორც ამას ადასტურებს 1657 წლ. სიგელი (საისტ. მ. 1924 წ. I გვ. 173), სადაც ლაპარაკია ტაშირის საბარათაშვილოს და სალოროს (ლორის სახანოს) სოფლებზე და სადაც ნათქვამია: „ავდარასა და ბარქადარას შუა საქარაენო დიდი შარა რომ გაიარს, მარჯენივ საბარათაშვილოსკენ საბარათიანო არის და მარცხნივ ბარქადარა დარჩება. ის სალორო არის; ყანლუჯის გზა რომ შეიარს, იმის ზედათი საბარათაშვილო არის, რასაც ლელვარი გადმოხედავს, სასომხითო.

არის, იმის გარდა ის ლორისა არის, და ნურავინ ეცილებს“. არც ვახუშტის რუკაზე და არც სხვა ჩვენ მიერ განხილულ საბუთებში ავდარას, საქარავნო და ყალუნჯის გზების მდებარეობა ნაჩვენებია არ არის, მაგიერად ბარქადარა იხსენიება დასტურლამალში (თავი კე), როგორც მდებარე აიდარბეგის ხეობაში ე. ი. ტაშირში და 1703/9 წლ. სიგელში (სიძვ. III (№ 437), რომელიც ბატონიშვილს ვახტანგს მიუცია სამოურაოდ გივი თუმანიშვილისათვის, როგორც ტაშირის ნასოფლარი; ამიტომ ცხადია, რომ ლორის რაიონი ტაშირის მხარეს ეკუთვნოდა.

როგორც უკვე იყო ნათქვამი, ბანბაკი და ბერდუჯი ერთ სახანოს შეადგენდა. და ლორის რაიონი ცალკე ერთეულს (§ 10) და იმათი აღწერა არ ხდებოდა სომხეთის აღწერასთან ერთად. ამით აიხსნება ის, რომ, თუმცა ტაშირი 1721 წელს იყო აღწერილი, მაგრამ მისი ის ნაწილი, რომელიც შეადგენდა ლორის რაიონს, აღწერაში არ მოქცეულა.

ელის ტერიტორია:

§ 45 ამ შრომის მესამე ნაწილში, სახელდობ ქვ.-ქართლის მოსახლეობის სტატისტიკაში, გამოკვლეული იქნება, რომ დასტურლამალის ცნობებით ელის ხალხი მოსახლეობდა 76 თაბუნში, ამ რიცხვში არ შედიოდა ბერდუჯის და ბანბაკის მხარეებში მოხინადრე ელი. დასტურლამალში მოხსენებული თაბუნებიდან ვახუშტის რუკაზე და სოფლების სიაში აღნიშნულია მხოლოდ რამდენიმე მოსახლეობა, სახელდობ:

ქციის ხეობაში:

ალავარი (ვხრ, სიით მე-344 წინ)—დასტურლ. ცნობით—1 თაბუნი
ნაჯბადინი (იქვე) „ „ „ 2 „

აღგეთში:

ამირ ხასლუ (ვხრ, სიით 552 წინ)—დასტურლ. ცნობით 1 თაბუნი
სარვანი (იქვე) „ „ „ 1 „

მტკვრის ვალმა

დემეურჩი ასანლუ (ვახ. კახ. რ., სიით 682 შემდეგ)— 6 თაბუნი

დბანისის ხეობაში:

ნასიბლუ (ვხრ, სიით 216 წინ)—დასტურლ. ცნობით— 1 თაბუნი

სომხეთში:

დურღაია მირასან (ვხრ, სიით 72 შემდეგ.) „ 2 თაბუნი

სულ „ „ 15 ცალკე თაბუნი

პროფ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიული და თანამედროვე რუკით და 1930 წ. ადმინისტრ. დაყოფით შესაძლებელია აღვადგინოთ მდებარეობა ელის შემდეგი სოფლებისა და თაბუნებისა, რომლებიც მოხსენებული არიან დასტურლამალში.

ქციის ხეობაში:

არუხლუ—სოფელი რატევის ალმ. (ჯავ. თ. რ., 1930 წ. აღმ. დაყ. გვ. 51)				
ლრუქსენბურგის რაიონში	„	„	„	2 თაბუნი
ქოლაგირი—სოფელი არუხლოს ალმ. (იქვე)				1 „

აღგეთისა და მტკვრის გაღმის საზღვარზე:

ქაფანაქი 2, მტკვრის პირად ბაიდარის ალმ. (ჯავ. თ. რ., 1930 წ.)				
აღმ. დაყ. გვ. 60) ტფილისის რაიონში.	„	„	„	6 თაბუნი
ქოსალო სოფელი (იქვე)	„	„	„	1 „

სომხითში:

სარაჯლუ—სოფ. შულავრის ჩრდილ.-დასავლ. (ჯავ. თ. რ., 1920 წ. აღმ. დაყოფ. გვ. 53) ლიუქსემბურგის რაიონში.	„	„	„	1 თაბუნი
ქეშალუ (ქოჩულო) სოფ. მირასანის დასავლ. (იქვე)				2 „

სულ—13 თაბუნი

ამგვარად, ელის 76 თაბუნიდან, რომლებიც ნაჩვენებია დასტურლამალში, მხოლოდ 28 თაბუნის მდებარეობა შეიძლება ვცნათ აღდგენილად..

სახელდობ ამ 28 თაბუნიდან მოქცეული იყვნენ: აღგეთში 3, ქციის ხეობაში 6, მტკვრის გაღმა მხარეს 13, სომხითში 5 და დაბნისის ხეობაში 1 თაბუნი. საფიქრებელია, რომ დანარჩენი თაბუნებიც მოქცეული იყო ზემოხსენებულ მხარეებში (შესაძლებელია დაბნისის გარდა) და ბანბაკისა და ბერდუჯის მხარეში. უკანასკნელი მხარეები მისაღები არიან თანახმად ვხ გეოგრ. ცნობებისა (გვ. 138). დასტურლამაში მათი შეუტანლობა აიხსნება იმით, რომ ბანბაკი და ბერდუჯი ცალკე სახანოს შეადგენდნენ და იმათი აღწერა არც საზოგადოთ ქართლის სამეფოს აღწერაში და არც ქართლის ელის აღწერაში არ შედიოდა. (§ 10).

ვახუშტი ბატონიშვილს თავის გეოგრაფიაში ორი ცნობა აქვს მოყვანილი იმის შესახებ, თუ როდის დასახლდა ქვემო ქართლში ელის ხალხი: „ოდეს მიუხენა შაჰაბაზ მეფე გიორგის, მოიყვანა ელნი ბორჩალუ, დასხნა აქ და ამით ეწოდა ბორჩალუ“ (გვ. 138). ეს ცნობა შეეხება XVII საუკ. პირველ ათიან წლებს. „ნახიდურს ქვევით ქციის ამიერ-იმიერ კიდეს სახლობენ ელნი მამადნი, მოხარკენი და ქოლაშქრენი მეფისანი, არამედ ბაირდის სულტანი, რომელი დასხნა შაი სეფიმ ალავარს (შეცდომით ნათქვამია „ავლაბარს“) ქვევით ნაჯაბადინამდე და ეკლესია ნაზარამდე“ (გვ. 168). ეს ცნობა ეკუთვნის იმავე საუკუნის ოცდაათიან წლებს.

რადგან არ არის ცნობა, რომ ქვ.-ქართლში მანამდე ყოფილიყოს ელი, ამიტომ ცხადია, ის ელი, რომელზედაც ლაპარაკია მე-XVIII საუკუნის პირველ მეოთხედის წყაროებში (დასტურლ., ვახუშტის გეოგრაფია, რუკები და სიები), ნაწილია იმ ელის შთამომავლობისა, რომელიც დაუსახლებია იქ შაი აბაზს და შაი სეფის.

ამასთანავე ცხადი ხდება, რომ დასახლებიდან (მე-XVII საუკ. პირველ მეოთხედში) მე-XVIII საუკუნის დასაწყისამდე ე. ი. დახლოებით 70—100 წლის განმავლობაში ამ ხალხს გადაულახავს ამ ველად მიჩენილი საზღვრები და დაუპყრია ახალი ადგილები. დასავლეთით ისინი გადასულან სომხეთში და მისულან შულავერამდე, ერთ მათგანს (ნასიბლუ) დბანისის ხეობამდისაც მიულწევია. მაგრამ განსაკუთრებით ისინი გაწეულან ჩრდილოეთისაკენ ქციის ხეობაში, და ალგეთში და აღმოსავლეთისაკენ. უკანასკნელ შემთხვევაში გასულან მტკვრის გაღმაც ე. ი. მოკიდებიან ლილოების სამხრეთის და ყარაის მიწა-წყალს, სადაც უფრო კარგი საძოვარი ადგილები იყო და სადაც რუებიც იყო გაყვანილი.

გარდა ამისა ვახ. რუკაზე და სოფლების სიაში აღნიშნული არიან ელის შემდეგი სოფლები და ობები, რომლებიც ცხადად დასტურლამალში არ არიან დასახლებული, მაგრამ რომლებიც, საფიქრებელია, შედიოდნენ მდივანბეგის მიერ აღწერაში (დასკ. თავი 5დ):

ალგეთში:

ბაგრატიისა—2 ობა (სიით 552 წინ), საყალტუთნი—2 ობა, (იქვე).

სოდანლული (ყურყუთა) ობა (ვხრ, სიით 552 წინ), უსახელო 2 ობა (ვხრ), ლვინკრობი 4 ობა (სიით 552 წინ).

ქციის ხეობაში

ბაიდარი-„რუებზე“ 7 ობა. (ვხრ, სიით 344 წინ), სულთნის 2 ობა (იქვე).

მტკვრის გაღმა:

ლოკინის ხევი—1 ობა (ვხრ, სიით 683 შემდეგ)

სომხეთში

ალაღაჩი—20 ობა (სიით 1 წინ), მოლის ობა (ვხრ, სიით 2 წინ).

ყულარები—6 ობა (ვხრ, სიით 20 წინ).

ვახ. რუკაზე და სიაში ელის მოსახლეობა აღნიშნულია „ობებად“, სულ 67 ობა. ნათლად არ სჩანს, რას შეეფერებოდა ობა,—სოფელს, თაბუნს, თუ მხოლოდ რომელიმე მათ ნაწილს (იხ. III ნაწილი).

ჩვენ ამ გამოკვლევაში ვსარგებლობთ დასტურლამალის ცნობებით. რუკის და სიის ცნობები მოგვყავს როგორც პარალელური. სიაში (§ 71) დასტურლამალში აღნიშნული სოფლები დანომრილია ჩვეულებრივი ნომრებით. ვახ. სიის და რუკის ცნობები კი, როცა ისინი არ ეთანხმებიან დასტურლამალის ცნობებს, აღნიშნული არიან ორმაგი ნომრებით.

III. ქვემო ქართლის საზღვრები

§ 46, **ჩრდილოეთის საზღვარი:** ამ მხრით ქვ.-ქართლს ესამზღვრებოდა ქართლის სამეფოს მეოთხე სადროშო და კახეთი; იწყებოდა ბაკუ-ლიანის და თორის მთაგრეხილების შესართავიდან, სადაც გამოდის მდ. ქცია, გაჰყვებოდა აღმოსავლეთით თორის და არჯვენის მთა-გრეხილებს კლდეკარის მთამდე და დიდგორის მთაგრეხილს მის და სხალნარის მთაგრეხილის შესართავამდე, შემდეგ ჩრდილოეთით დიდგორისავე მთაგრეხილით მის და სათოვლის და სხალდიდის მთაგრეხილების შესართავამდე. აქედან საზღვარი მიდიოდა აღმოსავლეთით სხალდიდის მთაგრეხილით, უხვევდა ახალდაბას და თხილოვანს დასავლეთით და წავკისის და შინდისის მთაგორებით მიადგებოდა მტკვარს. აქედან საზღვარი აყვებოდა მტკვარს ჩრდილოეთით ხევძმარამდე, შემდეგ, აღმოსავლეთით ხევძმარას, აღმოსავლეთ-სამხრეთით მთა გორებს და ქვიტიკირის ლილოს ჩრდილოეთ მოუხვევდა სამხრეთისაკენ.

აღმოსავლეთის საზღვარი: ამ მხრით ქვ.-ქართლს ესამზღვრებოდა კახეთი და ყაზახი. იწყებოდა ქვიტიკირის ლილოს ჩრდილოეთით, იქვე მოუხვევდა სამხრეთ-აღმოსავლეთით, გადაჭრიდა ლოკინის ხევს და სამაგარის მთაგრეხილით და ჩადივარის მთით მიადგებოდა მრავალწყაროს, მრავალწყაროდან საზღვარი გაჰყვებოდა დავით გარეჯის მთაგრეხილს მწარე წყლამდე. ეს საზღვარი ყოფდა მტკვრის შემდინარე წყლებს იორის შემდინარე წყლებისაგან. აქედან საზღვარი მიდიოდა დასავლით მწარე წყლით მის და მტკვრის შესართავამდე, შემდეგ ჩრდილოეთით მტკვრით ამ მდინარის და ქციის შესართავამდე გატეხილ ხიდთან, შემდეგ საზღვარი მიყვებოდა სამხრეთით ბერდუჯის მცირე მთაგრეხილის მის და ერევნის მთაგრეხილის შესართავამდე. ეს საზღვარი ჰყოფდა დებედას შემდინარე წყლებს აღსტაფურას და ინჯიას შემდინარე წყლებისაგან.

სამხრეთის საზღვარი: ამ მხრით ქვ.-ქართლს ესამზღვრებოდნენ ყაზახი, სომხეთი და ყარსი; საზღვარი იწყებოდა ბერდუჯის და ერევნის მთაგრეხილების შესართავიდან, მიდიოდა დასავლეთით ერევნის მთაგრეხილით მისი და ჯერ აბოცი მთაგრეხილის შესართავამდე, შემდეგ ერევნის და ალაბაბის (გეოგრ. გვ. 180, რუკით ბაბის) მთაგრეხილების შესართავამდე. ერევნის მთის აღმოსავლეთის ნაწილი ჰყოფდა მდ. დებედას და მდ. ბანბაკის შემდინარე წყლებს არეზის შემდინარეებისაგან.

ამ მთის დასავლეთის ნაწილი კი აბოცის მთაგრეხილიდან ალაბაბის მთაგრეხილამდე წყლების გამყოფ მთად არ ითვლებოდა, რადგან არეზის (ახლანდელი არაქსი) შემდინარე ყაიყულის წყლებს სათავე ქონდათ ამ მთის ჩრდილოეთით, ყაიყულში.

დასავლეთის საზღვარი: ამ მხრით ქვ.-ქართლს ესაზღვრებოდა ყარსი და ჯავახეთი; საზღვარი იწყებოდა ერევნის და ალაბაბის მთაგრებილების შესართავიდან, მიდიოდა ჩდილოეთით ალაბაბის მთაგრებილით ამ მთის და ნიალისყურის მთაგრებილის შესართავამდე, შემდეგ აღმოსავლეთით ნიალისყურის მთაგრებილით, უვლიდა სამხრით ტაშალანის ტბას და მიადგებოდა ბოლოლის მთაგრებილის. აქედან საზღვარი მიდიოდა ჩდილოეთით ბოლოლის მთაგრებილით იმ პუნქტამდე, რომელიც ყოფს მაშავერის და ტაშირის წყლის შემდინარე წყლებს სალამოს ტბაში შემდინარე წყლებისაგან. შემდეგ საზღვარი მიდიოდა ჩრდილოეთით, გადაჭრდა ფანავერის ტბას, უვლიდა აღმოსავლეთით სამსარის მთას, დასავლეთით ტბისყურის ტბას და მიადგებოდა ბაკულიანის მთაგრებილის, სადაც გამოდიოდა მდ. ქცია. ეს საზღვარი ყოფდა ყაიყულის (არპაჩაის), ტაშირის, მაშავერის, ზურტაკეტის, ქციის შემდინარე წყლებს პალაკაციოს, ტიშალანის, სალამოს ტბის და ჯავახეთის მტკვრის შემდინარე წყლებისაგან.

§ 47. ქვემო-ქართლის ზემოთ დასახელებულს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის საზღვარს ეწინააღმდეგება ზოგიერთი წყაროების ცნობები.

1. 1721 წლ. მეწინავე დროშის აღწერაში მოთავსებულია იმ რაიონის რამდენიმე სოფლები, რომელიც მდებარეობდნენ დიღმის წყალის მარჯვენა მხარეზე სხალდიდის მთაგრებილის და ახალ-დაბა-შინდისის ჩრდილოეთით (წოდორეთი, ბევრეთი*, ლისი, წავკისი, მწყნეთა). რომ ეს რაიონი ეკუთვნოდა არა მეწინავე სადროშოს, არამედ მეოთხისას, ამას ადასტურებენ: 1) ვახუშტის რუკა (№ 105—12), სადაც სადროშოების გამსაზღვრელი ხაზი—წითელი მელანი—გავლებულია სწორეთ დიდგორის, სათოვლის და სხალდიდის მთაგრებილების შესართავიდან სხალდიდის მთაგრებილით, შემდეგ ახალდაბას დასავლით და ბოლოს წავკისის და შინდისის მთაგორებით მტკვრამდე; 2) სოფლების სია იმავე ვახუშტისა, სადაც ზემოხსენებული სოფლები (წავკისის გარდა) მოთავსებულია მეოთხე სადროშოს სოფლების ნუმერაციაში (იხ. გვ. 471, №№ —1—4, 11); 3) ვახუშტის გეოგრაფია (გვ. 184), სადაც მეოთხე სადროშოს სამხრეთის საზღვარი ამგვარადაა აღნიშნული:—კრწანისის გორა, შინდისის გორა, წავკისის გორა, მწყნეთის გორა, და სკვირეთის ჩრდილოთ კერძი სხალდიდამდე, სხალდიდიდამ დიდგორის მთამდე მიყოლით ერიქალის მთა და სხვა.

რომ მხოლოდ 1721 წლ. აღწერით შეუძლებელია ვისარგებლოთ ამ შემთხვევაში, ამას ამტკიცებს ის, რომ ამავე აღწერაში კიდევ არის შემთხვევა, როდესაც მეოთხე სადროშოს უცილობელ სოფლის მცხოვრებნი მოთავსებული არიან მეწინავე სადროშოში, სახელდობრ, სოფ. ქარელი (ვხ სიით 126 გვ. 473 ძამის ხევის რაიონი). იქ გადასახლებულან ბაშინჯახიდან (ქვემო ქართლის სოფელი) დედოფლის ყმები. შესაძლებელია, სამხედრო ბეგარის და გადასახადების მხრივ ქარელში გადასახლებული ბაშინჯახელები მეწინავე სადროშოში ითვლებოდნენ, მაგრამ ტერიტორიალურად ისინი მეოთხე სადროშოში ცხოვრობდნენ.

* ბევრეთი ვახუშტის რუკაზე ნაჩვენებია დიღმის წყალის მარჯვენა მხარეზე; ნამდვილად კი ის მდებარეობს დიღმის წყლის მარჯვენა მხარეზე (იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიული და რუსეთის გენერალური შტაბის რუკები).

შესაძლებელია, ამგვარივე მდგომარეობა იყო ზემოხსენებული ოთხი სოფლის (გარდა წავეკისი) ყმების შესახებაც, მაგრამ ეს საკითხი უფრო სამხედრო წესებს და გადასახადების რიგს ეკუთვნის, ვიდრე განსაზღვრული პროვინციის მოსახლეობის და მფლობელობის აღნუსხვას.

2. ვახუშტის რუკით კრწანისი, პაწისი და წავეკისი მეოთხე სადროშოში არიან მოთავსებული. იმისივე შედგენილი სოფლების სიაში კი სამივე 'სოფელი მოქცეულია ქვემო-ქართლის ალგეთის მხარის კოჟორის რაიონში (№№ — 594, 595, 596). წავეკისი 1721 წლ. მეწინავე დროშის აღწერითაც ქვემო-ქართლის სოფელია. ამ სოფლებიდან მხოლოდ წავეკისი შეიძლება მივაკუთნოთ ქვემო-ქართლს, რადგან იგი მდებარეობს ქვემო ქართლის და მეოთხე სადროშოს საზღვარზე იმ მთების სამხრით, რომელიც ჰყოფს სოლოლაკის წყლის სამხრეთის ორ შტოს. კრწანისი და პაწისი კი ამ მთების ჩრდილოეთით მდებარეობენ, ამიტომ მათი ადგილი მეოთხე სადროშოში უნდა ყოფილიყო.

3. იმავე რუკაზე მეწინავე და მეოთხე სადროშოების გამსაზღვრელი წითელი ხაზი შინდისიდან მიდის მტკვრით არა ჩრდილოეთით, არამედ სამხრით სარვანამდე. აქედან პირდაპირი ხაზით აღმოსავლეთით მრავალწყარომდე. ამგვარად გამოდის, რომ მტკვრის გაღმის ის ნაწილი, რომელიც მდებარეობს სარვან-მრავალწყაროს ჩრდილოეთით და რომელიც შეიცავს დიდუბეს, ლილოებს, ნავთლულს, ღომელაურს და ლოჭინის ხევს, ქვემო-ქართლის გარეშე იყენებ. რომ ეს მხარე ქვემო-ქართლის ნაწილს შეადგენდა, ამას ადასტურებენ: 1) 1721 წ. აღწერა, სადაც ყველა ეს სოფლები ჩამოთვლილია, როგორც მეწინავე დროშის სოფლები; 2) ვახუშტის სოფლების სია, სადაც ისინი მოთავსებული არიან ქვემო-ქართლის სოფლებ შორის (§ 20 №№ — 674 — 682) და 3) ვახუშტისავე გეოგრაფია (გვ. 178—180), სადაც ნათქვამია, რომ გარდაბანში—საბარათიანოს სასპასპეტოს ნაწილში—შედის ლილოებიო.

§ 48. გარდა ამისა გამოსარკვევია ბანბაკის და ბერდუჯის მხარების მდგომარეობა, ე. ი. შედიოდნენ ეს მხარეები ქვემო-ქართლის ფარგლებში, თუ არა, უფრო სწორად რომ ესთქვათ—შედიოდნენ თუ არა ესე მხარეები ქართლის სამეფოში, რადგან თუ ეს უკანასკნელი საკითხი დადებითად გადაიჭრა, მაშინ თავის თავად დადებითად უნდა გადაიჭრას პირველი საკითხიც, იმიტომ რომ ბერდუჯი და ბანბაკი, როგორც მდებარე ქართლის სამეფოს აღმოსავლეთ სამხრეთის განაპირა საზღვარზე, უდგებოდნენ მხოლოდ ქვემო-ქართლს.

ამ მხარეების შესახებ ცნობები ვახუშტის მეტად ბუნდოვანად აქვს მოყვანილი: „საზღვარი ქართლისა, ამბობს ვახუშტი, ბერდუჯის მდინარეა, ვიწყით მუნიტგან წერა“ (გვ. 136). „აღჯაყალა პირველ აღაშენა იაყუფ ყეენმა და შემდგომად ოდეს მიუხენა შაჰბაზ მეფე გიორგის, მან მოიყვანა ელნი ბორჩალუ, დასხნა აქ, და ამით ეწოდა ბორჩალუ“ (გეოგ. გვ. 138), „ბერდუჯის მდინარის აღმოსავლეთის კიდე უპყრავთ ბორჩალუთა, დასავლეთის კიდის კერძი უპყრავს მეფესა ქართლისასა, ვიდრე ხუნანამდე. ხოლო მთა მცირე ბერდუჯისა ძეს ჩრდილოეთით და სამხრით და მიადგების ერევნის მთას, აღმოსავლეთის კერძი მთისა ამისა არის რანისა და დასავლით კერძი არის ბერდუჯისა, განა არს ძველად საერთო ხუნანისა, შემდგომად აქვნდა თვისი ერისთავი, რომელსა იტყვიან

აწინდელსა ხანსა“ (გვ. 140—142). „გარდაბანი არს საზღვრით აღმოსავლეთით მტკვარი და ხუნანის გამართებით ბერდუჯის აღმოსავლეთის მცირე მთა“ (გვ. 178). ამ ცნობებიდან სჩანს, რომ მდ. ბერდუჯის აღმოსავლეთის ნაპირზედ ცხოვრობდნენ ბორჩალონი, დასავლეთის ნაპირზე მდებარეობდა ქართლი, ბერდუჯის მცირე მთის აღმოსავლეთით რანი მდებარეობდა, იმის დასავლეთით ბორჩალო, მაშასადამე ბორჩალო მდებარეობდა მდინარე ბერდუჯის და ბერდუჯის მცირე მთის შუა. უნდა ითქვას, რომ ძველად, როგორც სხვაგან, ისე საქართველოში საზოგადოდ საზღვრებად მდინარეები კი არ იყო მიჩნეული, არამედ მათი გამყოფი მთები. ამიტომ როცა ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს, ქართლის საზღვარი ბერდუჯი მდინარეაო, უნდა ვიგულისხმოთ, იგი ამ დროს ფიქრობდა არა მდინარის კალაპოტზე, არამედ მის და მის შემდინარე წყლების არეზე; შემდეგ ბერდუჯის მხარე; ძველად ხუნანის საერისთაოს, ე. ი. ქართლის სამეფოს პროვინციის ნაწილს შეადგენდა, რომელსაც შემდეგ თავისი ერისთავი ყავდა, ვახუშტის დროს ხანად წოდებული. რომ ბორჩალოს, იმავე ბერდუჯს, თავისი ხანი ჰყავდა, ეს ისტორიული საბუთებიდანაცა სჩანს (იხ. ზემოთ მოყვანილი სიგელები სიძვ. I 365,—368). მაგრამ იმავე საბუთებიდან ისიც სჩანს, რომ ეს ხანი და სახანო ქართლის მეფის ქვეშევრდომი იყვნენ. ახპატის და ვართაპეტის (ვარაპეტის) სოფლები, რომლებიც მდებარეობდნენ მდ. ბერდუჯის აღმოსავლეთის ნაპირზე, ე. ი. ბორჩალოში, საქ. მეფეს ჩამოურთმევია ბორჩალოს მეპატრონესაგან და მიუცია პაპუნაბეგ და რევაზ ბეგისათვის (ზურაბიშვილებისათვის). 1693 წელს კი დავა არღუთაშვილებსა და ზურაბიშვილებს შორის ამ ორ სოფლის შესახებ მეფეს გადაუწყვეტია ზურაბიშვილების სასარგებლოდ.

ამასვე ადასტურებს 1770 წლ. ქართლ-კახეთის მოკლე აღწერა, რომელიც გაუგზავნია მეფე ერეკლეს რუსეთის მთავრობისათვის და სადაც ბანბაკ-ბერდუჯი ნაჩვენებია, როგორც მისი სამფლობელოს ნაწილი (იხ. ხახანაშვილის წერილი—„კვალი“ 1898 № 11): „არის ბორჩალო და ფანბაკის ხეობა, ნათქვამია ამ აღწერაში, ერთი მთელი სახანო. ამისი კაცი მრავალი დაფანტულია სხვის თემში და ახლა არის 2560 სომხით (თურთ)“.

ბოლოს, რომ ეს ასე იყო, ამას ამტკიცებს ვახუშტისავე რუკა, სადაც ქართლის სამეფოს საზღვრად აღნიშნულია არა მდ. ბერდუჯი, არამედ ბერდუჯის მთა, და მთელი ბანბაკი და ბორჩალოს მხარე მოქცეულია ქვ.-ქართლის ფარგლებში.

§ 49. რომ გავითვალისწინოთ, რა ფართობი ეკავა ქვ.-ქართლის პროვინციას მე-XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, საჭიროა მისი ზემოაღნიშნული საზღვრები შევადაროთ რუსეთის გენერალურ შტაბის მიერ გამოცემულ რუკებს. არ უნდა დავივიწყოთ ხოლმე ერთი გარემოება, რომელზედაც ზემოდაც გვქონდა ლაპარაკი. ძველად საზღვრები, როგორც სამეფოების, ისე მხარეების და თემების, მიჰყვებოდნენ ბუნებრივ ხაზებს, უმეტეს შემთხვევაში მთაგრეხილებს, ამიტომ იქ, სადაც მე-XVIII საუკუნის საბუთებში ან რუკებზე ნათლად არ სჩანს, რა და რა ხაზია საზღვრების პუნქტებად ნაჩვენები, ჩვენ თანამედროვე რუკებზე უნდა გავყვეთ მდინარეების გამყოფ მთებს და მთაგრეხილებს.

თუ მე-XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საბუთების და რუკების მიხედვით გავყვებით რუსულ რუკებს, მაშინ ქვემო-ქართლის საზღვრები შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ჩრდილოეთის საზღვარი: იწყებოდა ქარელის მთიდან (ბაკულიანის მთა*) მდ. ხრამის (ქციის) სათავეს დასავლეთით ახალქალაქის და გორის მაზრის საზღვარზე, მიდიოდა აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით იმ მთებით (თორის მთები), რომელიც ჰყოფს მდ. ხრამის (ქციის) შემდინარე წყლებს შავი წყლის და გუჯარეთის წყლის შემდინარე წყლებისაგან სადატკნარის მთამდე, შემდეგ გორის და ბორჩალოს მაზრების საზღვრით (თორის და ერჯვენის მთაგრებილები) ჯამჯამის მთამდე, აქედან თრიალეთის მთაგრებილით (ერჯვენის მთაგრებილი) კადიკაიას მთაგრებილამდე (კლდეკარი), შემდეგ გორის და ტფილისის მაზრების საზღვრით კადიკაიას მთაგრებილით, მის და საცხენისის (დიდგორის) მთაგრებილების შესართავამდე, სადაც გამოდის დილომის (დიღვამის) წყლის დასავლეთის უმთავრესი შტო. შემდეგ საზღვარი გადადიოდა თბილისის მაზრაში, მიდიოდა აღმოსავლეთ-სამხრეთით მთაგორებით, რომლებიც ყოფენ დილომის წყლის შემდინარე წყლებს ვერეს ხევის შემდინარე წყლებისაგან, გაივლიდა კუტნარის სერის მთას და სოფელ ნახშირისგორას შუა, და მიაღებოდა მდ. ვერეს ხევის დიდ ველის საზამთრო ფარებთან.

აქედან საზღვარი მიყვებოდა ვერეს ხევს დასავლეთით ბეთანიის მონასტრამდე, ამ მონასტრიდან საზღვარი მოუხვევდა აღმოსავლეთისაკენ, გაუვლიდა სამხრეთით ახალდაბას და წავკისის და შინდისის მთაგორებით მიაღებოდა მტკვარს ცირანავორის ეკლესიასთან.

აქედან საზღვარი აყვებოდა ჩრდილოეთით მტკვარს ავჭალის წყლამდე (ხევ ძმარის), შემდეგ აღმოსავლეთ-სამხრით ჯერ ავჭალის წყლით და ბოლოს მთაგორებით პატარა ლილომდე (ქვიტკირის ლილო).

აღმოსავლეთის საზღვარი: იწყებოდა ტფილისის მაზრაში პატარა ლილოს (ქვიტკირის ლილო) ჩრდილოეთით კალივეტისის მთასთან, უვლიდა აღმოსავლეთით დიდ ლილოს (ლილო მაღალი), გადაჭრიდა საცხენისის ხევის (ლოჭინის ხევის) და რკინის გზის ლიანდაგს ვაზიანის სადგურთან, უვლიდა სამგორის (სამაგარას) მთას დასავლეთით, გაყვებოდა ამართულის მთას და თაქათარვინ-ბაშის გორებს, თეთრი უდაბნოს (დავით გარეჯი) მთაგრებილს, უვლიდა აღმოსავლეთით დავით გარეჯის მონასტერს, გადაჭრიდა ყაზახის მაზრის საზღვარს იალაჯახისის ფარებებთან, და მიაღებოდა ლელვის წყლის (მწარე წყლის) მთას; ამ მთიდან გამომდინარე წყლით (მწარე წყალი) მიაღებოდა სოფელ კრახეკესამანთან მტკვარს, შემდეგ აყვებოდა მტკვარს ჩრდილოეთით ამ მდინარის და ხრამის (ქციის) შესართავამდე (გატეხილი ხიდი) ყაზახის და ბორჩალოს მაზრების საზღვარზე; შემდეგ საზღვარი მოუხვევდა სამხრეთით ყაზახის და ბორჩალოს მაზრების საზღვრით იმ მთაგრებილით (ბერდუჯის მცირე მთა), რომელიც ყოფს დებედას (ბერდუჯის მდინარე) შემდინარე წყლებს აქსიბარას, ინჯიას და აღქსტაფას (აღსტაფურა) შემდინარე წყლებისაგან გეჯალეს მთამდე, ბორჩალოს და ალექსანდროპოლის საზღვარზე, აქედან საზღვარი მიდიოდა სამხრით ალექსანდროპოლის მაზრაში იმ მთებით, რომლებიც ჰყოფენ

* ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები ნიშნავენ მე-XVIII საუკუნის საბუთებში აღნიშნულ სახელწოდებებს, ფრჩხილებს გარეშე—რუსულ რუკებზე ნაჩვენებ სახელწოდებებს.

აქსტაფას და ღარპის წყლებს ხალხალის მთამდე ალექსანდროპოლის და ახალ-ბაიზეთის საზღვარზე.

სამხრეთის საზღვარი: იწყებოდა ხალხალის მთიდან, ალექსანდროპოლის და ახალ ბაიზეთის მაზრების საზღვარზე, მიდიოდა დასავლეთით იმ მთებით, რომლებიც ყოფენ დებედას, ღარპის და ბანბაკის შემდინარე წყლებს არეზის შემდინარე წყლებისაგან (ერევნის მთები) დეკეტაშის მთამდე, აქედან საზღვარი გადადიოდა ალექსანდროპოლის მაზრაში და მიდიოდა იმავე წყლების გამყოფ მთებით სოფ. დირაკლიარამდე, შემდეგ აუხვევდა ჩრდილოეთით, გაუვლიდა ხაჯი ნაზარყელის სოფელს და ჯაჯურს, გადასჭრიდა რკინის გზის ლიანდაგს აღქილისთან და მიადგებოდა ესაულის მთას, შემდეგ მიდიოდა დასავლეთით ამ ესაულის მთაგრეხილით ალექსანდროპოლის მაზრის და ყარსის ოლქის საზღვრამდე სოფ. ჯელაბ ქეჩუთთან, გადადიოდა ყარსის-ოლქში და ამ სოფლიდან დასავლეთით თითქმის პირდაპირ ხაზით გადასჭრიდა მდინარე ყარასან ჩაის, უვლიდა ჩრდილოეთით ჩაირგელის ტბას, სამხრით პატარა ალაბაბის მთას და მიადგებოდა ყარსის და არტაანის ოლქების საზღვარს ჩალდირ-გელის (პალაკაციოს) ტბის აღმოსავლეთით. მთელი ეს სამხრეთის საზღვარი შეეფერება ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიას და რუკას, რამდენადაც იქ აღნიშნულია ერევნის მთები, ე/ი ის მთები, რომლებიც ყოფენ მდ. დებედას შემდინარე წყლებს არეზის შემდინარე წყლებისაგან და რამდენადაც ვახუშტის რუკით ყაიყულში გამოდიოდენ არეზის შემდინარე წყლები.

დასავლეთის საზღვარი: იწყებოდა ჩალდირ-გელის (პალაკაციოს) ტბის აღმოსავლეთით ყარსის და არტაანის ოლქების საზღვარზე, მიდიოდა ჩრდილოეთ აღმოსავლეთით ამ საზღვრით უჩტიპალიარის (ნალიყურის) მთამდე-ყარსის და არტაანის ოლქების და ახალქალაქის მაზრის საზღვრამდე. აქედან საზღვარი მიდიოდა აღმოსავლეთით იმავე საზღვრით ოქსიუზ დაღის მთამდე, შემდეგ ახალქალაქის და ალექსანდროპოლის მაზრების საზღვრით უვლიდა მადატაპინსკის (ტაშადანის) ტბას სამხრით ლეილის დაღის მთამდე ახალქალაქის, ბორჩალოს და ალექსანდროპოლის მაზრების საზღვრამდე.

შემდეგ საზღვარი მიდიოდა ჩრდილოეთით ბორჩალოს და ახალქალაქის საზღვრით ახრიკარის (ბოლოლის მთაგრეხილის) მთამდე, გადადიოდა ახალქალაქის მაზრაში, მიდიოდა დასავლეთ-ჩრდილოეთით, სჭრიდა შუაზე თოფარავანას (ფანავარის) ტბას და მიადგებოდა აღმოსავლეთით სამსარის მთას ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრების საზღვარზე, აქედან საზღვარი ხელახლავ გადადიოდა ახალქალაქის მაზრაში დასავლეთ-ჩრდილოეთით, უვლიდა დასავლეთით ტბის-ცხურის (ტბის ყურის) ტბას სოფ. ბოჟანოს აღმოსავლეთით და მიადგებოდა კარელის (ბაკულიანის) მთას მდ. ქციის სათავის დასავლეთით, ახალქალაქის და გორის მაზრების საზღვარზე, საიდანაც იწყებოდა ჩრდილოეთის საზღვარი.

ამგვარად, მე-XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ქვ.-ქართლი შეიცავდა:

1. **ტფილისის მაზრას** გარდა იმ ტერიტორიებისა, რომლებიც მდებარეობდენ: 1) მდინ. ვერეს და დილომის წყლის გამყოფ მთების ჩრდილოეთით, 2)

ავჭალის წყლის და პატარა ლილოს ჩრდილოეთით, 3) დანარჩენი ლილოების, სამგორის მთის და თეთრი უდაბნოს აღმოსავლეთით.

2. მთელ ბორჩალოს მახრას.

3. ყაზახის მაზრის დასავლეთის ნაწილის ერთ ნაკვეთს ლეღვის წყლიდან დაწყებულს პირდაპირი ხაზით მდ. მტკვრამდე სოფ. კრახეკესამანთან.

4. ალექსანდროპოლის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილს იმ მთებიდან, რომლებიც ყოფენ მდ. ბანბაკის შემდინარე წყლებს აქსტაფას და არეზის შემდინარე წყლებისაგან.

5. ყარსის ოლქის ჩრდილოეთ ნაწილს დაწყებულს დაახლოებით სოფ. ჯელაბ-ქეჩუთიდან დასავლეთით, პირდაპირი ხაზით ჩალდირ-გელის ტბის აღმოსავლეთით, — არტაანის და ყარსის ოლქების საზღვარზე მდებარე წერტილამდე და აქედან ოქსიუზდაღის მთამდე.

6. ახალქალაქის მაზრის აღმოსავლეთის ნაწილის ორ ნაკვეთს: ა) დაწყებულს აგრიკარის მთიდან დასავლეთ ჩრდილოეთის ხაზით თოფარაენის ტბის შუაზე გადაჭრით სამსარის მთამდე და ბ) დაწყებულს იმავე სამსარის მთიდან დასავლეთ-ჩრდილოეთის ხაზით ტბის ცხურის ტბის დასავლით ქარელის მთამდე.

7. გორის მაზრის სამხრეთის ერთ ნაკვეთს ქარელის მთიდან იმ მთებით, რომლებიც ყოფენ მდ. ქციის შემდინარე წყლებს შავი წყლის და მდინარე გუჯარეთის შემდინარე წყლებისაგან სადატუნარის მთამდე.

IV. სოფლების და დასახლებული ადგილების მდებარეობა

§ 50. სოფლების და დასახლებულ ადგილების მდებარეობის აღსანიშნავად უმთავრესს წყაროდ უნდა მივიღოთ ვახუშტი ბატონიშვილის რუკები. ამ წყაროს ნაკლებობის ან შეცდომების შევსება და შესწორება შესაძლებელია იმავე ვახუშტის სოფლების სიების, 1721 წლ. აღწერის და სხვა საბუთების მიხედვით. ამგვარ შესწორების დროს უფრო ხშირად შეგვიძლია მხოლოდ მხარის აღნიშვნა, ზოგიერთ შემთხვევაში კი შესაძლებელი ხდება მხოლოდ მივაკუთვნოთ ესა თუ ის სოფელი რამდენსავე მხარეს.

პროფ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიულ რუკასთან შედარებით ვახუშტი ბატონიშვილის რუკას ბევრი წვრილმანი განსხვავება აქვს, მაგ. სოფ. არღუსა (არღუზა) ლორის რაიონისა, ვახუშტი ბატონიშვილის რუკით, მდებარეობს ბოიასას აღმ.-ჩრდ., ბაშბეუკის დასავლ.-ჩრდ., პროფ. ჯავახიშვილის რუკით იგი ძვეს ორივე სოფლის ბოიასა ბაშბეუკის აღმ., რაც უფრო სწორი უნდა იყოს. ჩვენ ასეთი წვრილმანი განსხვავებანი არ აღგვინიშნავს.

ვახუშტის რუკაზე არ არიან აღნიშნულნი ისეთი სოფლებიც, რომლებიც იხსენიებიან 1721 წლ. აღწერასა და სხვა საბუთებში და რომელთა მოსახლეობა იმ დროის მიხედვით მნიშვნელოვანი ყოფილა, მაგ., ეპისკოპოზის სოფელი, კარასა-გორი, პატარა ყარაქილისა, ყომაქილისა, დბანისის შავი საყდარი, ცხერისი, ხიდის ყური და სხვა.

ვახუშტი ბატონიშვილის რუკის შეცდომა შეეხება განსაკუთრებით ორ შემთხვევას: ტაშირის და დბანისის ხეობის, ბერდუჯის და სომხითის საზღვრებზე მდებარე რამდენიმე სოფელს. რუკაზე ტაშირის საზღვრებში მოქცეულია: მორუტი, უდუში, ხანძორისი, ელიას (გელას) სოფელი, იალღუზი, ქედის ეკლესია, მისხანა, ქეთილაშენი (გდალაშენი) და ურუტი.

ვახუშტის სიებით კი ყველა ეს სოფლები მოქცეულია „ლოქში“ (№№—225—345). პროფ. ივ. ჯავახიშვილის ისტ. რუკით აქედან მხოლოდ ხანძორისი, ქეთილაშენი და ურუტია მოთავსებულია ტაშირში, დანარჩენი ყველა მოქცეულია დბანისის ხეობაში. ეს სოფლები უნდა იყოს განაწილებული პროფ. ჯავახიშვილის რუკის თანახმად, რადგან გარდა მოხსენებული 3 სოფლისა, რომლებიც მდებარეობდნენ ტაშირის წყალის და ფინეზაურის წყლების გამყოფ მთის სამხრითი, ყველა დანარჩენი სოფელი მდებარეობდა მდ. ფინეზაურის და მის შტოების ნაპირებზე. ფინეზაური და მისი შტოები კი მთლიანად დბანისის ხეობაში არიან.

სომხითის საზღვრებში ვახუშტის რუკაზე მოთავსებულია ახბატი და სანანი, უთუოდ ამიტომ, რომ იქაური მონასტრები ეპყრათ სომხებს, ნამდვილად კი ისინი მდებარეობდნენ ბერდუჯში (იხ. § 43).

§ 51. დანარჩენი წყაროები სოფლების და დასახლებული ადგილების დაწვრილებით მდებარეობას ვერ აღნიშნავენ, ისინი მხოლოდ გვეხმარებიან, და ისიც არა ყოველთვის, იმის აღდგენაში, თუ რომელი სოფელი ან მოსახლეობა რომელ მხარეში იყო. ამ წყაროებიდან ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ სიებს აქვთ მეტად დიდი მნიშვნელობა (§ 40), თუმცა იქაც ბევრი სოფელია გამოტოვებული. ამ სიებში სრულიად არაა ნახვენი ბანბაკ-ბერდუჯის მხარის და ყარაიის მოსახლეობა და ძლიერ ცოტა სოფელი და თაბუნია აღნიშნული ელისა. მაგიერათ სიებში თითქმის უკლებლივ არის მოქცეული ის სოფლები, რომლებიც მოთავსებულია 1721 წლ. აღწერაში.

§ 52. დასახლებულ ადგილების მდებარეობის შესახებ ბევრ ცნობებს იძლევა 1721 წლ. აღწერაც. როგორც წინეთ მოვიხსენიეთ (§ 10), ამ აღწერაში ქვ.-ქართლი განიყოფება სამეფო და სადედოფლო საბარათაშვილოდ, საყაფლანიშვილოდ, სომხთაჲ და სამეფო ტაშირად. უკანასკნელი ორი სახელწოდება მხარეებს ეკუთვნის, ამიტომ იქ მოთავსებული სოფლები იმ მხარეებს უნდა მიეკუთვნოს. სამეფო და სადედოფლო საბარათაშვილოები ეხებიან ყველა მხარეებს ქვ.-ქართლისას გარდა სომხთისა. ამიტომ ამ ორ მხარეში მოქცეული სოფლების მდებარეობა შეიძლება მხოლოდ სხვა წყაროებით იყოს გამორკვეული.

საყაფლანიშვილოს საერთო მამული 1721 წლ. აღწერით მოთავსებულია დაბალში, ლოქში, დბანისის ხეობაში, ყარაბულაღში და ტაშირში. დბანისის ხეობა, ყარაბულაღი და ტაშირი ცალკე მხარეებია, ამიტომ 1721 წლ. აღწერაში იქ მოქცეული სოფლები ამ მხარეებს უნდა მივაკუთნოთ, გარდა სოფ. მარაბდისა, რომელიც მდებარეობს ალგეთში, მაგრამ საყაფლანიშვილოს 1721 წლ. აღწერაში მოქცეულია დბანისის ხეობაში.

„დაბალში“ მოთავსებულია 39 სოფელი, აქედან მდებარეობდენ: 1 სოფელი ალგეთში, 24 სოფელი ქციის ხეობაში, 10 სოფელი დბანისის ხეობაში და 4 სოფლის (საჯნიანო, თალაქვემო, ხიდისყური და ხინძორთალა) მდებარეობა გამოურკვეველია. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ალგეთის სოფ. ჩხიკეთას, სადაც ასლამაზ ყაფლანიშვილს ყავდა „ნასყიდი“ ყმა, გამოდის, რომ საყაფლანიშვილოს „დაბალი“ გულისხმობდა ქციის ხეობას და დბანისის ხეობას, ამიტომ ზემოხსენებული 4 სოფელიც ამ ორ მხარეს უნდა მივაკუთნოთ.

„ლოქი“, ე. ი. ლოქის მთა-გრეხილი მიჰყვებოდა დბანისის ხეობის, ტაშირის და სომხთის საზღვრებს. საყაფლანიშვილოს ლოქში, რომელიც აღნიშნულია 1721 წლ. აღწერაში, სულ 21 სოფელი ყოფილა, აქედან 7—დბანისის ხეობაში, 3 ტაშირში, 4 სომხთში; 3 სოფლის (ბახჩალარა, გულასოფელი—გულბაბა და ტალდანი) შესახებ ცნობები არის 1701/11 წლ. აღწერაში (§ 53). უკანასკნელი 4 სოფლის (ბაზითალა, სალამალექი, შუმბუნი და წნელაქარი) შესახებ არავითარ ცნობას არ გვაძლევენ არც ვახუშტის რუკა და არც სხვა საბუთები, ამიტომ ეს დანარჩენი სოფელი უნდა მიეკუთნოს დბანისის ხეობას და ტაშირს, რადგან სომხთში ყაფლანიშვილებს, როგორც ეტყობა (იხ. III ნაწილი), ყმები ძლიერ მცირე ყავდათ, ისიც უმთავრესად ნასყიდი.

იმ სოფლებიდან, სადაც მოსახლეობდა, 1721 წლ. აღწერით, ცალკე ყაფლანიშვილების ნასყიდი და უსყიდი ყმები, გამოურკვეველია: ქაიხოსროს, ლუარ-

საბის და ოთარის-თოფრაცალა, რომელიც უნდა მიეწეროს ალგეთს, დბანისის ხეობას და ყარაბულალს, სადაც იყო ამ სახელწოდების სოფლები; ერასტის—ქო-სახპერი, რომელიც უნდა მიეკუთვნოს ქციის და დბანისის ხეობებს, ყარაბულალს და სომხითს, სადაც ყაფლანიშვილები ყიდულობდენ ყმებს; რევაზის და თამაზის—ლიპი, რომელიც უნდა მიეკუთვნოს ყარაბულალის და ქციის ხეობებს, სადაც იყო ამ სახელწოდების სოფლები. ლიპები იყო თრიალეთშიაც, მხოლოდ ამ მხარეში ყაფლანიშვილები არ შედიოდენ; მამუკას და ქაიხოსროს თათრები—ქციის და დბანისის ხეობებს, რადგან ისინი მოთავსებული არიან „დაბალში“.

§ 53 1701/11 წ. აღწერაში ჩამოთვლილია ყაფლანიშვილების ყმები 120 სოფელში (§ 15). ამათგან ზოგიერთი სოფელი ვახუშტის რუკაზე აღნიშნული არაა. უნდა მიეჭკეს ყურადღება იმას, რომ აღწერაში ყველა „სახასო“ (საერთო და სათავისთავო) ყმები შემდეგი რუგით არიან აღწერილნი: ჯერ ყარაბულალის სოფლებია ჩამოთვლილი და მათში მცხოვრები ყმები, მერე დბანისის ხეობის, შემდეგ სომხითის და ბოლოს ტაშირის (გვ. 297—328)¹. ქციის ხეობის სოფლები, სადაც ცხოვრობდენ ყაფლანიშვილების (საერთო) ყმები, მოთავსებულია იმ სოფელთა შორის, სადაც ცხოვრობდენ მემამულეების ყმები (გვ. 331—334). გამოტოვებული ორი საერთო სოფელი (მიჯახი ზემო და ნარიას სოფელი) ცალკეა მოთავსებული მემამულეთა სოფლებს შორის (გვ. 344). ამ მოსაზრებით და სხვა საბუთებთან შედარებით ჩვენ მივაკუთნეთ:

დბანისის ხეობას:—აღუნდარე, გულასოფელი (1721 წლ. აღწ. გულბაბა), დამბლუტი (გვ. 332), ნარიას სოფელი, შავი საყდარი (გვ. 311), რადგან ეს სახასო სოფლები მოთავსებული არიან დბანისის ხეობის სახასო სოფლებს შორის; თოფრაცალა, სადაც ყაფლანიშვილების მემამულეებს (მელვინეთუხუცესებს) ყავდათ ყმები, რადგან ყაფლანიშვილებს მხოლოდ დბანისის თოფრაცალაში ყავდათ ყმები. ვარდის უბანი (გვ. 352), სადაც მემამულეთ ავთანდილიშვილებს ყავდათ ყმები, რადგან 1721 წლ. აღწერით ავთანდილაშვილებს სწორედ დბანისის ვარდის უბანში ყავდათ ყმები; მწყნეთი (გვ. 335), სადაც მემამულე ჩაჩიკაშვილებს ყავდათ ყმები, რადგან 1721 წლ. აღწერით ჩაჩიკაშვილებს ტაშირში, სადაც იყო სოფელი იმავე სახელწოდებით, ყმები არ ყავდათ, დბანისის ხეობის მწყნეთში კი ყავდათ; შავი საყდარი (გვ. 366), სადაც მემამულე ღრეულს ყავდა ყმა, რადგან ღრეულს მხოლოდ დბანისის ხეობაში (სოფ. მანაკერტში) ყავდა 1721 წ. აღწერით ყმები; აკუტი (გვ. 346) და უნდუში (გვ. 360), რადგან სომხითში, სადაც იყვნენ ამ სახელწოდების სოფლები, ყაფლანიშვილებს სამკვიდრო ყმები არ ყოლიათ.

ტაშირის—მწყნეთი (გვ. 308), საკირე (გვ. 215—324), შავი საყდარი (გვ. 327), რადგან სოფლები მოთავსებული არიან ყაფლანიშვილების ტაშირის სახასო

¹) ეს რიგი ორჯერ დაცული არაა:—სარდლის ლუარსაბ ყაფლანიშვილის სათავისთავო ყმების ჩამოთვლა იწყება დბანისის სოფლის შავი-საყდრიდან, მერე მოთავსებულია სოფ. ტოლუ, შემდეგ კი ყარაბულალის, დბანისის და ტაშირის სოფლები (გვ. 311—313); პაპუა ყაფლანიშვილის სათავისთავო ყმები დბანისის ხეობის ბოვის სოფელში მოთავსებულია ტაშირის სოფლების ყმების შემდეგ.

სოფლებ შორის: აკოფას-სოფელი, რადგან სომხითში, სადაც იყო ამ სახელწოდების სოფელი, ყაფლანიშვილებს სამკვიდრო ყმები არ ყოლიათ; ხანძორი (ხანძორის სოფელი), სადაც მემამულე დბანელს ყავდა ყმები, რადგან 1721 წლ. აღწერით სწორეთ ტაშირის ხანძორში დბანელს ყავდა ყმები.

ყარაბულალს:—სარკინეთი, (გვ. 298), რადგან ეს სახასო სოფელი მოთავსებულია ყაფლანიშვილების ყარაბულალის სახასო სოფლებს შორის; ვარდისუბანი, სადაც აწერილია ყაფლანიშვილების 14 სახასო ყმა (გვ. 299), რადგან ყაფლანიშვილებს 1721 წ. აღწერით მხოლოდ ყარაბულალის ვარდისუბანში ყავდათ სახასო ყმები რიცხვით შესაფერი (12).

დბანისის ხეობას და ტაშირს:—ტალდანი და შინბერი, რადგან ეს ორი სახასო სოფელი მოთავსებულია ამ ორი მხარის სოფლებს შორის (გვ. 313); ბახჩალარი, რადგან 1721 წ. აღწ. მოთავსებული არის „ლოქში“ (§ 52).

დბანისის ხეობას და ყარაბულალს:—ტოლუ, რადგან ეს სახასო სოფელი მოთავსებულია ამ ორი მხარის სახასო სოფლებს შორის.

დბანისის და ქციის ხეობებს, ტაშირს და ყარაბულალს:—ჩიკორიძის სოფელი და წყაროს თავი, რადგან ამ ოთხ მხარეში უმეტესად ყაფლანიშვილებს ყავდათ სამკვიდრო ყმები.

§ 54. **გოსტაშაბაშვილების საბუთებში** შემდეგი სოფლებია, რომელთა მდებარეობა გამოურკვეველია: 1724 წლ. სიგ. (სიძვ. I—72) დბალი, 1441 წლ. და 1724 წლ. სიგ. ნაქურდევნი (იქვე I—36,73).

გოსტაშაბაშვილებს 1713 წლ. სიგ. (იქვე I—303) ყავდათ ყმები და ქონდათ მამულები 36 სოფელში. აქედან ალგეთში 25 სოფელში, ქციაში—7 სოფელში, თრიალეთში—1 სოფელში, სკვირეთში 3 სოფელში, სომხითში—2 სოფელში, გამოურკვეველია 1 სოფ. (ფორხალისი).

1721 წლ. აღწერით მათ ყავდათ ყმები 33 სოფელში აქედან ალგეთის 21 სოფელში, ქციის—6 სოფელში, სკვირეთის—3 სოფელში, სომხითის 2 სოფელში, თრიალეთის 1 სოფელში. სჩანს, რომ გოსტაშაბაშვილებს ყმები ყოლიათ განსაკუთრებით ალგეთში და ქციის ხეობაში; ამიტომ ზემო ჩამოთვლილი სოფლები (დბალი, ნაქურდევნი, ფორხალისი) მიკუთვნებული უნდა იყვნენ ამ ორ მხარეზე.

გერმანოზიშვილების საბუთებში შემდეგი სოფლების მდებარეობა გამოურკვეველია: 1696/1700 წლ. სიგ. (სიძვ. II—159) ვაჟთახევი.

1721 წლ. აღწერით გერმანოზიშვილებს ყოლიათ ყმები 22 სოფელში, აქედან ალგეთის 9 სოფელში, ქციის ხეობის 5 სოფელში, თრიალეთის 2 სოფელში, ყარაბულალის 2 სოფელში, სკვირეთის და დბანისის ხეობის თითო სოფელში, 2 გამოურკვეველი (ცხვრისი და კოია).

1756 (სიძვ. I—330) წ. სიგ. გერმანოზიშვილებს ყოლიათ ყმები 18 სოფელში; აქედან ალგეთის 8 სოფელში, ქციის ხეობის 2 სოფელში, ყარაბულალის 2 სოფელში, თრიალეთის, სკვირეთის და დბანისის ხეობის თითო სოფელში, გამოურკვეველია 3 სოფელი (ტორკუტი, პირმიწეთი და კვანტასლისი—კოკატლისი).

სჩანს, რომ გერმანოზიშვილებს ყმები უმეტესად ყოლიათ ალგეთში და ქციის ხეობაში, ამიტომ ის სოფლები (კვანტასლისი, ვაჟთახევი, ცორკუტი, პირმიწეთი, ცხერისი, კოია), რომლების მდებარეობა გამოურკვეველია, უნდა მიეკუთვნონ ამ ორ მხარეს.

1792 წ. სიგ. (სიძვ. I—368) ზურაბიშვილებს ყოლიათ ყმები 25 სოფელში, აქედან: დბანისის 10 სოფელში, ქციის ხეობის 6 სოფელში, ბერდუჯის 3 სოფელში, ამ ცნობის მიხედვით, 6 გამოურკვეველი მდებარეობის სოფლები (აჯირი, ვარდის წყარო, კარბეტის ხევი, კახმახუთი, ნილოცა, ნობისი) უნდა ყოფილიყვნენ დბანისის და ქციის ხეობებში.

§ 55. დანარჩენი სოფლები, რომლებიც აღნიშნულ არ არიან ვახუშტის რუკაზე, ჩვენ მივაკუთვნეთ:

ვახუშტის სიებზის ჩვენებით (ციფირები უჩვენებენ ვახუშტის სოფლების სიის ნომრებსა)

ალგეთს: გუდელი (კოდის რაიონი 599), კოზმანაშენი (ლაკვის რაიონი 658), ცხენი კალა (მანგლისის რაიონი 655).

მტკვრის გაღმა მხარეს: ახალი სოფელი (დიღუბის რაიონი 676), ჩულურეთი (დიღუბის რაიონი 675).

ქციის ხეობას: ხუცის უბანი (ჭივჭივას რაიონი 384)

თრიალეთის: კისია (474)

ვახუშტის სოფლების სიებში აღნიშნულია: კაბენის მონასტერი (588) და წითელი ეკლესია (551 შემდეგ), ჩვენს სიაში (§71) იგინი არ შეგვიტანია, რადგან იგინი არც ვახუშტის რუკაზე და არც სხვა რომელიმე წყაროში არ არიან მოხსენებული, როგორც დასახლებული ადგილები.

§ 56. 1721 წლ. აღწერის ჩვენებით (ციფირები უჩვენებენ თაყაიშვილის გამოცემის გვერდებს).

ალგეთს: გუნანეთი (54), რადგან მოთავსებულია ალგეთის სოფლებს ამლივის, ფუტრევის, ერწოს, ერტისს და აზიკის შუა.

ტაშირს: ათაქლუა (195), ყარა ქილისა პატარა (217), ყოზა-ქილისა (210), ჩახმახლუ (214).

დბანისის ხეობას:—ბოშის სოფელი (195), გოგარჩლუ (195), მაკვა (193), პაატას სოფელი (193), სარუჩამას სოფელი (195), ქერემდარა (193), ყაჯილუხი მესამე (196), ორი შავი საყდარი (187, 195), ზემო ჩარგამაშენი (189), ქვემო ჩარგამაშენი (189), წნორი (მოთავსებულია მუსეფარიანის, ტანძიას, კრეშის და წიფორს შუა 166).

მტკვრის გაღმა მხარეს:—ახალ-ჩუხური (მოთავსებულია დიღუბესა და ქვითკირის ლილოს შუა (5).

სომხეთს: გოზალას სოფელი (253), დელარარის სოფელი (262), ეპისკოპოზის სოფელი (266), ვაკერანი (შამირზას სოფლისა 227), ვანქი (251), თათოზის სოფელი (254), თუმანაშენი (249), კარასავორი (278), მირაშა (263), საღარველა (276), სვიმონას სოფელი (254), სოსნი (271), ტანძუტი (272), ტრაკუ (254), ურანგა (268), ფიშუას სოფელი (264), ქართული სოფელი (268), ქა-

რის სოფელი (251), ყარა სოფელი (251), შანშის სოფელი (270), შუშელი (268), კიმშურა (282), კიპეკები (247), ხორის სოფელი (284), ხოხმელი (276), ჯურარი (258).

ქციის ხეობას:—კატნარი (მოთავსებულია ფიტარეთსა და აღბაბალუს შუა (173).

ყარაბულაღს:—კურწიკამი (198), მუსიყალა პატარა (205), მუხათი შამბიანსა (შამბიანის მთა ყარბულაღშია, 199), ორთა შუა (200), სასახლის ყარაბულაღი (200), ხიზუას სოფელი (200).

აღგეთისა და მტკვრის გაღმა მხარის სოფლების ვარდა (გუნანეთი და ახალჩუხური), ყველა ეს ჩამოთვლილი სოფლები ყაფლანიშვილების ყმების სოფლებია და 1721 წლ. აღწერაში მოთავსებულნი არიან ზემო ნაჩვენებ მხარეებში: ტაშირში, დბანისში, სომხითში, ქციაში და ყარაბულაღში).

§ 57. დასტურლამალის ჩვენებით (ფრჩხილებში ჩასმული ქარბული ასოები უჩვენებენ დასტურლამალის თავებს):

თრიალეთს:—გელაზი (აგ), ერჯევანი (აზ), ზეულისტანი (აზ), ნასოფლარი პატარა (აგ), ხოირეთი (აგ).

სომხითს:—ვარახორი (რპე), ჯონჯილი (რპე), ჯურარი (რნც),

ტაშირს:—ბარქადარა (კე), ზარიაქანდი (კე), სუთოქულანი (კე),

მტკვრის გაღმა მხარეს: საკას ლილო (მოთავსებულია დიდუბესა და ქიტიკირის ლილოს შუა, სკბ).

ყაიყულს: 5 ნასოფლარი (ს).

აღგეთს, ქციას და ყარაბულაღს: დარუბანდი. ედვა საფერისცვალებო თევზის დაჭერა ამ საში მხარის სოფლებთან ერთად (რდბ):

აღგეთს, დბანისის და ქციის ხეობებს: შარქარი, ედვა სოფ. წინწყაროში დედოფლის სამეხრეოს მკა და ლეწვა ამ საში მხარის სოფლებთან ერთად (სადედ-დასტ. კგ.).

§ 58. დანარჩენი წყაროების ჩვენებით:

თრიალეთს: კარწახი (1707 და 1719 წლ. გუჯრები,—ისტ. საბ. V).

ყაიყულს:—ბეთლემი (1692 წლ. სიგ. სიძვ. II—310).

დბანისის ხეობას: ბერთაქარი (1930 წლ. აღმ. დაყ. ლუქსემბურგის რაიონი, გვ. 54), მალნარი (მუსეფარიანის და ჯალდამის მეზობლად, 1727 წლ. სიგ. სიძვ. II—285).

ბერდუჯს: ვართაპეტის სოფელი (ახპატის მეზობლად, სიძვ. I—366, 368).

ქციის ხეობას: არუხლუ (იხ. § 45).

აღგეთს: ვერხუნალა (გუდარეხთან, ბედენიას მთის პირას, (1605 წ. სიგ. სიძვ. I—307), კეზეთი (მანგლისის რაიონი, 1930 წლ. აღმ. დაყ. გვ. 54), კოხნარი (1930 წლ. აღმ. დაყ. მანგლისის რაიონში—გოხნარი), ქაცაბანი (მარაბდას მეზობლად 1543 წლ. სიგ. სიძვ. I—305), ქაობი (კოდას და მარაბდას შუა, ჯავ. თან. რუკა).

სკვირეთს: ვეძისი (დიღმის რაიონი, 1930 წლ. აღმ. დაყ. გვ. 58).

ტაშირს: მიჩნაქარი (დიაკენის ქვა, მინდაქარი 1657 წლ. სიგ. საისტ. მ. 1), ბარქადარა (იქვე.) ეს სოფელი დასტურლ. მიხედვითაც ტაშირშია.

§ 59. იმის მიხედვით, თუ უშთავრესად რომელ მხარეებში 1721 წლ. აღწერით ყავდათ ამ სოფლის მებატონეებს ყმები.

აღგეთს: მლაშე (გოსტაშაბაშვილი და საგინაშვილი), მონასტერი (სოლოლაშვილი).

სომხითის: თოხქილისა (მელიქიშვილები)

აღგეთს და ქციის ხეობებს: აბანო-ძველი (ნოდარ სუფრაჯი, ქვეთარაშვილი ბეჟან, აბულფათიშვილი ბეჟან), პაპის გორა (ბარათაშვილი თაყა-გოსტაშაბაშვილების და გერმანოზიშვილების განაყარი შტო).

აღგეთს და ყარაბულალს: თხილნარა (ლარაძეები).

აღგეთს, ყარაბულალს, დბანისის და ქციის ხეობებს: კოპანეთი (იარალაშვილები).

თრიალეთს: კარუშეთი (სააკაძეები).

ყარაბულალს და ქციის ხეობას: ლიბი (იარალაშვილები), რადგან თრიალეთში სადაც იყო ამ სახელის სოფლები, იარალაშვილებს ყმები არ ყოლიათ.

აღგეთს და თრიალეთს: მთლენავი, საყორნე (ამილახორი), ნასაგური (შანაჯაზხანი), რადგან ამ მებატონეების სომხითის ყმები 1721 წლის აღწერაში ცალკეა გამოყოფილი.

აღგეთს, ყარაბულალს და ქციის ხეობას: ფიწუთი (ნოდარ და ავთანდილ სუფრაჯები).

აღგეთს, თრიალეთს და ქციის ხეობას: წიფლარი (მანგლელი).

V. სოფლების და დანარჩენი დასახლებული ადგილების სახელწოდება.

§ 60. ერთი და იმავე სოფლების სახელწოდება სხვადასხვა წყაროებში ერთი და იგივე არაა. ხშირად თვით ერთ და იმავე ავტორს ერთს ნაშრომში ერთი სახელწოდება აქვს აღნიშნული, მეორეში სხვა. არის შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე თხუზულებაშიც სოფელს სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სახელი აქვს ნაჩვენები. ჩვენი შრომის შემდეგი ნაწილების გასაგებად, ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ერთგვარი ტრანსკრიპცია მიგვეღო. ნამდვილი სახელწოდების აღდგენა ჩვენ, რასაკვირველია, არ გვიკისრნია. უმეტეს შემთხვევაში უპირატესობა მივაკუთნეთ ვახუშტი ბატონიშვილის სოფლების სიას (§ 20).

ერთი და იმავე სოფლების სხვადასხვა სახელწოდებანი შემდეგს ჯგუფებად შეიძლება განაწილდეს:

ზოგიერთ შემთხვევაში მეორე სახელის მინიჭება სოფლისადმი უბრალო შეცდომაა. ასე*:

ავლაბარი ნაჩვენებია ვზგ-ში (გვ. 168) ქციის ხეობაში, რომლის „შემდეგ ნაჯბადინამდე სახლობენ ელნი მამადიანნი“, უნდა იყოს **ალავარი** (ვხს. 344 წინ), რომელიც მდებარეობდა ქციის ხეობაში, მაშინ როდესაც ავლაბარი ტფილისის ნაწილს შეადგენდა.

გუგუთი ნაჩვენებია 1707 წლ. სიგ. (სიძვ. II—1741. უნდა იყოს **მუგუთი**, რადგან იქ მოხსენებული ძალუჩაშვილები ცხოვრობდნენ სწორედ მუგუთში (XVII საუკ. დავთარი—ბაღუჩაშვილები).

მძოვრეთი ნაჩვენებია 1707 წლ. სიგ. (სიძვ. II—171). უნდა იყოს **ცოვრეთი** ანუ **მცოვრეთი**, როგორც იმავე სიგელში მეორე ადგილას ეს სოფელი არის

*) შემოკლებული სიტყვები: ვზგ—ვახუშტის გეოგრაფია, გამოცემა ბროსესი (§ 3); ვზრ—ვახუშტის რუკა, ხელთნაწერი საქ. არქ. № 104 (§ 5); ვხს—ვახუშტის სოფლების სია (§ 20); სიძვ.—საქ. სიძველენი, გამოცემა ე. თაყაიშვილისა (§ 22 გვ. 71—80); დასტ.—სამეფო დასტურლამალი. გამოცემა ბ. უშიკაშვილისა (§§ 6, 7); სად. დასტ.—სადედოფლო დასტურლამალი, გამოცემა მისივე (§§ 6, 7); ხახ.—გუჯრები, ა. ხახანაშვილისა (§ 22 გვ. 82); ისტ. საბ.—ისტორიული საბუთები, გამოცემა ს. კაკაბაძისა (§ 22 გვ. 80, 81) ქრ.—ქრონიკები, გამოცემა თ. ჟორდანიასი (§ 22 გვ. 83); XVII ს. დ.—საყაფლანიშვილოს XVII საუკ. დავთარი (§ 9); 1701/11 წ.—საყაფლანიშვილოს 1701/11 (§§ 24—33); ცალკე სიგელები (§ 22): 1523 წ. (გვ. 83), 1526 წ. (გვ. 82), 1657 გვ. 82); 1930 წ. დაყ.—საქ. რესპუბლიკის ადმინისტრ. დაყოფა 1930, გამოცემა ცაკის საორგანიზაციო განყოფილებისა.

გვერდები აღნიშნულია: ბროსეს გამოცემისა—ვახუშტის გეოგრაფიის შესახებ, ე. თაყაიშვილის გამოცემის—1701/11 და 1721 წ. აღწერის შესახებ, ამ შრომისა—დანარჩენი წყაროების შესახებ.

დასახელებული. რომ ცოვრეთი (ალგეთში) ერთის მხრით და მძოვრეთი (ან მძორეთი ქციის ხეობაში) მეორეს მხრით იყვნენ ცალკალკე სოფლები, ეს მტკიცდება როგორც ვახუშტის რუკით და სიით (№№ 620, 378), ისე იმით, რომ 1543 წლ. სიგ. (სიძვ. I—305/1543) ფარიშატ ბარათაშვილს ერგო ცოვრეთი მთელი ნასოფლარი, მძოვრეთში კი მხოლოდ ერთი საკომლო.

სალირაშენი ნაჩვენებია ვხს-ში (402), როგორც მდებარე ქციის ხეობაში, უნდა იყოს **სამღერეთი**, რომელიც მდებარეობდა ქციის ხეობაში (ვხს); სალირაშენი კი მდებარეობდა ალგეთში (ვხს 610, ვხს).

ქართველი სოფელი ნაჩვენებია 1721 წლ. აღწერაში, ქართული ენის თვისების თანახმად უნდა იყოს — **ქართული სოფელი**.

ყულიჯანი ზემო ნაჩვენებია 1701/11 წლ. აღწ-ში (გვ. 321) ზემო ყაჯილუხის საერთო მოსახლეობის გამოანგარიშებაში. უნდა იყოს **ყაჯილუხი ზემო**; ყულიჯანი ე. ი. დელიყულიჯანი სხვა იყო და მდებარეობდა არა დბანისის ხეობაში, არამედ ტაშირში (ვხს 153, 154).

ჩხიკვა ნაჩვენებია ვახს (564) ღურნუკსა და წინწყაროს შუა, უნდა იყოს — **ჩხეკვი**, რომელიც იმათ ახლოს მდებარეობდა, ჩხიკვა კი მოხსენებულია ცალკე (570) და იგი მოქცეულია სამეხასა და ხოპისის შუა.

§ 61. რამდენიმე სოფელს მართლაც ჰქონია ორი და მეტი სახელი, რაც ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნულია თვით წყაროებში.

ჩვენ მიერ მიღებული სახელწოდებანი მოთავსებულია. უკანასკნელად

- | | |
|--|---|
| ახალი სოფელი—კეზეთი (1721 წ.) | დბანისი—ჯვარა ქციის ხეობაში (1721 წ. გვ. 72, 169, ვხს 396.) |
| ბაგრატისა—ბაგრატის ლილო (ვხს 552 წინ, ვხს) | ედოთი-ერდონი-ერდოთი-ერდო (1721 წ. გვ. 55, ვხს 649, სიძვ. I-303/1713, 337/1591) |
| ბეგქამთი—ბეგის სოფ. (დასტ. ს., ვხს 207) | ვარდის უბანი—ვარდის ქალაქციის ხეობაში (ვხგ. 164, ვხს. 370) |
| ბოაცორი—ბოვაცხორი, ხან ბოაცხორი | თორნეთი, — სთონეთი-სათორნეთი — სათვანეთი (1721 წ., სიძვ. III № 176/1717, II-375/1654, ისტ. სბ. IV 1635, ვხს. 625) |
223. **ეშვის წყარო**—ალგეთში, ასურეთის ხევის ორ ტოტს შუა, ტაგნაგეთის დასავლ. ბოგვის აღმ.-ჩრდ. (რ); სიით 587. 1523 (ქორდ. ქრ. II—349) ქავთარ ბარათაშვილის შვილებს იქ ყავდათ ყმები. 1721 წლ. აღწერით ითვლებოდა 3 მებატონე (თაყაშვილები, საჩინოშვილი) და 6 გამომღები ყმა.

224. **ეცო, ეწო**—ქციის ხეობაში, ჭიჭიკიას ხევის მარცხენა მხარეზე, ტყემლარას სამხრ., აბელის დასავლ. (რ); სიით 380. 1720 წ. ებოძა ზაალ ზახუნაშვილს მისი ბიძის დურმიშხანის წალი ეცოში 2 ყმა (სიძე. I—71). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (ავთანდილ სუფრაჯი და დავით აბაშიშვილი) და 2 გამომღები ყმა.

225. **ეძანი**—თრიალეთში, ქციის მარჯვენა მხარეზე, ახალქალაქის დასავლ., ტამალიას აღმოსავლ. (რ); სიით 484. დასტურლ. (აზ) თრიალეთში საჩეფო სახასო სოფელი, სამოურაო რატიშვილისა, ესამზღვრება ტამალიას, ედვა ყეენის საფეშქაშო 14 მარჩილი (იქვე სკვ). 1591 წ. ებოძა იოანე ბარათაშვილს გოსტაშაბაშვილს ნასოფლარი ეძანი (სიძე. I—337 ეგანი). უზნარიანიდან ეძანისაკენსათრიალეთო დიდი შარა-გზა მიდიოდა (1707 წ. ისტ. სბ. V). 1721 წ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (მეფე), 19 გამომღები და 5 ბოგანო ყმა.

226. **ვაკე**—ალგეთში, ალგეთის მარცხენა მხარეზე, პატივანის აღმ.-სამხრ. ოშვთის დასავლ.-ჩრდ. (რ); სიით 576. 1591—1713 წლ. (სიძე. I—337, 339, 340; 132, 372, 374, 388, 149, 303) მებატონეებად გოსტაშაბაშვილებია. 1699 წ. (ხახ. გუჯრ. გვ. 24) მღებარეობს „ალგეთის გაღმა“, რაც შეცდომა უნდა იყოს, თუ გვხი ტფილისიდან მიდის. 1703 (სიძე. I—132) იხსენიება ვაკელი ხუცესი. 1713 წ. გოსტაშაბაშვილებს ყოლიათ 9 ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 3 მებატონე (გოსტაშაბაშვილი, თაყაშვილები), 6 გამომღები და 1 ბოგანო ყმა.

227. **ვაკერანი**,—შამირზას ნასოფლარი—სომხითში, შამირზას მეზობლად (წ 56). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილი მანუჩარ), 1 გამომღები და 2 აყრილი ყმა.

228. **ვალდოვი**—ღბანისის ხეობაში, მაშავერის მარჯვენა მხარეზე, დილაშაშენის აღმ., ღბანისის ციხის დასავლ. (რ); სიით 277.

229. **ვალდოვი**—ღბანისის ხეობაში, მაშავერის მარცხენა მხარეზე, ტნუსის აღმ., ვარდისუბნის დასავლ. (რ); სიით 298.

230. **ვანათი**—სომხითში, ფოლადაურის და სარკინეთის ხევის შუა, ხატის სოფლ. დასავლ., წულრულაშენის აღმ. (რ); სიით 69.

231 ვანეთი,—ვანათი—სკვირეთში, ვერის მარცხენა მხარეზე, ღვევის დასავლ., შავთას აღმ.-სამხრ. (რ); სიით 671. გეოგრ. ძვეს წვერის ციხის ჩრდ. (გვ. 176). ამას უნდა გულისხმობდეს 1721 წლ. აღწ. (გვ. 93), რადგან მოთავსებულია სკვირეთის და ალგეთის სოფლებ შორის (შავმთა, ენაგეთი, ხორბუკი, აკურისი, არდისუბანი, ციხია). ალგეთში კი სოფელი ამ სახელწოდებით არ ყოფილა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყორღანაშვილი თაყა) და 4 გამომღები და 1 ბოგანო ყმა.

232. ვანათი,—ვანეთი—ქციის ხეობაში, ჭივჭივას მარცხენა მხარეზე, კრეფას სამხრ., უკანდაღეთის დასავლ.-ჩრდ. (რ—ვანათი); სიით 375. ამ სოფელს უნდა გულისხმობდეს 1792 წლ. სიგ. (სიძვ. I—368), სვ. ზურაბიშვილის სიტყვით ვანეთი ზურაბიშვილების სოფელია, ზურაბიშვილებს კი როგორც ამ სიგელში მოთავსებული მათი სოფლების სიიდან სჩანს, არც სკვირეთში და არ სომხითში, სადაც მდებარეობდენ ამ სახელწოდების სოფლები, ყმები არ ყოფილა.

233. ვანი,—ღბანისის ხეობაში, ბალიჭის ხევის მარცხენა მხარეზე, შავგომის ჩრდ. (რ); სიით 258. 1700 და 1738 წ. სიგ. (სიძვ. I—360, II—351) ჯალდამის და გორინჯუკის მოსამზღვრე. 1536 წ. ერგო იოთამ ბარათაშვილს ვანთა 6 ყმით (საისტ. მ. 1925 წ. 1). 1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მემამულე (აზნ. ჩაჩიკაშვილები) და 12 გამომღები ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 5 მემამულე (აზნ. ჩაჩიკაშვილები), 6 გამომღები, 4 ბოგანო და 3 ამოწყვეტილი ყმა.

234. ვანკი—1721 წლ. აღწერით სომხითში (§ 56). 1543—1676 წლ. (სიძვ. I—305, 311, 312, 121) მებატონეებად გერმანოზიშვილებია; 1713—1739 გოსტაშაბაშვილები. (სიძვ. I—303 149 1713 წ.) გოსტაშაბაშვილებს ყოლიათ 4 ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 18 მებატონე (ყაფლანიშვილი ოთარი, ალიყულიხანი—იესე ბატონიშვილი, სვიმონ ბატონიშვილი, გოსტაშაბაშვილი, შალიკაშვილები, თუმანიშვილი, ალიხანაშვილი, შაყულიშვილები, იეგულაშვილები), 2 დამოუკიდებელი უყმობაზნაური (შაყულაშვილები), 1 მემამულე (ჯიმშერა), 21 გამომღები, 5 ბოგანო და 1 აყრილი ყმა.

235. ვაუთახვეი—ალგეთის—ქციის ხეობებში, (იხ. § 54). იხსენიება 1692—1700 წ. როგორც ქვემო ქართლის მებატონეების გერმანოზიშვილების სოფელი (სიძვ. II—159).

235. ვარახორი—სომხითი, (§ 57). იხსენიება მხოლოდ დასტურლ. როგორც სომხითის სოფელი, სადაც ყოფილა ქორის ბუდე (რპვ).

237. ვარდისუბანი—თრიალეთში, თურანის და ბემქენაშენის ხევეებს შუა, ქიტების აღმ., ახალდაბას დასავლ.-ჩრდ. (რ); სიით 518. დასტ. (გზ) ვარდისუბანი სამეფო სახასო სოფელია თრიალეთში, სამოურაო გივი მდივნისა, ესამზღვრება ბემქენაშენს და ტამალიას (იქვე გვ). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (მეფე), 2 გამომღები და 2 ბოგანო ყმა.

1721 წლ. აღწ. ეს ცნობა ეხება თრიალეთის ვარდისუბანს, რადგან მოთავსებულია თრიალეთის სოფლების (კუჭაშვილის ლიპები, არწივანი, სამეხრეო, ეძანი) ცნობებთან.

238, 239. ვარდისუბანი—დბანისის ხეობაში, მაშავერის მარცხენა მხარეზე, აბულმაგის დასავლ., ვალდოვას აღმ. (რ); სიით 276. იხსენიება მე-XVII საუკ. საყაფლანიშვილო დაეთარში დბანისის სოფლებთან ერთად (ჩინჩხური, თაგუთი და სხვა). 1701/11 წლ. აღწ. ამ ვარდისუბანში ითვლებოდა 8 მემაშულე (ავთანდილიშვილები) და 19 გამომღები ყმა. 1721 წლ. აღწ. „დაბალში“ ორი სოფელი: ვარდისუბანი და მეორე ვარდისუბანი (გვ. 176/7). ვარდის უბანში ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 9 მემაშულე (აზნ. ავთანდილიშვილები), 8 გამომღები და 10 ბოჯანო ყმა; მეორე ვარდის უბანში ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 8 გამომღები, 1 ბოჯანო და 4 აყრილი ყმა.

240, 241. ვარდისუბანი—ყარაბულალში, ზურტაკეტის მარცხენა მხარეზე, ციხე-ქვაბის დასავლ.-სამხრ., შესაყარის აღმ.-ჩრდ. (რ—ორი სოფელი); სიით 441, 442. იხსენიება მე-XVII საუკ. საყაფლანიშვილო დაეთარში ყარაბულალის სოფლებთან ერთად (სარკინეთი, შესაყარი, სარახველა). იხსენიება 1707 წ. როგორც ყაფლანიშვილების სოფელი (სიძე. II—174). 1701/11 წლ. აღწ. (§ 53) ითვლებოდა 14 გამომღები ყმა. 1721 წლ. აღწ. (გვ. 202) ითვლებოდა დიდ ვარდისუბანში 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 11 გამომღები და 1 აყრილი ყმა, პატარა ვარდისუბანში (გვ. 202) 1 მებატონე (ყაფლანიშვილები) და 2 გამომღები ყმა.

242. ვარდის წყარო—დბანისის და ქციის ხეობებში (იხ. § 54), მოქცეულია ზურაბისწერლების სოფელთა შორის (სიძე. I—368/1792 წ.).

243. ვარდისჭალა, ვარდისუბანი—ქციის ხეობაში, მდ. ქციის მარჯვენა მხარეზე, მოდიმნახის სამხრ., ლიპარიტის უბნის დასავლ.-ჩრდ. (რ—ვარდისუბანი); სიით 370. გეოგ. (გვ. 164) მოდიმნახის ქვეით, კლდეისის ხევის ხევით იხსენიება ვარდისუბნის ეკლესია.

244. ვართაპეტას—სოფელი—ბერდუჯის მხარეში (იხ. §§ 43, 54, 58). 1693 (სიძე. I—365) წლ. სიგელით ეს სოფელი ახპატის მეზობლად მდებარეა, დარჩარევას ბეგს (ზურაბიშვილს) არღუთაშვილთან დავაში, რადგან მეფეს რომ ჩამოურთმევეა ბორჩალოს მებატონესათვის, გადაუცია ზურაბიშვილისათვის. სვ. ზურაბიშვილის სიტყვით ზურაბისშვილებს ახპატის მოსამზღვრე ვართაპეტის სოფელში ქონიათ 2 საკომლო და მათ ემსახურებოდა თვით სოფელი (იქვე 1792 წ. I—368).

245. ვართევანას სოფელი—ყარაბულალში საფიქლის წყალის მარცხენა მხარეზე, ყარაბულალის ჩრდ., დემურას სოფლის სამხრ. (რ); სიით 463. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 3 გამომღები და 2 აყრილი ყმა.

246. ვარძაგარა—დბანისის ხეობაში, ფინეზაურის მარცხნივ უსახელო შემდინარე ხევის მარცხენა მხარეზე, მოლა მასხუდის სოფლის აღმ., ლაკლაკაშენის დასავლ. (რ); სიით 314. პრ. ჯავახ. ისტ. რუკ. მაშავერის მარჯვნივ შემდინარე წყლის მარჯვენა მხარეზე, 1536 წლ. ერგო იოთამ ბარათაშვილს ნახევარი კარშავარი 31 კომლით და საუზუტეოს (საისტ. მ. 1924 წ. 1). იხსენიება მე-XVII საუკ. საყაფლანიშვილოს დავთარში. 1707 წ. ვახუშტი ყაფლანიშვილის სააღაპოდ შეაწე-

რეს სამი ძროხა (სიძვ. II—174). 1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა 4 მემამულე (ლორელი ტერტერა, აზნ. ზაქაშვილი, სოლოლაშვილი ზალია, აზნ. ჯანიაშვილი), 47 გამომღები და 8 ბოგანო ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 3 მემამულე (ზაქაშვილი—„აზნაურობს“, აზნ. ჯანიაშვილი, შერანაშვილი ავთანდილ) 24 გამომღები, 3 ბოგანო და 6 აყრილი ყმა.

247. ვარხუნა ვარისისა —ქციის ხეობაში, ვარისის აღმ.-ჩრდ., სამებას დასავლ. (რ); იხსენიება 1699 წ. (ხახ. გუჯრ. გვ. 24), როგორც მღებარე „აღგეთის გაღმა“. 1930 წლ. აღმ. დაყ. (გვ. 35) აღბუღალის რაიონში. 1713 წლ. (სიძვ. I—303) გოსტაშაბაშვილებს ყავდათ, აზნ. (არეშიშვილი) 2 ყმით. 1721 წ. აღწ. ითვლებოდა 14 მებატონე (გოსტაშაბაშვილი, აზნ. არეშიშვილები), 1 მემამულე (აზნ. არეშიშვილი), 20 დამოუკიდებელი უყმო აზნ. (არეშიშვილები), 11 გამომღები და 8 ბოგანო ყმა.

248. ვასაკას სოფელი —ვასაკა—სომხითში, მამხუტის ხევის ორ ტოტ შუა გოლის სოფ. დასავლ.-ჩრდ., კირაკოზას სოფ. სამხრ. (რ); სიით 56. 1721 წლ. ითვლებოდა 5 მებატონე (ივკულაშვილები), 7 გამომღები და 2 ამოწყვეტილი ყმა. გამოურკვეველია, 1721 წლ. აღწ. ეხება გოლის ვასაკას, სამების ვასაკას, თუ ორივეს.

249. ვასაკას ვასაკა—სომხითში, მამხუტის ხევის დასავლეთის ტოტის და ტალავერის ხევის შუა, სოფ. სამების სამხრ., ჩოჩობანის ჩრდ. (რ); სიით ვასაკასი 58.

250. ვალავერი—ვალავერში—ტაშირში, ტაშირის წყალის მარცხენა მხარეზე, გატეხილი საყდრის აღმ.-ჩრდილ. აზბუღალის დასავლ.-სამხრ. (რ); სიით ვალავერში 169. იხსენიება მე-XVII საუკ. საყაფლანიშვილოს დავთარში. 1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (ყაფლანიშვილი ლუარსაბ, ყაფლანიშვილები), 1 მემამულე (აზნ. გულაიზაშვილი ბეჟან) და 14 გამომღები ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 3 გამომღები და 9 აყრილი ყმა. 1721 წლ. აღწ. ვარიანტში აყრილების შესახებ ნათქვანია: „აყრილები 4 შარშანდელი, 5 წლევეანდელი“.

251. ვაშლოვანი—ალგეთში, გუდელისის ხევის მარჯვენა მხარეზე, ერტილის აღმ., კუმისის დასავლ. (რ); სიით 582. 1588 და 1661 წლ. იხსენიება (სიძვ. II—361, 378) ვაშლოვანელი მოწმეები.

252. ველათი—ტაშირში, მისხანას სამხრ., აღტაშის ჩრდ. (რ); სიით 231. დასტ. ედვა ყენის საფეშქაშო 3 მინალთუნი (სკბ). 1721 წლ. აღწ. (გვ. 291) ითვლებოდა 1 მებატონე (მეფე), 10 გამომღები და 2 ბოგანო ყმა.

253. ველეთი—სომხითში, შულავერის წყალის მარჯვენა მხარეზე, ბესტის სოფ. აღმ.-ჩრდ., ალგეთის დასავლ.-სამხრ. (რ); სიით 36. 1721 წლ. აღწ. სომხითის ველეთში (გვ. 282) ითვლებოდა 2 მებატონე (დალალაშვილები), 7 გამომღები და 2 ბოგანო ყმა.

254. ველი ხან ოღლის ველის—თაბუნი იხ. ელის ტერიტორია § 45 და III ნაწილი: დასტ. (ნე) ითვლებოდა 20 კომლი ელი თარხანი.

255. ველკეთილი, ვერკეთილი—დბანისის ხეობაში. მაშავერის მარცხენა მხარეზე, სამტრედოს დასავლ., ყორანთას აღმ. (რ); სიით 219. იხსენიება 1447/

59 წ. (ისტ. სბ. III), როგორც მეზობელი სოფ. ყორანთასი, სამშვილდესი და სამტრედლოსი. 1587 წ. ერაჯი ბარათაშვილი სწირავს მცხეთის ეკლესიას ნასოფლარ ველკეთილს (იქვე II).

256. ვერხენალა—ვერხენილი—1610 წლ. სიგ. (სიძვ. I—307) ალგეთში, მთა ბედენის პირას (§ 58). 1630—1756 წლ. (იქვე I—310, 314, II—159, I—299, 330) მებატონეები გერმანოზიშვილები. 1662 წ. მეფე შანავაზხანმა მისცა ღონდარას სახუნდარში 7 ყმა და სამაგიეროთ გამოართვა ვერხენალა (იქვე II—212). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 3 მებატონე (გერმანოზიშვილები), 2 მემამულე (აზნ. ოქროპირისშვილი), 7 გამომღები და 4 ბოგანო ყმა.

257. ვეძისი—სკვირეთში. (§ 58). ძველ საბუთებში მდებარეობა ნაჩვენებია არაა. 1930 წლ. აღმინ. დაყოფით დილომის რაიონში (გვ. 58). იხს. 1677/81. წ. ვეძისელი მოწმეები (სიძვ. II—74). 1756 წ. (იქვე I—330) მებატონე გერმანოზიშვილები. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 8 მებატონე (მეფე, ციციშვილები, თუმანიშვილი, სოლოლაშვილი), 2 მემამულე (აზნ. ხარშილაძე), 4 უყმო აზნ. (არლუთაშვილი), 32 გამომღები და 5 ბოგანო ყმა.

258. ზა—ზასი—ალგეთში, ლაკვის ხევის მარჯვენა მხარეზე, პატივანის დასავლ. (რ); სიით 638. 1543—1657 და 1679—1756 წლ. (სიძვ. I—305, 420, 330) მებატონე გერმანოზიშვილი. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 9 მებატონე (ნამანგლელევიშვილები, ქავთარაშვილები, გერმანოზიშვილები, კანჭაშვილი), 18 გამომღები და 4 ბოგანო ყმა.

259. ზარიაქანდი—ტაშირში (§ 57). აშენებული (თუ აუშენებული) სოფელი აიდარაბეგის ხეობაში, სამოურაო ოთარ მდივნისა (დასტ. კე).

260. ზეულისტანი—ყარაბულალში, ურცევანის დასავლ.-სამხრ., თოფრაცალას ჩრდ. (რ); სიით 431. ამ სოფელს უნდა გულისხმობდეს 1721 წლ. აღწ. (გვ. 114), რადგან იქ აღნიშნულ მებატონეს ავთანდილ სუფრაჯას არ ყავდა ყმები თრიალეთში, სადაც იყო მეორე სოფელი ზეულისტანად წოდებული. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ავთანდილ სუფრაჯი), 1 უყმო აზნაური (ბეკუაშვილი გიორგი), 8 გამომღები და 2 ბოგანო ყმა. ამავე სოფელს იხს. 1727 წლ. და 1735 წლ. სიგ. (სიძვ. I—247, II—338), რადგან ამ სიგელებში მოხსენებული ბაჩაშვილი გიორგი აღნიშნულია 1721 წლ. აღწერაშიაც (შეცდომით ბარაჩაშვილი გიორგი).

261. ზეულისტანი—თრიალეთში (§ 57). დასტ. (აზ) თრიალეთის ზაულისტანი ნასოფლარია, მებატონე მეფე. 1723 წ. (სიძვ. I—69, 70, 376) ებოძა ამილღაბარ გოსტაშაბაშვილს თრიალეთის ზეულისტანი, ნაქონი ავთანდილ კორკოტასი. დასტ. (რდბ) ზაულისტანელთ ედვა საფერისცვალებო თევზის დაჭერა, მაგრამ რომელ ზეულისტანს ეხებოდა იგი: ყარაბულალასას, თუ თრიალეთისას, გამოსარკვეველია.

262. ზრბითი—ალგეთში, ზრბითის ხევის აღმოსავლეთის ტოტის მარცხენა მხარეზე, ბოგვის დასავლ., აწუფისის აღმოს. (რ); სიით 611. 1696 წლ. (სიძვ. II—140) მეფე ერეკლე უმკვიდრებს მეითრიშვილს ზრბითის ზვარს „ორი ანობაში“ (ე. ი. ერეკლე და გიორგის შორის განხეთქილების დროს) ერთგუ-

ლობისათვის. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 9 მებატონე (თულასშვილები), 15 გამოვლები, 1 ბოგანო და 2 ამოწყვეტილი ყმა.

263. ზუკრუტი—სომხითში, ფოლადაურის სადინში, ურუტის აღმ.-სამხრ. ბარნაკარის დასავლ. (რ—); სიით 120.

264. თავაშარა—დბანისის ხეობაში, მაშავერის მარჯვენა მხარეზე, ყიშლარის აღმ., ყორანთას სამხრ. (რ); სიით 224.

265, 266. თავუთი—დბანისის ხეობაში, ფინეზაურის მარცხნით უსახელო შემდინარე წყალის მარჯვენა მხარეზე, მოლა მასხუდის სოფლის აღმოს. (რ—ორი სოფელი); სიით 316, 317, 1536 წ. ერგო იოთამ ბარათაშვილს ქვემო თავუთი (საისტ. მ. 1924 წ. 1). იხსენიება მე-XVII საუკ. საყფლანიშვილოს 'დავთარში. 1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა 8 მემამულე (დბანელი, ხანდამაშვილები), 13 გამოვლები და 1 ბოგანო ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 4 მებატონე (იოთამასშვილები, შერმადინიშვილი, მეფე, ყაფლანიშვილები), 10 მემამულე (დბანელი, ხანდამაშვილები), 15 გამოვლები, 12 ბოგანო ყმა და 6 აყრილი ყმა.

267. თავდიდიანი—დბანისის ხეობაში, ბალიჭის ხევის მარცხენა მხარეზე, სოფ. ბალიჭის დასავლ. ვანის ჩრდ. (რ); სიით 255. 1692 წ. (სიძვ. II—132) მეფე გიორგი პირდება დემურაშვილს იმერეთში და სამცხეში ყოფნის დროს სამსახურისათვის, საბატონოს რომ ვიშოვი, სადედოფლო თავდიდიანს გიბოძებო. სვ. ზურაბიშვილის სიტყვით თავდიდიანი ზურაბიშვილების სოფელი იყო (იხ. 1792 წ. სიგ., სიძვ. I—368). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (სვ. ბატონიშვილი), 1 მემამულე (თავდიდიშვილი), 1 გამოვლები და 1 ბოგანო ყმა.

268. თავმარგვალა—ქციის ხეობაში, მდ. ქციის მარცხენა მხარეზე, ნახიდურის დასავლ., ქცილას აღმ. (რ); სიით 349. იხსენიება 1654 წ., როგორც ნეზობელი ნახიდურისა (ისტ. სბ. IV).

269. თათოზას სოფელი—სომხითში (§ 56) 1721 წლ. აღწ. მოთავსებულია სომხითის აღწერაში (გვ. 254); ითვლებოდა 1 მებატონე (ამილახორი) და 3 გამოვლები ყმა.

270. თაკვი—თაკუ—ალგეთში, ამლივის ხევის სათავის მარცხენა მხარეზე, (რ); სიით 615. 1523 წ. (ქორდ. ქრ. II—349) ქავთარ ბარათაშვილის შვილებს ყავდათ ყმები. 1591 წ. ებოძა იოანე ბარათაშვილს თაკვი ერთი კომლი (სიძვ. I—337). 1629—1745 წ. (იქვე I—114, 303, 374, 398, 391, 88) მებატონეები—გოსტაშაბაშვილები, 1716—1736 წლ. (იქვე I—81, 144) მებატონე უსუფბეგიშვილები. 1713 წ. გოსტაშაბაშვილებს ყოლიათ 1 ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 5 მებატონე (გოსტაშაბაშვილი, თაყაშვილები, უსუფბეგისშვილი, საამი და ედიშერი ბარათაშვილები), 7 გამოვლები და 2 ბოგანო ყმა.

271. თალა—თრიალეთში, კარწახის ხევის მარჯვენა მხარეზე, ქუჩათ უბნის აღმ., გვირგვინეთის დასავლ. (რ); სიით 468. ჯავახ. ისტ. რუკ. ყარაბულალში. 1543 წ. ერგო ფარიშატ ბარათაშვილს ნახევარი თალა (სიძვ. I—305). ეს ცნობა თრიალეთის თალას უნდა ეხებოდეს, რადგან გერმანოზიშვილებს სომხითში, სადაც იყო ორი სოფელი ამ სახელწოდებით, ყმები, როგორც ჩინანს, არ ყოლიათ.

272. თალა—სომხითში, შუა ბოლნისის დასავლ. (რ); სიით 82. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ბოლნელი), 4 გამოვლები და 1 ბოგანო ყმა.

273. თალა ქვეში—დბანისის—ქციის ხეობაში (იხ. § 52). 1721 წლ. აღწერით მდებარეობს „დაბალში“. ამ აღწერით ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები); 1 მემამულე (აზნ. ყაითაზაშვილი რამაზა) და 1 გამომღები ყმა. ეს არ უნდა იყოს არც თრიალეთის და არც სომხეთის თალა; რადგან „დაბალში“ 1721 წლ. აღწ. ეს ორი მხარე არ შედიოდა. ყაფლანიშვილებსაც ამ ორ მხარეში სამკვიდრო ყმები არ ყავდათ. 1721 წ. ვარიანტში აზნ. ყაფლანიშვილი რამაზას შესახებ სწერდა: „ცარიელი სახლი მუხრისა 1, თვითონ ხენის დროს ის დადგების“.

274. თალას სოფელი—თელა—სომხეთში, ფოლადაურის მარცხენა მხარეზე, მანელას სოფლის ჩრდილ., ჩიტალას დასავლ. (რ); სიით 101. შესაძლებელია, ამ სოფელს გულისხმობდეს 1703 წ. (სიძვ. I—254) სოფ., რომლითაც თელის წყაროს თავს სამწვეგრისის და ქვ.-ბოლნისის საზღვარზე შანში-აშვილი დოღმაზაშვილი ყიდულობს ბეჟუა იალიკაშვილისაგან 6 დღის მიწას. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ბოლნელი), 4 გამომღები და 1 ბოგანო ყმა.

275. თარაქაშენი—დბანისის ხეობაში, ფინეზაურის მარჯვენა მხარეზე, შუნბუნის აღმ., სუგეჩანის დასავლ. (რ); სიით 321.

275-ა. თარხანნი ელი—იხ. ელის ტერიტორია § 45 და III ნაწილი. დასტ. (ნე) მეფე იმათ „უნდა მოშლის, უნდა ათარხნებს“. საშუალო გამოანგარიშებით (იხ. III ნაწილი) 776 კომლი ელი. იხ. ალავერდა მოლა ოღლის, ამირ ამადლუ მოლა ისმაილას, ამირ ამადლუ მოლა ფირმამადასი, ანაყიზოღლი აჯი მუსასი, არუხლუ ახვერდასი, არუხლუ ხანმამედასი, ბრმისა, გოდაკფრისა, დემერჩი ასანლუ მამადასი, დემურჩი მოლა აბდულ ყასუმასი, დერძი ოღლი ხალილასი, ველიხანოღლი ველისა, იაშოლ ბოშ ოღლი ამადასი, იბრეიმ ხალილ ოღლისა ძმებით, იოლჩი ოღლი² ასანასი, მამადას ზარგრებისა, მირზა ოღლი მუსტაფასი, მოლა აბდულასშვილი მამადასი, მოლა ბაბა ოღლი აბდულ ყასუმასი, მულანლუ ალი ოღლი მამადასი, ნაბადინლუ მოლა ალისი, ნური ალასი, სარუსაბუნჩი ყუჯურ ოღლისა, უზბაშისა. ფირმამადასი, ქაფანაქჩი აჯი შეფთასი, ქეშალუ ყოჯასი, შაველა ფარეშასი, შამანათოღლი ახვერდასი, შარაფადინ ალასი, ჯავანშირი შათირი იბრეიმასი, ჯავანშირი შათირი მამედას თ ა ბ უ ნ ე ბ ი .

275-ბ. თაფალასი—ყაიყულში (§ 42). სამეფო სახასო სოფელი, სამოურაო ფაატასი (დასტ. ს)

276. თაფანი—ქციის ხეობაში, ჭივჭივას ხევის აღმ., მუჯუთის დასავლ. (რ); სიით 357. 1523 წ. (ჟორდ. ქრ. II—349) ქავთარ ბარათაშვილს შეიღებს ყავდათ იქ ყმები. 1543 წ. ერგო ფარიშატ გერმანოზიშვილის 1 ყმა (სიძვ. I—305). 1684—1694 წლ. (იქვე II—113, 164) ყაფლანიშვილები ყიდულობენ თაყაშვილის და ბარათაშვილისაგან ვენახებს და მარანს. 1713 წ. გოსტაშაბაშვილებს ყავდათ 1 ყმა (იქვე I—303). 1729 წ. ციციშვილი ყიდულობს გერმანოზიშვილისაგან 1 ყმას (იქვე II—305). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 9 მებატონე (გოსტაშაბაშვილი, ყაფლანიშვილი ასლამაზ, ყაფლანიშვილი თამაზ, ყაფლანიშვილი გრასტი, საამი და ედღმერთ ბარათაშვილები, იოთამასშვილები, გერმანოზის-

შვილები, კანკაშვილი, ყაფლანიშვილები), 1 მემამულე (აზნ. რევაზიშვილი), 12 გამომღები და 2 ბოგანო ყმა.

277. **თახილ ბითშაზი**—თაზით ბათბანი—ტაშირში, გატეხილ საყდარის და ჯანბალჩას აღმ., ფარჩუხლუს დასავლ. (რ); სიით 168. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები). სოფელი აოხრებულა.

278. **თბილელის ლილო**—მტკერის გაღმა მხარეს, ქვითკირის ლილოს სამხრ., კოდის ლილოს ჩრდ. (რ); სიით მოქცეულია 5 ლალოში 677—681 (იხ. ლილო.)

278. **თევრე**—ღბანისის ხეობაში, მაშავერის მარჯვენა მხარეზე, მიჯას და თეკენანის აღმ., დილამაშენის დასავლ. (რ); სიით 296. 1536 წ. ერგო იოთამ ბარათაშვილს ნახევარი თევრე. (საისტ. მ. 1924 წ. 1).

280. **თეზი**—**თეზუმი**—ცხვარეთ-საპონაურის და კოხცრიცის ხევებს შორის, არწივანის დასავლ., რეხას აღმ.-სამხრ. (რ); სიით 536. 1692 წ. სახასო სოფ. თრიალეთში ებოძა ფარემუხა ჯავახიშვილს (სიძე. II—82); ეღვა ყენის საფეშქაშო 16 მარჩილი (დასტ. სკბ). ესამზღვრება ზემო ხოირეთს, ავლადის, პატარა საბატეს, და ლოშოს (იქვე ავ). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ბატონის რძალი), 21 გამომღები და 7 ბოგანო ყმა.

281. **თეთრი სოფელი**—სომხითში, შულავერის ხევის მარცხენა მხარეზე, მახალარაჯის ჩრდ., შულავერის სამხრ. (რ); სიით 23. ნადირშაის დროს, ქაიხოსრო ციციშვილს ბატონის სახასო თეთრი სოფელი უმოვია, მაგრამ შემდეგ მათედ ხელი აუღია. (1784 წლ. სიგ., სიძე. I—395). ეღვა ყენის საფეშქაშო შულავერთან ერთად 3 თუმანი (დასტ. სკბ). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (დედოფალი და შალიკაშვილი ნაზირი ედიშერი), 1 უყმო აზნ., 13 გამომღები და 1 ბოგანო ყმა.

282. **თეთრი წყარო**—თრიალეთში, ანტრაფის ხევის მარჯვენა მხარეზე, ჟუნარიანის დასავლ., ხეველმას აღმ. (რ); სიით 544. თეთრი სოფელი საპეფო სახასო სოფელია, სამოურაო ზურაბ თარხნიშვილისა (დასტ. აზ). ეღვა ყენის საფეშქაშო 8 მარჩილი (იქვე სკბ). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (გარაყანიძე) და 10 გამომღები ყმა.

283. **თეკენანი**—**თეკენაში**—ღბანისის ხეობაში, მაშავერის მარჯვენა მხარეზე, ოვერეს დასავლ., მიჯას აღმ. (რ); სიით 295 თეკენანი. 1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მემამულე (მლუდონასშვილი) და 2 გამომღები ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 1 გამომღები და 8 აყრილი ყმა.

284, 285. **თელეთები**—ალგეთში, წარახაშურის ერთი დასავლ.-ჩრდილ., მეორე აღმოსავლ.-ჩრდილ., კუმისის აღმ. (რ—ორი სოფელი); სიით ოთხი სოფელი 601, 602, 603, 604, იხსენიება 1606 წ. (სიძე. II—17), 1697 წ. (იქვე II—392), 1755 წ. (იქვე III—425), როგორც მოსამზღვრე სოფ. კრწანისისა; მებატონე ამილახორი. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (მუხრან-ბატონი და ამილახორი), 1 მემამულე, 19 გამომღები და 4 ბოგანო ყმა. გეოგრ. (33. 176) იქვე წმ. გიორგის ეკლესიის.

286. თელუ. — თელუ — ტაშირში, პალუიას ჩრდ., მისხანას დასავლ. (რ); სიით 139. ედვა ყენის საფეშქაშო 4 მინალთუნი, 18 შაური (დასტურ სკბ). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (მეფე), 12 გამოძლები და 2 ბოგანო ყმა. (იხ. ტოლუ).

287. თიქმატაში — ყაიყულში, ყაიყულის წყალის მარჯვენა მხარეზე, იელდოგის დასავლ., აღიხანას სოფ. ჩრდილ. (რ); სიით 204. თიქმატაში სამეფო სახასო სოფ., სამოურაო შარათადინასი (დასტ. ს).

288. თოფრაყალა — ალგეთში, მდ. ალგეთის მარჯვენა მხარეზე, ნაზარის სოფ. დასავლ., მარნეულის აღმ. (რ); სიით 555.

289. თოფრაყალა — ყარაბულალში, ზაულისტანის სამხრ., საფიქლის სოფლის ჩრდილ. (რ); სიით 432. ამ თოფრაყალას უნდა გულისხმობდეს 1721 წლ. აღწ. (გვ. 113 და 115), რადგან მოთავსებულია ყარაბულალის და ქციის ხეობის სოფლებთა შორის. ქციაში კი თოფრაყალა არ იყო. ამ აღწერით ითვლებოდა 2 მებატონე (ნოდარ და ავთანდილ სუფრაჯები) და 3 გამოძლები ყმა. იხსენიება აგრეთვე 1727 წ. (სიძვ. II—247).

290. თოფრაყალა — დბანისის ხეობაში, გეტის წყალის აღმოსავლეთის ტოტის მარცხენა მხარეზე, იწრიას აღმ., სენების დასავლ.-სამხრ. (რ); სიით 241. 1670 წ. მოსამართლეთა განჩინებით ერგო საუბატოთ ყაფლან ბარათაშვილს პაპუნა და შანშე ვირშელებსაგან სოფელ სენების თოფრაყალა (სიძვ. II—107). 1701/11 წლ. აღწ. (§ 53) იქ ითვლებოდა 1 მემამულე (აზნ. მეღვინეთხუცესი), 2 უყმო აზნ. (მეღვინეთხუცესი) და 1 გამოძლები ყმა. ამ თოფრაყალასე უნდა გულისხმობდენ 1721 წლ. აღწ. (გვ. 23, 57, 60 და 164), რადგან მოქცეულია პირველ სამ შემოხვევაში ქციასა და დბანისის სოფლებთა შორის უკანასკნელ (გვ. 164), შემოხვევაში კი „დაბალში“, ე. ი. იმავე დბანისის ან ქციის ხეობაში. ქციაში თოფრაყალა არ იყო, ამიტომ, ცხადია, ეს ცნობები ეკუთვნის დბანისის ხეობას. ამ აღწ. იქ ითვლებოდა 4 მებატონე (ვახუშტი ბატონიშვილი, ზალიშვილი ზურაბი, ზურაბიშვილი ბეყანი და ყაფლანიშვილები), 1 მემამულე (ოსიაშვილი ბერი), 1 უყმო აზნ., 8 გამოძლები და 4 ბოგანო ყმა.

ეს ცნობები არ შეიძლება ეკუთვნოდეს ალგეთის თოფრაყალას, რადგან ალგეთში ყაფლანიშვილებს სამკვიდრო ყმები არ ყოლიათ გარდა მათი აზნ. ჩაჩიკაშვილის ნასყიდი 1 ყმისა მარაბდაში და ასლამაზ ყაფლანიშვილის ნასყიდის 1 ყმისა ჩიკეთაში.

290-ა. თოფრაყალა — ალგ.-ყარაბულალში — დბანისი. 1721 წლ. აღწ. ცნობები ცალკე ყაფლანიშვილების მიერ ნასყიდი ყმების შესახებ (გვ. 224, 226) უნდა მიეწერონ სამივე მხარეს (ალგეთის, ყარაბულალის და დბანისის ხეობას, იხ. § 52). 1721 წლ. აღწ. ამ თოფრაყალაში ითვლებოდა 3 მებატონე (ყაფლანიშვილები ქაიხოსრო, ოთარი და ლუარსაბ), 1 მემამულე (ტაველაშვილი გიორგი) 2 გამოძლები და 3 ბოგანო ყმა. 1721 წლ. აღწ. ვარიანტით გამოძლები 2 და ბოგანო 3.

291. თოხქილისა — სომხითში, (§ 59). 1713 წ. სომხითის მელიქიშვილი თემურაზი აძლევს თოხქილისის მოურაობას გივი მდივანს. (სიძვ. III—424).

292. თუმანაშენი—სომხითში, (§ 56). 1721 წლ. აღწ. (გვ. 249) ითვლებოდა 1 მებატონე (ალიყულიხანი იესე ბატონიშვილი), 1 უყმო აზნ. (ჯიმშიტაშვილი) და 5 გამომღები ყმა.

293. თურანი—თრიალეთში, თურანის ხევის მარჯვენა მხარეზე, ახალდაბას დასავლ., ერანის აღმ. (რ); სიით 522. მეფის ნასოფლარი, ესამზღვრება ცრიცის, ფარეხს, კოხაჯის და ერანს (დასტ. ჟ).

294. თხვინთბა—თხვინთბისი—თხვინთვისი—ქციის ხეობაში, წინანაურის აღმ.-სამხრ., თავმრკველას ჩრდ. (რ); სიით 353. იხსენიება 1671—1713 წლ. (სიძვ. I—50, 357, 345, 303), როგორც ტბისის ნაწილი, მებატონე გოსტაშაბაშვილი. 1713 წ. გოსტაშაბაშვილებს თხვინთბისი გაუყოფელი დარჩათ.

295. თხილნარა—ალგეთი—ყარაბულაღი (§ 59). გ. ლარაძის სიტყვით თხილნარა უშოვიათ ლარაძეებს მეფე ლუარსაბისაგან, იხ. 1792 წ. სიგ. (სიძვ. I—248), საფიქრებელია, ეს სოფელი მდებარეობდა ალგეთში ან ყარაბულაღში, რადგან ლარაძეებს ქონიათ მამულები მხოლოდ ამ ორ მხარეში.

296. 297. თხილღვინა—ალგეთში მქავისის ხევის ორივე მხარეზე, მანგლისის ჩრდ.-დასავლ., შარაბეთის აღმ.-სამხრ. (რ—ორი სოფელი); სიით 653, 654.

298. იაღღუზი—იაღღუ—დბანისის ხეობაში, ფინეზაურის შემდინარე წყალის მარჯვენა მხარეზე, მისხანას აღმ., უნდუმის დასავლ. (რ—ტაშირში, რაც შეცდომაა, იხ. § 50); სიით ლოქში 337. ჯავახ. ისტ. რუკ. დბანისის ხეობაში. 1536 წ. ერგო იოთამ ბარათაშვილს სოფ. იაღღუზი (საისტ. მ. 1924 წ. 1), იხსენიება მე-XVII საუკ. საყაფლანიშვილოს დავთარში. 1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა (იაღღუ) 1 მებატონე (ყაფლანიშვილი ერასტი) და 12 გამომღები ყმა. 1721 წლ. აღწ. დბანისის ხეობაში, ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 8 გამომღები და 3 აყრილი ყმა.

299. იაშოღ ბოშ ოღლი ამადას—ელის თაბუნი. იხ. ელის ტერიტორია § 45 და III ნაწ. დასტ. (ნე) ითვლებოდა 1 თაბუნი, 5 კომლი ელი თარხანი.

300. იბრემა შათირას—ელის 1 თაბუნი. იხ. ჯავანშირი.

301. იბრემ ხალილ ოღლის ძმებით—ელის 1 თაბუნი. იხ. ელის ტერიტორია § 45 და III ნაწ. დასტ. (ნე) ითვლებოდა 30 კომლი ელი თარხანი.

302. იელდოღლი—ყაიყულში, თიქმატაშის აღმ.-ჩრდ., გოლის ტბის დასავლ. (რ); სიით 203.

303. იენგიჩახი—იენგიჩი—იენგიჩაბი—ტაშირში, ტაშირის წყალის მარცხენა მხარეზე, ყამიშის ჩრდ., პალუიას დასავლ.-სამხრ. (რ); სიით 144. იხსენიება მე-XVII საუკ. საყაფლანიშვილოს დავთარში. 1707 წ. მებატონე ყაფლანიშვილები (სიძვ. II—174). 1701/11 წლ. აღწ. (იენგიჩი) ითვლებოდა 12 გამომღები ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები) და 6 გამომღები ყმა.

304. იეჩი—ტაშირში, ტაშირის წყალის მარცხენა მხარეზე, წარუკას დასავლ., აიდაბერგის აღმ.-ჩრდ. (რ); სიით 126. იეჩი აშენებული სოფელია აიდაბერგის ხეობაში, სამოურაო გივი მდივნისა (დასტ. კე). ეღვა ყენის საფეშქაშო. 6 აბაზი (იქვე სკბ).

305. იოლჩი ოღლი ასანას—თაბუნი. იხ. ელის ტერიტორია § 45 და III ნაწ. დასტ. (ნე) ითვლებოდა 1 თაბუნი, 30 კომლი ელი თარხანი; როგორც ლანჩბრებს (პდ) მართებდათ მახტა და სხვა გადასახადები.

305-ა. იოლჩიშვილების—ელის თაბუნი. იხსენიება დასტ. (პდ), მაგრამ მოსახლეობის რაოდენობა ნაჩვენები არაა. საფიქრებელია, ესენი შედიოდნენ მღვინბევის მიერ აღწ. ელში.

306. ირაგა—ქციის ხეობაში, ირაგას ხევის მარჯვენა მხარეზე, ავაზანის სამხრ., კუშტის უბანის დასავლ. (რ); სიით 398. მებატონეებად იხსენიებიან ბარათაშვილები 1634-58 წლ. (სიძვ. II—96), ყარაბულახიშვილი და ზურაბიშვილია 1717 წ. (სიძვ. I—67). გ. ლარაძის სიტყვით ირაგა ლარაძეებს გამოუტანიათ მეფე ლუარსაბისაგან ჯილდოდ (იხ. 1792 წლ. სიგ. სიძვ. I—248). სვ. ზურაბიშვილის სიტყვით ირაგა ზურაბიშვილებისაა (იხ. 1792 წ. სიგ. სიძვ. I—368), იოს. ქანანაშვილის სიტყვით ირაგა კნ. მარიაშისაა, იხ. 1814 წლ. სიგ. (იქვე I—411). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 6 მებატონე (ზაალიშვილი, იარალაშვილები, ყარაბულახისშვილი), 3 მემამულე (აზნ. ყულიაშვილები), 2 უყმო აზნ. (ყულიაშვილები), 5 გამომღები და 5 ბოგანო ყმა.

307. ირდასუბანი—ქციის ხეობაში, მდ. ქციის მარჯვენა მხარეზე, იფნობის აღმ., მირტაშენის დასავლ. (რ); სიით 360. 1536 წ. ერგო იოთამ ბარათაშვილს აზნ. ჩიჩიკაშვილი ნასოფლარი ირდასუბნით (საისტ. მ. 1925 წ. 1). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 7 მებატონე (საგინაშვილები), 7 გამომღები, 2 ბოგანო და 1 ამოწყვეტილი ყმა.

308. ისაკუას სოფელი—სომხითში, ტალავრის ხევის სათავის მარცხენა მხარეზე, (რ); სიით 66.

309. ისას დაბნეული ელის თაბუნი—იხ. დაბნეული ელი.

310. ისპიანი—დბანისის ხეობაში, კაზრეთის ხევის მარჯვენა მხარეზე, ღორისთავის სამხრ., უშევანის დასავლ. (რ); სიით 229. იხსენიება 1690—1792 წლ. (სიძვ. I—359, 361, 362, 368) მებატონეებად ზურაბიშვილები, ესაშხლვრება ბოლნისს, კაზრეთს და ღორისთავას. ზურაბიშვილები ყიდულობენ 1690 წ. მანუჩარ ვახუშტიშვილისაგან,, 1725 წ. ფარემუზისშვილისაგან და 1741 წ. იარალაშვილისაგან მამულს.

311. იფნარი—ყარაბულალში, ზურტაკეტის მარჯვენა მხარეზე, საჭეს სამხრეთ., ნაპალატევის ჩრდილ. (რ); სიით 448. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (ნოდარ და ავთანდილ სუფრაჯები) და 5 გამომღები ყმა.

312. იფნობი—ქციის ხეობაში, მდ. ქციის მარცხენა მხარეზე, მირტაშენის და ირდასუბანის დასავლ., სენების აღმ. (რ); სიით 361. 1536 წ. ერგო იოთამ ბარათაშვილს იფნობში 9 კომლი (საისტ. მ. 1924 წ. 1). იხსენიება XVII საუკ. საყაფლანიშვილოს დავთარში. 1707 წ. მებატონე ყაფლანიშვილები (სიძვ. II—174). 1701/11 წ. აღწ. ითვლებოდა 4 მემამულე (ნამორაძე, ბლორძელი, ბაზიერიშვილი), 5 გამომღები და 3 ბოგანო ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (ყაფლანიშვილები, ყაფლანიშვილი ლუარსაბ), 1 მემამულე (ბაზიერიშვილი), 18 გამომღები, 4 ბოგანო და 1 ამოწყვეტილი ყმა. 1721 წლ. აღწ. ვარიანტში ბოგანო 3-ია.

313. იწრია—იჯრია—დბანისის ხეობაში, გეტის ხევის აღმოსავლეთის ტოტის მარცხენა მხარეზე, ძეძვარიანის ჩრდილ., სენების თოფრაცალას დასავლ. (რ); სიით 242.

314. კაზრეთი—დბანისის ხეობაში, კაზრეთის ხევის მარცხენა მხარეზე, კვირაცხოველის ჩრდილ., ისპიანის დასავლ. სამხრ. (რ); სიით 230. იხსენიება 1741 წლ. (სიძვ. I—362), ესამზღვრება ისპიანს. სვ. ზურაბიშვილის სიტყვით კაზრეთი ზურაბიშვილებისაა, იხ. 1792 წლ. სიგ. (სიძვ. I—368). იოსებ ქანანაშვილის სიტყვით კაზრეთი კნ. მარიამისაა, იხ. 1814 წ. სიგ. (სიძვ. I—411). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა კაზრეთსა და მონასტერში (იხ.) 3 მებატონე (ვახუშტი ბატონიშვილი, ზაალიშვილ და ზურაბისშვილი), 2 უყმო აზნ. (მდივნიშვილი), 12 გამომღები და 1 ბოგანო ყმა.

315. კამარეთი—ქციის ხეობაში, ირაგას ხევის მარჯვენა მხარეზე, ირაგას დასავლ., ცხნარის აღმ. (რ); სიით 405. სვიმონ ზურაბიშვილის სიტყვით კამარეთი, ჩაჩიკაშვილის ერთი კომლის გარდა, ზურაბისშვილებისაა (1792 წ. სიძვ. I—368). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 3 მებატონე (ზაალიშვილი, ზურაბიშვილი, ფიტარეთის წინამძღვარი), 9 გამომღები და 2 ბოგანო ყმა.

316. კარა—კორა—ქციის ხეობაში, მდ. ქციის მარცხენა მხარეზე, ანდრიას დასავლ., მუგუთის აღმ. (რ); სიით კორა 352. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (ქაეთარაშვილები) და 4 გამომღები ყმა.

317. კარახავორი—სომხითში, (§ 56). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (თუშმლიშვილები), 10 გამომღები და 2 ბოგანო ყმა.

318, 319, 320. კარაქა—ფიფე სამადაანთ კარაქა, ფაზაანთ კარაქა—ქციის ხეობაში, ირაგას ხევის მარცხენა მხარეზე, გვარეთის ჩრდ.-დასავლ., მენქალისის და წობას აღმ. (რ—სამი სოფელი); სიით 388, 389, 390. 1543 წ. ფარიშატ გერმანოზიშვილს ერგო 2 სოფელი: სამადაანთ კარაქა და ფაზაანთ კარაქა (სიძვ. I—3(5)). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 4 მებატონე (ყარაბუღაბიშვილები და შემაზაშვილები), 4 დამოუკიდებელი უყმო აზნ. (შემაზაშვილები), 3 გამომღები და 2 ბოგანო ყმა.

321. კარმიქარი—სომხითში, შულავერის წყალის და მამხუტის ხევის შუა, შატიკას სოფელს სამხრ., დაღარას ჩრდ. (რ); სიით 32. 1721 წლ. აღწ. სომხითის კარმიქარში (გვ. 269) ითვლებოდა 1 მებატონე (ადიბეგაშვილები) და 8 გამომღები ყმა.

322. კარმიქარი—ტაშირში, გატეხილი საყდრის ჩრდ., ხუცის სოფ. დასავლ. (რ) სიით 174.

323. კარპეტის ხევი—დბანისის—ქციის ხეობებში (იხ. (§ 54). სვ. ზურაბიშვილის სიტყვით კარპეტის ხევი ზურაბისშვილების სოფელია იხ. 1792 წლ. სიგ. (სიძვ. I—368).

324, 325. კარუკულმართი—ძველი უზნარიანი—თრიალეთში, კარწახის ხევის მარცხენა მხარეზე, ნადვალეთის დასავლ., თალას ჩრდ. (რ—ორი სოფელი); სიით 470, 471. კარუკულმართი ბროსეს რუკით 2 სოფელია „კარუკუნი“ და „ღმართი“. იხსენიება 1707, 1708, 1719 წლ. (ისტ. სბ.), ესამზღვრება უზნარიანს, კარწახს, ანტრაფს. ეს სოფელი ძველი უზნარიანი, „რომელსაც ახლა უწო-

დებენ კარუკულმართად“, აიხრებული ყოფილა, აუშენებია ვახტანგ ბატონი-
შვილს და შეუწირავს ნათლისმცემლის მონასტრისათვის. 1721 წლ. აღწ. ითვ-
ლებოდა 1 მებატონე (ნათლის მცემელი) და 5 გამომღები ყმა.

326. კარუშეტი—თრიალეთში (§ 59). 1721 წლ. აღწ. მზთავსებუღია სა-
მეფო საბარათაშვილოში (გვ. 42) თრიალეთის სოფლებ შორის (ცრიცი და ფა-
რეზა) და თვით სააკაძეებსაც ყმები ყოლიათ მხოლოდ თრიალეთში. 1721 წლ.
აღწ. ითვლებოდა 3 მებატონე (საკაძეები), 3 გამომღები და 1 ბოგანო ყმა.

327. კარწახი—(§ 58). კარწახი სამეფო სახასო სოფელი თრიალეთში, სა-
მოურაო გილაქიშვილისა (დასტ. ჰხ); ძვეს უზნარიანის მეზობლად (იქვე ფვ),
ედვა ყენის საფეშქაშო 5 მარჩილი (იქვე სკვ). იხს. 1707—1719 წლ. (ისტ. სბ.
V), ესამზღვრება უზნარიანს. 1719 წ. (იქვე) მეფე ბაქარმა შესწირა ნათლისმცე-
მელს. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ნათლის მცემელი), 6 გამომ-
ღები და 4 ბოგანო ყმა.

328. კატავეთი—კატამეთი—ყარაბულაღში, ზურტაკეტის მარჯვენა მხარე-
ზე, მუხრანის ჩრდ., შულავერის დასავლ.-სამხრ. (რ); სიით 457. 1707 წ. ვახუშ-
ტი ყაფლანიშვილის სააღაპოდ შეაწერეს 1 ცხვარი (სიძვ. II—174). 1701/11 წ.
აღწ. კატამეთში ითვლებოდა 2 მემამულე (აზნ. გულაიზაშვილი) და 4 გამომ-
ღები ყმა. 1721 წლ. აღწ. ყარაბულაღის კატავეთში (გვ. 200) ითვლებოდა 1
მებატონე (ყაფლანიშვილები), 1 მემამულე (გულაიზაშვილი გოდერძა) და 3 გა-
მომღები ყმა. ორივე აღწერის ცნობები ჩვენ მივაკუთვნეთ ყარაბულაღის კა-
ტავეთს, რადგან სომხითში, სადაც იყო მეორე სოფელი, კატავეთად წოდებული,
ყაფლანიშვილებს სამკვიდრო ყმები ყავდათ ძლიერ ცოტა.

329. კატავეთი—ზატავეთი—სომხითში, მამხუტის ხევის მარჯვენა მხარეზე,
წაქარის აღმ.-სამხრ., შულავერის დასავლ. (რ); სიით 49. 1721 წლ. აღწ. სომ-
ხითის კატავეთში (გვ. 253) ითვლებოდა 1 მებატონე (ამილახორი), 4 უყმო
აზნ. (აშულიშვილები), 15 გამოძლები და 1 ბოგანო ყმა.

330. კატნარი—ქციის ხეობაში (§ 56). 1721 წლ. აღწ. მოქცეუ-
ლი „დაბალში“ ქციის სოფლებ ფიტარეთსა და აღბაბალუს შუა (გვ. 173).
1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მემამულე (აზნ. გამყრელიძე) და 4 გამომღე-
ბი ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (ყაფლანიშვილები, ყაფლანი-
შვილი ყავლანი), 1 მემამულე (რევანისშვილი), 2 გამოძლები და 3 ბოგანო ყმა.

231. კახმახუთი—დბანისის-ქციის ხეობები (იხ. § 54). სვ. ზურაბისშვი-
ლის სიტყვით ეს სოფელი ზურაბისშვილებისაა, იხ. 1792 სიგ. (სიძვ. I—368).

332. კეზეთი—ახალი სოფელი—ალგეთში (§ 58). 1930 წლ. აღმ. დაყ. (გვ. 54)
ახალი სოფელი მანგლისის რაიონში. 1721 წლ. აღწ. მზთავსებუღია ალგეთის
სოფლებს შუა, ითვლებოდა 1 მებატონე (მანგლელი), 4 გამომღები და 1 ბოგა-
ნო ყმა.

333. კერატა—კერატას სოფელი—სომხითში, შულავერის წყალის მარჯვენა
მხარეზე, პარაფისის ჩრდ., ხანძორის სამხრ. (რ); სიით 44. 1721 წლ. აღწ. ით-
ვლებოდა 7 მებატონე (მეფე, ველაშვილები, შანაზარაშვილი), 16 გამომღები.
და 5 ბოგანოყმა.

334. კვანტახლისი—კოკატლისი—ალგეთში—ქციის ხეობაში (იხ. § 54). 1543 წ. ერგო ფარიშატ გერმანოზიშვილს ნასოფლარი კვანტახლისის (სიძე. I—305). 1756 წ. (იქვე I—330) გერმანოზიშვილებს ქონდათ სოფელი კოკატლისი.

335. კველთა—ალგეთში, კველთას ხევის მარჯვენა მხარეზე, მანგლისის აღმ.-სამხრ., ხეკორდის დასავლ. (რ); სიით 642. იხს. 1699 წ. ძვეს „ალგეთის გაღმა“ (ხახ. გუჯრ. გვ. 24). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 3 მებატონე (საჩინო-შვილი, თაყაშვილი, ზუზუნაშვილი), 5 გამომღები და 3 ბოგანო ყმა.

336. კვეჭეთი—სკვირეთში, ვერეს ხევის მარჯვენა მხარეზე, წვერის აღმ., ბეთნიას დასავლ. (რ); 1930 წლ. აღმ. დაყ. (გვ. 59) ტუილისის რაიონში. იხს. 1543-1713 წლ. სიგ. (სიძე. I—305, 337, 303) მებატონეები: 1543 წ. ბარათაშვილე-ბი-გერმანოზიშვილები, 1591—1713 ბარათაშვილები-გოსტაშაბაშვილები. 1713 წ. გოსტაშაბაშვილებს ყოლიათ 1 ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 8 მებატონე (გოსტაშაბაშვილები, ქავთარასშვილები, გერმანოზიშვილები), 10 გამომღები და 1 ბოგანო ყმა.

337. კვირა ცხოველი—დბანისის ხეობაში, კახრეთის ხევის მარცხენა მხარეზე, კრკონის აღმ., მონასტრის დასავლ.-სამხრ.: (რ); სიით 232. იხსენიება 1654 წ., ესამზღვრება ლოლოვანს და თამკრგვალას (სიძე. I—341). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (ზაალიშვილი და ზურაბიშვილი) და 2 გამომღები ყმა. სვ. ზურაბიშვილის სიტყვით კვირაცხოველი ზურაბიშვილის სოფელია, იხ. 1792 წლ. სიგ. (იქვე I—868).

338. კვირიკეთი—ყარაბულალში, ძველი გომარეთის ხევის სათავეში, დიდი გომარეთის ჩრდილ., საკურისის დასავლ. (რ); 1543 წ. ერგო ფარიშატ გერმანოზიშვილს ნახევარი კვირიკეთი (სიძე. I—305); გეოგრ. კვირიკეთში წმ. კვირიკეს ეკლესიაა (გვ. 15).

339. კიანეთი—დბანისის ხეობაში, მაშავერის მარცხენა მხარეზე, ჯალდამის აღმ., ქვეშის დასავლ. (რ); სიით 272. იოს. ქანანაშვილის სიტყვით კიანეთი კნენია მარიამის სოფელია. იხ. 1814 წლ. სიგ. (სიძე. I—411). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 3 მებატონე (ვახუშტი ბატონი შვილი, ზაალიშვილი, ზურაბისშვილი), 1 მემამულე (ახნ. ბაინდურაშვილი), 2 უყმო ახნ. (ყულიაშვილი), 6 გამომღები და 2 ბოგანო ყმა.

340. კიკეთი—ალგეთში, ასურეთის ხევის მარჯვენა მხარეზე, დიდების ს.მ. ხრეთ., კაბენის მონასტრის ჩრდ. (რ); სიით 590. იხს. გეოგრ. (გვ. 174) მის ქვემოთ ქაბენის მონასტერი. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (ავთანდილ სუფრაჯი და აბაშიშვილი დავით) და 14 გამომღები ყმა.

341. კიპრუჭი—დბანისის ხეობაში, ბალიჭის ხევის მარცხენა მხარეზე, ტანძიას ჩრდ., ბოლორკვანტის სამხრ. (რ); სიით 267. 1721 წლ. აღწ. ლოქში (გვ. 221), ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 5 გამომღები და 5 აყრილი ყმა.

342. კიპრუჭი—ქციის ხეობაში, მდ. ფოცხვერიანის მარჯვენა მხარეზე. დიას დასავლ., ფოცხვერიანის აღმ. (რ); სიით 409. ან კიპრუჭს გულისხმობენ 1707 წლ. სიგ. (სიძე. II—174) დ. მე-XVII საუკ. საყაფლანიშვილოს დავთარი, რადგან ორივე საბუთში მოთავსებულია ქციის ხეობის სოფელთა შორის (1707 წ.

სიგელში—ჯანაზიანი, ტანძია, აბანო, მე-XVII საუკ. დავთარში—ჯანაზიანი, ფოცხვერიანი) და გარდა ამისა ძაბილაშვილები და ჩომახიშვილები, რომლებიც იხსენიებიან ამ საბუთებში, 1701/11 და 1721 წლების აღწერებით ქციის ხეობის კიპრუქის მცხოვრებნი არიან. 1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა 5 მემამულე (ჩომახიშვილები, ძაბილაშვილი, დიკანოზისშვილი), და 6 გამომღები ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაელახიშვილები), 6 უყმო აზნ. (მკერველიშვილი, და ჩომახიშვილები), 6 გამომღები, 1 ბოგანო და 1 აყრილი ყმა.

343. კირაკოზას სოფელი—სომხითში, მამხუტის ხევის ორ ტოტ შუა, სოფ. გორუმის სამხრ., ვასაკას ჩრდ. (რ); სიით 55.

344. კირაკოზას სოფელი—სომხითში, ფოლადაურის მარჯვენა მხარეზე, ლურჯი ვანქის აღმ.-სამხრ., შამირზას (შერმაზანას) სოფ. დასავლ. (რ); სიით 88. 1697 წ. ესამზღვრება შამირზას (შერმაზანას) ნასოფლარს (სიძვ. II—91). 1721 წლ. აღწ. სომხითის კირაკოზას სოფელში (გვ. 283) ითვლებოდა 1 მებატონე (აზნ. ეშალაშვილები), 1 დამოუკიდებელი უყმო აზნ. (ეშალაშვილი) და 3 გამომღები ყმა.

გამოურკვეველია, 1721 წლ. აღწ. ცნობა, სომხითის რომელ კირაკოზას სოფელს ეხება—ფოლადაურისას, თუ მამხუტისას.

345. კირაკოზას სოფელი—ყაიყულში. ყაიყულის წყალის მარცხენა მხარეზე, წყაროს სოფ. დასავლ.-სამხრ., ყაზანჩის აღმ.-ჩრდ. (რ); სიით 192.

346. კირაკოზას სოფელი—ყაიყულში, ყაიყულის წყალის მარცხენა მხარეზე, მოლა აბდულას სოფლ. სამხრ., ხუსტა ოღლის სოფლის დასავლ. ჩრდ. (რ); სიით 213. დასტურ. (ს) სამეფო სახასო სოფელი, სამოურაო მანუჩარისა (ყაფლანიშვილისა). გამოურკვეველია, ყაიყულის რომელ კირაკოზას სოფელს გულისხმობს დასტურლამალი.

347. კირკითა—თრიალეთში ბეშქენაშენის ხევის აღმოსავლეთის ტოტის მარცხენა მხარეზე, ლურჯი საყდრის დასავლ., ახალდაბას აღმ, (რ); სიით 503 კირკითა.

348. კისია—თრიალეთში, (§ 55); სიით 474. მოთავსებულია თრიალეთის სოფლებს ნადვალეთსა და ბაბიას შუა.

349. კლდების—ქციის ხეობაში, კლდების ხევის მარჯვენა მხარეზე, ბაბიას აღმ., ქუჯაეთის ჩრდ. (რ); სიით 419. 1543 წ. ერგო ფარიშატ ბარათაშვილს-გერმანოზისშვილს (სიძვ. I—305). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყარაბულახიშვილი), 5 გამომღები და 2 ბოგანო ყმა.

350, 351. კნოლე—კლონეთი—(დასტ. ჟვ) თრიალეთში, ბეშქენაშენის ხევის ტოტებ შუა, კირკითას დასავლ., გოგათგერდის სამხრ. (რ—ორი სოფელი); სიით 495, 496.

352. კობალა—აღვეთში, ლაკვის ხევის მარჯვენა მხარეზე, ვაკეს დასავლ.-სამხრ., ახერისის აღმ.-ჩრდ. (რ); სიით 634. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (ზაზუნაშვილი ბეჟან, თაყაშვილი დემეტრე) და 2 გამომღები ყმა.

353. კოდა—აღვეთში, კოდის წყალის სათავეში, ბორბალას აღმ. (რ); სიით 581 და 582 შუა.

354. კოდის ლილო—მტკვრის გაღმა მხარეს, თბილელის ლილოს საზღვრ, ზაგრატის ლილოს ჩრდ. (რ); სიით იგულისხმება 677—681-ში. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ტვილელი), 5 გამომღები და 1 ბოგანო ყმა. იხილე ლილო.

355. კოჭმანაშენი—ალგეთში (წ 55); სიაში 658, მოთავსებულია ალგეთის სოკულებს არმანეთის, მაწუნარას, შარაბეთსა და საყავრეს შორის.

356. კოია—ალგეთში - ქციის ხეობაში (წ 54). 1543 წ. (სიძე. I—305) ერგო ფარიშატ გერმანოზისშვილს. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (გერმანოზისშვილები) და 2 გამომღები ყმა.

357. კოპანეთი—ქციის და დბანისის ხეობებში—ალგეთში—ყარაბულალში (იხ. წ 59). 1721 წლ. აღწ. მოთავსებულია სამეფო საბარათაშვილოში (გვ. 63), ითვლებოდა 2 მებატონე (იარალაშვილები) და 2 გამომღები ყმა.

358. კოჟორი—ალგეთში, სოლოლაკის ხევის სამხრეთის ტოტის სათავეში, წაეკისის დასავლ., სალორისის აღმ.-ჩრდ. (რ); სიით 593. გეოგრ. (გვ. 70, 174) კოჟორის ციხის ახეულის სამხრით, როსტომ მეფემ ააშენა სასახლე, დაათავეს მეფე გიორგიმ და ვახტანგმა, ზაფხულობით იქ დგებოდენ მეფეები. ნიკოლოზ კათალიკოსს ამილახორს კოჟორში ერთი კარის საყდარი და 1 სასახლე აუშენებია, იხ. 1687 წლ. სიგ. (ისტ. სბ. IV). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (მეფე) და 5 გამომღები ყმა.

359. კოხაჯი—თრიალეთში, კოხტას (კოხის) ხევის მარჯვენა მხარეზე, რეხას აღმ.-სამხრ., თეხის ჩრდ. (რ); სიით 530. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (სე. ბატონიშვილი), 10 გამომღები და 2 ბოგანო ყმა. დასტ. (გვ) ესამხლვრება ცრიცის და ფარეხას. გეოგრ. (გვ. 160) კოჯახი.

360. კოხნარი—კოხრი—ალგეთში (იხ. წ 58). იხსენიება 1591 წ. (სიძე. I—337), 1662 წ. (იქვე I—43) ნასოფლარი, მებატონე გოსტაშაბაშვილი. შესაძლებელია ეს იყოს ის სოფელი, რომელიც 1920 წლ. აღმ. დაყოფ. მოქცეულია მანგლისის რაიონში და რომელსაც ეწოდება „გოხნარა“ (გვ. 55).

361. კოხტა—კოხოტა—ალგეთის მარცხენა მხარეზე, ტამალიას აღმ.-ჩრდ., შარიამის დასავლ. (რ); სიით 483. 1543 წ. ერგო ფარიშატ გერმანოზისშვილს ნასოფლარი კოხტა (სიძე. I—305). 1756 წ. (იქვე I—330) გერმანოზისშვილებს ყავდათ კოხოტაში ყმები. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (გერმანოზისშვილები) და 3 გამომღები ყმა.

362. კრეფა—ქციის ხეობაში, ირაგას ხევის მარცხენა მხარეზე, ვანათის ჩრდ., კუშტის-უბნის სამხრ. (რ); სიით 383. 1536 წ. ერგო იოთამ ბარათაშვილს კრეფა 20 კომლით და ჩალის ციხე (საისტ. მ. 1924 წ. 1). იხსენიება 1699 წ. (ხახ. გუჯრ. გვ. 24), ძვეს „ალგეთის გაღმა“. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (იოთამასშვილები და შერმადინაშვილი), 10 გამომღები და 1 ბოგანო ყმა. სად. დასტ. (იხ) ედვა კრეფას წინწყაროს დედოფლის სამეხრეთოს დამუშავება.

363. კრკონი—დბანისის ხეობაში, ბალიჭის მარჯვენა მხარეზე, კვირაცხოვლის დასავლ., შავგომის აღმ. (რ); სიით 260. იხსენიება 1699 წ. (ხახ. გუჯრ. 24). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილი თამაზი), 6 გამომღები, 2 ბოგანო, 1 აყრილი და 1 ამოწყვეტილი ყმა.

იას. ლორთქიფანიძე—„ქვე-ქართლი“.

364. კრწანისი—ქწანისი — ქციის ხეობაში, ირაგას ხევის და ქივჭივას შუა, სამშვილდეს დასავლ. ჩრდ. (რ); სიით 372. დასტ. (სკბ) სამშვილდის კრწანისს ედვა ყეენის საფეშქაშო 6 მარჩილი. ამას უნდა გულისხმობდეს 1608 წ. სიგ., რომლითაც ებოძა საბარათიანოში ქალაქის ამირთ ამირას გიორგი სააკაძეს სოფ. კრწანისი (სიძვ. II—39). 1721 წლ. აღწ. (ქწანისი) ითვლებოდა 3 მებატონე (ხოსროხანიშვილი, სულეიმანიშვილი და ბურღიაშვილი), 19 გამომღები და 4 ბოგანო ყმა. 1721 წლ. აღწ. ცნობები ეხებთან ქცრის ხეობის კრწანისს, რადგან ისინი მოთავსებული არიან ყოველგან სამშვილდის აღწერასთან.

365. კუკია—თრიალეთში, მდ. ქციის მარცხენა მხარეზე, საბატეს დასავლ., სამეხროვს აღმ. (რ); სიით 523. ედვა ყეენის საფეშქაშო 2 მარჩილი (დასტ. სკბ), ესამზღვრება სამეხროვს (იქვე ჟვ).

366. კუმისი—ალგეთში, გუდელისის ხევის მარჯვენა მხარეზე, კოჟორის ციხის აღმ.-ჩრდ. (რ—ორი სოფელი); სიით 600. გეოგრ. (გვ. 176) კუმისი დიდი დაბაა. იხსენიება 1619—1718 წლ. (სიძვ. II—362, 363, 364, 365, 369, 484), მებატონეები სოლოლაშვილები. 1697 წ. საქუაშვილი ყუდულოძს ხოდაშენს ამირბოქიშვილისაგან (იქვე II—392). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 8 მებატონე (დედოფალი, სოლოლაშვილები), 1 მემამულე აზნ. (დივანიშვილი), 4 უყმობ აზნ. (დათუნაშვილი, იარალაშვილი, ამირბოქიშვილი), 38 გამომღები, 7 ბოგანო და 1 აყრილი ყმა.

367. კურწიკამი—ყარაბულღაში (იხ. § 56). 1721 წლ. აღწ. (გვ. 198) ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 7 გამომღები, 1 ბოგანო და 3 აყრილი ყმა.

368. კუშტის უბანი—ქციის ხეობაში, ირაგას ხევის მარცხენა მხარეზე, ავაზანის სამხრ., ვანათის ჩრდ. (რ); სიით 384.

369. ლაკვა—ალგეთში, ლაკვის ხევის სათავის მარცხენა მხარეზე (რ); სიით 638 და 639 შუა.

370. ლაკლაკაშენი—ლავაღავაშენი—დბანისის ხეობაში, ფინეხაურის უსახელო შემდინარე წყალის მარცხენა მხარეზე, ვარძაგარას აღმ., სიქიშხანის დასავლ. (რ); სიით 312. 1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილი მამუკა) და 14 გამომღები ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 8 გამომღები, 1 ბოგანო და 4 აყრილი ყმა.

370-ა. ლანჩბარი—იხ. ალავეარი, ამიხასლუ, იოლჩიშვილების თაბუნი, ნაჯბადინი, ფათას თაბუნი, ფარჰანლუ ინდოს ნაგები, ქალაქლარი, ფადარალიას თაბუნი, შულავრას ბოლო, ჩალაბლუ (იხ. ელის ტერიტორია § 45 და III ნაწილი). ლანჩბარის მოსახლეობა შედიოდა მდივანბეგის მიერ აღწერილ ელში. დასტ. ნაჩვენებია 182 ლანჩბარი, რომლებიც სთესდენ 438 თალარს და 30 ჩანახს ბრინჯს, აქედან ნდ—თავში იხსენიება 100 ლანჩბარი და 3დ თავში.—82.

371. ლაყვარდი—ტაშირში, ბუზჩაის დასავლ., მისხანას აღმ.-სამხრ., თელას აღმ. (რ); ლაყვარდი, აშენებული სოფელი აიდარბეგის ხეობაში, სამოურაო გივი მდივნისა (დასტ. კე), ედვა ყეენის საფეშქაშო 3 მარჩილი, 2 შაური (იქვე სკბ). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (მეფე), სოფელი ნაოხარი, სამოურაო გივი მდივნისა.

371-ა. ლილო—მტკვრის გაღმა მხარეს; რუკაზე აღნიშნულია: ბაგრატის, თბილელის, კოდის ქვითკირის და შავრობის ლილო.

დასტურლამალში აღნიშნულა მაღალი ლილო, რომელიც ორ სამეფოს საზღვარზეა (თავი ოც) და სააკას ლილო (იქვე სკბ). სიაში ნაჩვენებია 5 ლილო დაუსახელებლათ 677—681. 1721 წლ. აღწ. იხსენიება ბაკრატის, კოდის ქეთიკირის და შავრობის ლილოები. ლილო და მაღალი ლილო ერთი და იგივე უნდა იყოს და ის არ უნდა შედიოდეს სიაში აღნიშნულ 5 ლილოებში, როგორც მდებარე ორ სამეფოს საზღვარზე. სააკას ლილო არც რუკაზე და არც სიაში ნაჩვენები არაა.

372. ლიპარიტის უბანი—ლიპარიტისა—ქციის ხეობაში, ძველი გომარეთის ხევის მარჯვენა მხარეზე, ძველი გომარეთის აღმ. (რ); სიით 369. გეოგრ. (ცვ. 164) იხანეიება ლიპარიტის მონასტერი ქციის ხეობაში. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (იოთამისშვილები) და 1 გამომღებე ყმა.

173. ლიპი—ყარაბულალში, ზურტაკეტის მარჯვენა მხარეზე, შულავრის აღმ.-ჩრდ. ხაპალატევის დასავლ.-სამხრ. (რ); სიით 455.

374. ლიპი—ქციის ხეობაში, ირაგას ხევის მარჯვენა მხარეზე, გვიანის დასავლ., კამარეთის აღმ. (რ); სიით 404.

375. ლიპი.—ქციის ხეობაში, ირაგას ხევის მარცხენა მხარეზე, სამღერეთის აღმ.-სამხრ., ტყემლარას დასავლ. (რ); სიით 385.

375-ა. ლიპი—ქციის ხეობაში, —ყარაბულალში (იხ. § 59). 1523 წლ. ქავთარ ბარათაშვილს შვილებს ყავდათ ყმები. (ქორდ. ქრ. III. 1774 წ. (სიძვ. I—94) დავით სახლთხუცესი ყიდულობს ეშიკაღას ბაში იარაღისაგან სამკვიდრო ლიპს წისქვილით. 1699 წ. (ხახ. გუჯრ. გვ. 24) იხსენიება; როგორც მდებარე „აღგეთის გაღმა“. 1721 წლ. აღწერით ითვლებოდა 4 მებატონე (იარაღიშვილები, ყაფლანიშვილი თამაზ, ყაფლანიშვილი რევაზ), 3 მემამულე (აზნ. ტერტერაშვილები), 16 გამომღები და 1 ბოგანო ყმა. რომელ ლიპს ეხება ეს ცნობები, ყარაბულალის, თუ ქციის ხეობისას, გამოურკვეველია, მხოლოდ იგი-სი არ შეიძლება ეხებოდენ თრიალეთის ლიპებს, რადგან თრიალეთში არც ყაფლანიშვილებს და არც იარაღაშვილებს ყმები არ ყავდათ.

375-ბ. ლიპები თრიალეთში—ბეშქენაშენის ხევის დასავლეთის ტოტის ჭათავეში, მის მარჯვენა მხარეზე, სოფ. ქციის დასავლ., ვარდის უბნის აღმ.-ჩრდ. (რ—სამი სოფელი); სიით 497, 498, 499. 1721 წლ. აღწ. სამი სოფელი:

376. ლიპები—1 მებატონე (მეფე), 5 გამომღები და 3 ბოგანო ყმა.

377. ლიპები კუჭიაშვილისა—1 მებატონე (მეფე), 4 გამომღები და 2 ბოგანო ყმა.

378. ლიპი—1 მებატონე (გოჩაშვილი), 3 გამომღები და 4 ბოგანო ყმა. 1721 წლ. აღწერის ყველა ეს ცნობები თრიალეთის ლიპებს ეხება, რადგან მოთავსებული არიან თრიალეთის სოფლებ შორის (სამეხრეოსა და ერანსა, ახალდაბას და ცარიცს შუა).

379. ლიყურეთი—ქციის ხეობაში, ირაგას და კლდეისის ხეებს შუა, ქუჯაეთის აღმ., ჯვარას დასავლ. (რ); სიით 408. 1634/38 წლ. დავა ყაფლანიშვილისა და გერმანოზიშვილების შორის ლიყურეთის ადგილებზე (სიძვ. II—96). 1690 და 1725 წლ. (იქვე I—359, II—278) იხსენიებიან მოწმეები დეკახოზები.

სვ. ზურაბიშვილის სიტყვით (იხ. 1792 წ. სიგ. იქვე I—368) ლიყურეთი, იარალაშვილის ორი საკომლოს ვარდა, სულ ზურაბიშვილებისაა. 1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მემამულე (საყდარი) და 1 გამომღებო ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 8 მებატონე (ვახუშტი ბატონიშვილი, ზაალიშვილი/ ზურაბიშვილი, იარალაშვილები, ყარაბუღაბიშვილი), 19 გამომღები და 2 ბოგანო ყმა.

380. ლორაშენი—ნორაშენი—დბანისის ხეობაში, ფინეზაურის მარჯვენა მხარეზე, აცუტის აღმ., გუგუთის დასავლ. (რ); სიით 324. 1536 წ. ერგო იოთამ ბარათაშვილს სოფ. ლორაშენი (საისტ. მ. 1924 წ. 1). 1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა ნორაშენში 7 მემამულე (ხანდამაშვილები) და 15 გამომღები ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა ლორაშენში 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 4 მემამულე (ხანდამაშვილები), 3 გამომღები და 2 აყრილი ყმა.

381. ლორე—ქალაქი ტაშირში, ლორის რაიონში (იხ. § 44), დებედას მარცხენა მხარეზე, ტაშირის წყალის და დებედას შესართავთან (რ); ჯავ. რუკ. იქვე ტაშირში, ტაშირის წყალზე. გეოგრ. (140) ციხე და მცირე ქალაქი ორმდინარეს შუა, ქარაფავანის კლდეზე, „აწ უბყრიათ სპარსელებს“. 1651 წ. მეფე როსტომს ლორიდან ეჯიბისშვილები აუყრია და სომხითს დაუსახლებია (სიძე. III—2). ლორის ახპატის სოფელი მეფეს უბოძებია პაპუნა ბეგ ზურაბიშვილისათვის (იხ. 1691 წლ. სიგ. იქვე I—365). 1781 წ. სვ. მაყაშვილს ებოძა ავღაბარში ლორელ მცხოვრებთა გლეხთა და ქალაქში ლორელ აზნაურთა მოურაობა (იქვე II—505).

382. ლოშო—თრიალეთში, ავღაღის და ანტრაფის ხეობებს შუა, ქვემო-ანტრაფის დასავლ., ბოყანოს აღმ.-ჩრდ. (რ); სიით 539. დასტურლ. სამეფო-სახასო სოფელი თრიალეთში, სამოურაო მდივანბეგისა (აზ) ედვა ყეენის საფიშქაშო 5 მარჩილი (იქვე სტბ). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (წალკელი), 4 გამომღები და 1 ბოგანო ყმა.

382.ა. ლოჭინის ხევი—ამანის ხევი—მტკვრის გაღმა მხარეს, ნავთლულის სამხრ., (რ); სიით ლოჭინი 682-ის შემდეგ—1 ობა.

383. ლურჯი ვანჯი—სომხითში, ფოლადაურის მარჯვენა მხარეზე, ფირფიჯანის ჩრდ., სამწევრისის სამხრ. (რ); სიით 87. 1697 წ. ესაზღვრება შამირზას (შერმაზანას) ნასოფლარს (სიძე. II—91). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (ზავრაშვილები), 3 გამომღები და 2 ბოგანო ყმა.

384. ლურჯი საქდარი—თრიალეთში, კირკითას აღმ., საქათმეს დასავლ. (რ); სიით 504.

385. მათიში—სომხითში, ფოლადაურის მარჯვენა მხარეზე. შაინის აღმ., ხინძორკუტის დასავლ. (რ); სიით 94. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (სადუხა) და 6 გამომღები ყმა.

386. მაკვა—დბანისის ხეობაში (იხ. § 56). 1718 წ. მებატონე ყაფლანიშვილები, მემამულე მაჭავარიანი (სიძე. III—177). 1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მემამულე (აზნ. აკამ მაჭავარიანი) და 9 გამომღები ყმა. 1721 წლ. აღწ. დბანისის ხეობაში (გვ. 194) ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 1 მემამულე (აზნ. მაჭავარიანი), 1 გამომღები და 1 ბოგანო ყმა.

387. მამადას თარხანი ელის თაბუნი—იხ. არუხლუ.

288. მამადას ზარგრების—ელის 1 თაბუნი. იხ. ელის ტერიტორია § 45 და III ნაწილი. დასტურ. (ნე)თველებოდა 5 კომლი ელი თარხანი.

389. მამადას შათირას—ელის 1 თაბუნი (იხ. ელის ტერიტორია § 45 და III ნაწილი).

390. მამის დაბა—ალგეთში, დვალთას ხევის სათავეში, ლოლოვნის აღმ.-ჩრდ. (რ); სიით 628. 1721 წლ. აღწ. ითველებოდა 1 მებატონე (სოლოლაშვილი), 1 გამომღები და 1 ბოგანო ყმა.

391. მამუკას თათრები—დბანისის და ქციის ხეობებში (იხ. § 52). 1721 წლ. აღწ. „დაბალში“ (გვ. 175), ითველებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვალი მამუკა), 5 გამომღები და 8 აყრილი ყმა.

392. მამხუტი—სოპხითში, მამხუტის ხევის ორ ტოტ შუა, ყუდროს ჩრდ. (რ); სიით 51. 1651 წ. დონდარ ეჯუბიშვილის მეფე როსტომ უმტკიცებს ნასყიდ მიწებს მამხუტში, რომლის სიგელები დაწვიათ (სიძე. III—2). 1554 წ. ბიძინა სოლოლაშვილს ებოძა მამხუტის ხევის ორივე ტოტის შუა მდებარე ნასოფლარი მასრუტი (იქვე II—374). 1721 წლ. აღწ. ითველებოდა 1 მებატონე (ალიყულიხანი—იესე ბატონიშვილი), 12 გამომღები და 1 ბოგანო ყმა.

393. მანაკერტი—მანავერი—მანავერდი—დბახისის ხეობაში, მაშავერის მარცხენა მხარეზე, ტამალას დასავლ., ყაჯილუხას აღმ. (რ); სიით 282. 1536 წ. ერგო იოთამ ბარათაშვილს ნახევარი მანაკერტი 22 კომლით, საუხუცესო და სასახლე (საისტ. მ. 1924 წ. 1). 1707 წ. ვახუშტი ყაფლანიშვილის საალაპოდ შეაწერეს ორი ძროხა (სიძე. II—174). იხსენიება მე-XVII საუკ. საყაფლანიშვილოს დავთარში. 1701/11 წლ. აღწ. ითველებოდა 2 მემამულე (თათოზაშვილი და ღრეული) და 3 გამომღები ყმა. 1721 წლ. აღწ. ითველებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 3 მემამულე (თათოზაშვილები, ჯანშაშვილი), 12 გამომღები, 5 ბოგანო და 2 აყრილი ყმა.

394. მანგლისი—ალგეთში, მჟავისის და კველთას ხეევს შუა, ერდოს (ედოათის) ჩრდ., თხილოვანას სამხრ. (რ); სიით 646. იხსენიება 1653—1718 წლ. (სიძე. I—313 II—250, ისტ. სბ IV, ხახ. გუჯრ. გვ. 24), ესამზღვრება გუდარებს, ლორისთავს, ორივე ოძისს და კველთას. 1721 წლ. აღწ. ითველებოდა 1 მებატონე (მანგლელი) და 27 გამომღები ყმა. გეოგრ. (გვ. 170) იქვე გუნბათიანი ეკლესია, სადაც კედელზე მამადის ხატია.

395. მანველას სოფელი—მანველას სოფელი—სომხითში, ლოქის მთის ძირს, თალის სოფლ. სამხრ., ლაქვარდის აღმ.-ჩრდ. (რ); სიით მანველა 102.

396. მარაბდა—ალგეთში, მდ. ალგეთის მარცხენა მხარეზე, ასურეთის ხევის აღმ., ჭანდარის დასავლ. (რ); სიით 561. 1536 წ. (საისტ. მ. 1924 წ. 1) ერგო იოთამ ბარათაშვილს სოფ. მარაბდა ორი კომლით. 1543—1775 წლ. (სიძე. I—305, II—159, I—330, 329, 331, 386 II—349 ისტ. სბ V), მებატონე გერმანოზისშვილები, 1543 წ. ნასოფლარი. 1701/11 წლ. აღწ. ითველებოდა 1 მემამულე (ჩაჩიკაშვილი) და 3 გამომღები ყმა. 1721 წლ. აღწ. ითველებოდა 4 მებატონე (გერმანოზისშვილები, ყაფლანიშვილები), 2 მემამულე (აზნ. ჩაჩიკაშვილი) 12 გამომღები, 5 ბოგანო და 1 აყრილი ყმა. ყაფლანიშვილების მემამულე ჩა-

ჩიკაშვილის ყმები 1721 წლ. აღწერაში მოთავსებულია (გვ. 179) დბანისის ხეობაში, რაც შეკდობაა, რადგან მარაბდა მხოლოდ ალგეთში იყო (იხ. § 11) და ამ აღწერის ტერმინოლოგიით „დაბალში“.

397. მარიაში პატარა — მარიაში — ალგეთში, ლაკვის ხევის მარცხენა მხარეზე, საქრისის სამხრ., ერწოს დასავლ. (რ); სიით 639. ამას უნდა გულისხმობდეს 1543 წ. სიგ. (სიძე I—305), რომლითაც ნასოფლარი პატარა მარიაში იერგო ფარიშატ ბარათაშვილს გარმანოზიშვილის, რადგან მეორე სოფელი სახელწოდებით „მარიაში“ გოსტაშაბაშვილების იყო და მდებარეობდა თრიალეთში.

398. მარიაში — მარიაში — თრიალეთში, ქციის მარცხენა მხარეზე, გარყლოფის სამხრ., აბანოს დას. ჩრდ. (რ); სიით მარიაში 482. 1719 წ. სიგ. (სიძე. I—68) მოსამზღვრეა თრიალეთის სოფლის ჩრდილის უბნის, მებატონე გოსტაშაბაშვილი. 1591 წ. (იქვე I—337) ებოძა იოანე ბარათაშვილს ნახევარი მარიაში, 1693 წ. (იქვე I—363) მეფე უთარხნებს პაპუნა გოსტაშაბაშვილს თრიალეთში ნასოფლარ მარიაში. 1713 წ. (იქვე I—303) გოსტაშაბაშვილებს ყავდათ 19 გამოძლები ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (გოსტაშაბაშვილი), 8 გამოძლები და 3 ბოგანო ყმა.

399. მარნეული — ლომთაგორა — ალგეთში, მდ. ალგეთის მარჯვენა მხარეზე, თოფრაცალას დასავლ.-ჩრდ., ღვალოვნას აღმ. (რ); სიით 556. გეოგრ. (გვ. 174) იქ არის ნაციხვარი, კრქნალი, დორანნი, აფთარნი, ამიტომ ეწოდება „ლომთა გორა“. 1706 წ. ესამზღვრება ლოლოვანს (სიძე. I—134). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (შანავახანი), 38 გამოძლები და 20 ბოგანო ყმა.

399.-ა მარქარას სოფელი — ყაიყულში, დასტ. (ს) სამეფო სახასო სოფელი, სამოურაო დურმიშხანისა. (იხ. § 42).

400. მასხუდლუ — ოთარ მდივნის ელის I თაბუნი. იხ. დასტ. (ნდ), ელის ტერიტორია § 45 და III ნაწ., ითვლებოდა 9 კოვლი ელი.

401. მაღალი ლილო — მტკვრის გაღმა მხარეს (რ — ლილო). დასტ. (რც) კახეთის და ქართლის სამზღვარზე. იხ. ლილო.

402. მაღნარი — დბანისის ხეობაში (იხ. § 58). 1727 წ. (სიძე. II—285) ესამზღვრება ჯალდამას, მესეფარიანს და აბულმაგის.

403. მაჩვთა — თრიალეთში, მდ. ხევლრმის მარცხენა მხარეზე, ბოქანოს და სოფ. ხევლრმის აღმ. ოლთისის დასავლ. (რ); სიით 541. სამეფო სახასო სოფელი თრიალეთში, სამოურაო სარდლისა (დასტ. ზხ). ედვა ყენის საფეშქაშო მხარეში (იქვე სკვ). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (მეფე) და 3 გამოძლები ყმა.

404. მაჩქათელა — მაჩქათელა — ყარაბულალში, ზურტაკეტის მარჯვენა მხარეზე, საქეს ჩრდ. (რ); სიით 446. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (აბულაშვილი გივი) და 1 გამოძლები ყმა.

405. მაწევანი — ალგეთში, მდ. ალგეთის მარცხენა მხარეზე, სამებას აღმ. გოლთეთის და წინწყაროს დასავლ. (რ); სიით 567. იხსენიება 1669 წ. (სიძე. I—315) მაწევნური ხევი. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 7 მებატონე (მეფე, საგინაშვილები, სააკაძე ყელგრძელი, აფხაზიშვილი), 1 უყმო აზნ. (ხოჯაშვილი), 9 გამოძლები, 1 ბოგანო და 1 აყრილი ყმა.

406. მიწუნარა—მაწვნარა—ალგეთში, საყაერის ხევის მარცხენა მხარეზე, მანგლისის დასავლ.-ჩრდ. (რ—მაწვნარა); სიით 657.

407. მახალარაჯი ზემო—სომხითში, შულავერის ხევის მარცხენა მხარეზე, ხუცის სოფლის დასავლ.-ჩრდ., დაღარის აღმ. (რ); სიით 24. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ამილახორი), 1 მემამულე, 6 გამომღები და 1 ბოგანო ყმა.

408. მახალარაჯი ქვემო—სომხითში, შულავერის ხევის მარჯვენა მხარეზე, ხუცის სოფლ. ჩრდ., ნაქალაქეყის სამხრ. (რ); სიით 25. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ამილახორი), 1 უყმო აზნ. (ქანანაშვილი) და 12 გამომღები ყმა.

409. მდივანბეგის სოფელი—ტაშირში, ტაშირის წყალის მარცხენა მხარეზე, აზბულახის დასავლ., კარმიქარის აღმ. (რ); სიით 165. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 9 გამომღები და 5 აყრილი. ყმა. 1721 წლ. აღწ. ვარ. აყრილების შესახებ ნათქვამია: „აყრილი ახლა“.

410. მდივანბეგის დაბნეული ელის თაბუნი—იხ. დაბნეული ელი.

411. მეთრევანი—თრიალეთში, საბოზკუროს აღმ., საბროწლეს დასავლ.-სამხრ. (რ); სიით 509. იხსენიება 1678 წ. და 1688 წლ. შემდეგ (ისტ. სბ. IV და უორდანიას „ქართლ-კახეთის მონასტრები და ეკლესიები“, გვ. 227). 1678 მეფე გიორგი სწირავს მეთრევანს მანგლისის ეკლესიას. 1688 წ. შემდეგ მანგლელი აწესებს მეთრევანის საეკლესიო ბეგარას და გამოსაღებს. დასტ. მეთრევანიდან სამადლოსაკენ ქალაქის გზა მიდიოდა (ფე). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (მანგლელი), 3 გამომღები და 1 ბოგანო ყმა.

412. მეთარის დაბნეული ელის თაბუნი—იხ. დაბნეული ელი.

413. მელიქ ბეგის სოფელი—ყაიყულში, ყაიყულის წყალის მარცხენა მხარეზე, ორთლუს დასავლ., ფარემუზას სოფლ. აღმ. (რ); სიით 188. სამეფო სახასო სოფელი თრიალეთში; სამოურაო მანუჩარ ყაფლანიშვილისა (დასტ. ს).

414. მელიქაშენი—სომხითში, დებედას მარცხენა მხარეზე, ტეფურას დასავლ., ხოჯორნიას აღმ. (რ); სიით 2.

415. მენქალისი—მენქალი—ქციის ხეობაში, ირავას ხევის მარჯვენა მხარეზე, მის სათავეში, წობას დასავლ. (რ—შენქალისი); სიით 393. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 3 მებატონე (ბეგაშვილები) და 3 გამომღები ყმა.

416. მერაბ ალას სოფელი—სელიმას სოფელი—ყაიყულში, ყაიყულის წყალის მარჯვენა მხარეზე, მოლა აბდულას სოფლის დასავლ., სატანას სოფლის აღმ. (რ); სიით 209. დასტურლ. (ს) სელიმას სახასო სოფელი, სამოურაო მერაბ ალასი.

417, 418. მერეკანა—თრიალეთში, ქვემო ანტრაფის აღმ., წალკას დასავლ.-სამხრ. (რ—ორი სოფელი); სიით 549, 550. დასტ. ესამზღვრება ქვემო ბ. შ. ქენაშენს და ანტრაფის (ფე). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (შანავაზნანი) და 12 გამომღები ყმა.

419. მთაწმინდა—ქციის ხეობაში, ფოცხვერიანის ხევის სათავეში, აბანოს დასავლ., შოშილეთის აღმ.-სამხრ. (რ); სიით 413. 1634/58 წლ. ყაფლან ერთ-ერთ, პაპუნა და პაატა ბარათაშვილები მეორეს მხრივ, ცილობენ მთაწმინდა-

ზე (სიძვ. II—96). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 3 მებატონე (იარალაშვილები) და 3 ბოგანო ყმა.

420. მთლენავი—ალკეთში—თრიალეთში (იხ. § 59). 1721 წლ. აღწ. მოთავსებულია სამეფო საბარათაშვილოში (გვ. 27). ამ აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ამილახორი) და 2 გამომღები ყმა.

420.-ა მირაან ელის მოსახლეობა—იხ. დურღაია-მირასან.

421. მირაშა—სომხითში (იხ. § 56). 1721 წლ. აღწ. (გვ. 263) ითვლებოდა 2 მებატონე (მელიქიშვილი და ყაფლანიშვილი ლუარსაბ), 7 გამომღები და 2 აყრილი ყმა.

422. მირზა ოღლი მუსტაფას—ელის 1 თაბუნი, იხ. ელის ტერიტორია § 45 და III ნაწილი. დასტ. (ნე). ითვლებოდა 30 კომლი ელი თარხანი.

423. მირის სოფელი—ყაიყულში, ყაიყულის წყალის მარცხენა მხარეზე, შანაზარას სოფლ. აღმ.-სამხრ., დინარიზას ჩრდ. (რ); სიით 179.

424 მირტაშენი—მირტაშენი—მირტარაშენი—ქციის ხეობაში, მდ. ქციის მარჯვენა მხარეზე, ნახიდურის და ბალახაურის დასავლ., იფნობის და ირდასუბნის აღმ. (რ); სიით 359. 1536 წ. ერგო იოთამ ბარათაშვილს. 11 ყმა და აზნ. ჩაჩიკაშვილი 9 კომლით, მიტიჩაური მამული და საბაგი (საისტ. მ. 1924 წ. 1)-1651 წ. უახლბენ ღონდარ ეჯიბიშვილს ჯილდოდ ნაბოძებს ტალავარის ხევის თავს მირტაშენს (სიძვ. II—227). 1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მემამულე (აზნ. ჩაჩიკაშვილები) და 22 გამომღები ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (შერმადინაშვილი, ყაფლანიშვილები), 5 მემამულე (აზნ. ჩაჩიკაშვილები), 17 გამომღები, 7 ბოგანო და 5 აყრილი ყმა. 1721 წლ. აღწ. ვარიანტში მირტაშენის აღწერის ბოლოს ნათქვამია: “აქვე შერმადინიშვილს რომე მისცემია“, ჩამოთვლილია 8 გამომღები ყმა (იხ. § 13).

424.-ა. მისირის სოფელი—ყაიყულში სახასო სოფელი, სამოურაო მზეჭაბუკისა (დასტ. ს). იხ. § 42.

425. მისხანა—დბანისის ხეობაში, ფანეზაურის მარჯვენა მხარეზე, ქედის ეკლესიის აღმ. იალღუზის დასავლ. (რ—ტაშირში, რაც შეცდომაა, იხ. § 60); სიით ლოქში 336. პროფ. ივ. ჯავახ. ისტ. რუკით დბანისის ხეობაში. ასეც უნდა იყოს, რადგან ფინეზაური მთლად დბანისის ხეობაშია, ქედის ეკლესია და იალღუზიც დბანისის ხეობაში არიან.

426. მისხანა—ტაშირში, ტაშირის წყალის მარცხენა მხარეზე, ქელუთის აღმ., ბუზჩაის და ლაქვარდის დასავლ.-სამხრ. (რ); სიით 132. ტაშირის მისხანაში ითხრებოდა ლითონი, სპილენძი მრავალი, მიწა წითელი მაგარი, ელვარე და წმინდა (გეოგრ. გვ. 148).

427. მიჩნაქარი—დიაკვნის ქვა—მინდაქარი—ტაშირში (იხ. § 58). 1721 წ. აღწ. ლოქში (გვ. 222), ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 3 გამომღები, 2 ბოგანო და 4 აყრილი ყმა. ამ სოფელს გულისხმობს სიგელი, რომლითაც 1657 წ. მეფე როსტომი უპყვიდრებს ყაფლან ბარათაშვილს ტაშირის სოფელს სომხურად მინდაქარს ანუ დიაკვნის ქვას. (საისტ. მ. 1924 წ. 1).

428. მიჯა—ყაითმაზინთ მიჯა—დბანისის ხეობაში, მაშავერის მარჯვენა მხარეზე, თეკენანის დასავლ., ზემო მიჯას აღმ. (რ); სიით 293. 1536 წ. (საისტ.

მ. 1924 წ. 1) ერგო იოთამ ზარათაშვილს მიჯაში 17 ყმა (თათარი), იხსენიება XVII საუკ. საყაფლანიშვილოს დავთარში. 1707 წ. ვახუშტი ყაფლანიშვილის საალაპოდ მიჯას და ყადირყულს შეაწერეს ერთი ძროხა (სიძვ. II—174). 1721 წლ. აღწ. მიჯაში ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 6 მემამულე (ყაითმაზაშვილები), 5 გამოძლები, 3 ბოგანო, 5 აყრილი და 1 ამოწყვეტილი ყმა. 1536 წ. სიგელის და მე-XVII საუკ. დავთრის ცნობები ჩვენ მივაკუთნეთ ამ მიჯას, თუმცა ამისი უთუო ცნობა არ მოიპოვება.

429. მიჯა—მიჯარი ზემო—დბანისის ხეობაში, მასვერის მარჯვენა მხარეზე, ავერჯუკის აღძ., ყაითმაზიანთ მიჯას დასავლ. (რ); სიით 294. 1707 წ. (სიძვ. II—177) ვახუშტი ყაფლანიშვილის საალაპოდ მას და მიჯას შეაწერეს 1 ძროხა. 1701/11 წლ. ზემო (მიჯარი) აღწ. ითვლებოდა 13 გამოძლები ყმა. 1701/11 წ. აღწ. ზემო მიჯარი მივიღეთ ყაფლანიშვილების „სახასო“ მიჯად, რადგან იქ მემამულე ყაითმაზაშვილები არ იხსენიებიან. 1721 წლ. აღწ. ზემო მიჯაში ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 1 აყრილი აზნ., 5 გამოძლები, 1 ბოგანო და 1 ამოწყვეტილი ყმა. ვახუშტი ყაფლანიშვილის საალაპოდ ყაითმაზიანთ, მიჯა ორჯერ იხსენიება: ერთხელ ყადირყულთან, მეორეჯერ ზემო მიჯასთან. აქ შეცდომა უნდა იყოს.

430. მლაშე—ალგეთში (იხ. § 59) მებატონეების მელობელობის მიხედვით. 1728 წ. ამილღაბარ გოსტაშაბაშვილი ყრდულობს საგინაშვილისაგან მიწას (სიძვ. I—75).

431. მოლა აბდულას ყასუმას ელი თარხნის თაბუნი—იხ. დემურჩი ასან-ნლუ.

432. მოლა ალიას ელის თარხანის თაბუნი,—იხ. ნაჯბადინი.

433. მოლა ისმაილის ელის თაბუნი,—იხ. ამირ ამადლე.

434. მოლა აბდულას სოფელი—ყაიყულში, ყაიყულის წყალის მარჯვენა მხარეზე, მერაბაღას სოფელ. აღძ., ტაშქორფის დასავლ. (რ); სიით 210.

435. მოლა ფირმამადას თარხანი ელის თაბუნი—იხ. ამირ ამადლე.

436. მოლა აბდულასშვილი მამადას—ელის 1 თაბუნი—იხ. ელის ტერიტორია § 45 და III ნაწილი. დასტურლ. (ნე) ითვლებოდა 25 კომლი ელი თარხანი.

437. მოლი ბაბა ოღლი აბდულ ყასუმას—ელის 1 თაბუნი—იხ. ელის ტერიტორია § 45 და III ნაწილი. დასტურლ. (ნე). ითვლებოდა 10 კომლი ელი თარხანი.

438. მოლაგი—ალგეთში, დვალთას ხევის მარჯვენა მხარეზე, დვალთას დასავლ. (რ); სიით 623. იხსენიება 1583-1753 წლ. (სიძვ. I—37, 338, 345, 303, 146), მებატონეები გოსტაშაბაშვილები. 1713 წ. გოსტაშაბაშვილებს ყავდათ 1 აზნ. (ბერძენიშვილი) 2 ყმით. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (გოსტაშაბაშვილი, ზახუნაშვილი), 2 მემამულე (ბერძენიშვილი, ყიფიანი), 2 გამოძლები და 1 ბოგანო ყმა.

439. მოლა მასხუდის სოფელი—მოლა მასხუდი—დბანისის ხეობაში, ფინეზაურის უსახელო შემდინარე წყლის მარჯვენა მხარეზე, ფარანჯუკის აღმოსავლეთით, ვარძაგარას დასავლ. (რ—მოლა მასხუდი); სიით 315. 1536

ერგო იოთამ ბარათაშვილს ნახევარი მოლა მასხუდუ (საისტ. მ. 1924 წ. 1). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 5 გამომღები, 2 ზოგანო და 12 აყრილი ყმა.

440. მოლა ყასუმის სოფელი—ტაშირში, ტაშირის წყალის მარცხენა მხარეზე, დელიყულიჯანის აღმ., ყამიშის დასავლ. (რ); სიით 147. 1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილი პაპუა) და 9 გამომღები ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 6 გამომღები და 8 აყრილი ყმა. 1721 წლ. აღწ. ვარ-ში აყრილების შესახებ ნათქვამია: „აყრილი ახალი“ (§ 13).

441. მოლა ხანვერდას—„ერთი რიგის“ თაბუნი—იხ. „ერთი რიგის“ ელის თაბუნები.

441.-ა. მოლის ობა—სომხითში, მდ. ქციის მარჯვენა მხარეზე, ყულარების დასავლ.-სამხრ., არქევანის აღმ. (რ); სიით 20 წინ—1 ობა. იხ. ელის ტერიტორია § 45 და III ნაწილი.

441-ბ. მონათის სოფელი—ყაიყულში (იხ. § 42), სამეფო სახასო სოფელი, სა ოურაო ფარასი (დასტ. ს.).

442. მონასტერი—1721 წლ. აღწ. (გვ. 22, 48, 61) დბანისის ხეობაში, კაზრეთის აღმ.-სამხრ., ბაბილაშენის ჩრდ. (რ); სიით 231. 1721 წლ. აღწ. მისი მოსახლეობა შეერთებულია კაზრეთის მოსახლეობასთან (იხ. კაზრეთი). სვ. ზურაბიშვილის სიტყვით (იხ. 1792 წ. სიგ. სიძვ. I—368) ეს სოფელი (მოთავსებულია კაზრეთთან) ზურაბიშვილებისაა.

443. მონასტერი—დბანისის ხეობაში. ბალიქის ხევის სათავეში, დამბლუტის სამხრ. (რ).

444, 445. მონასტერი—ამ სახელწოდებით ქციის ხეობაში, ირაგას ხევის მარჯვენა მხარეზე, ორი სოფელი იყო: ერთი სამღერეთის აღმ., ახალშენის დასავლ. (რ); სიით 400, მეორე ხურუტის ციხის აღმ., ახალუბნის დასავლ. (რ); სიით 401. ერთ-ერთს მათგანს ქვიოდა სამღერეთის მონასტერი (1721 წლ. აღწ.), რუკის მიხედვით სამღერეთის მონასტერი უხდა იყოს ის სოფელი, რომელიც მდებარეობდა ახალშენსა და სამღერეთს შუა. სამღერეთის მონასტერში 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ციციშვილი) და 2 გამომღები ყმა.

446. მონასტერი—ალგეთში მებატონე სოლოლაშვილების მიხედვით (იხ. § 59). იხსენიება 1723 წლ. სიგ. (სიძვ. I—377) და 1721 წლ. აღწ. (გვ. 141, 144). 1723 წ. ებოძა ქაიხოსრო გოსტაშაბაშვილს სოფ. მონასტერში სოლოლაშვილის წილი. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (სოლოლაშვილები), 29 გამომღები და 8 ზოგანო ყმა.

447. მორუტი მურუტი—დბანისის ხეობაში, ფინეზაურის წყალის უსახელო შემდნარე წყლის მარჯვენა მხარეზე, ურუტის სამხრ., ქეთილაშენის (გდალაშენის) ჩრდ. (რ: ტაშირში, რაც შეეცდება, იხ. § 50); სიით ლოქში 342-პროფ. ივ. ჯავახიშვილს. რუკით დბანისის ხეობაში. 1721 წლ. აღწ. დბანისის ხე-

ობაში (გვ. 190). ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 5 გამომღებო და 5 აყრილი ყმა.

448. მოქრისი—მოხისი—ალგეთში, დვალთას ხევის სათავეში, ზემო ოძისის აღმ., მამის-დაბის დასავლ. ჩრდ. (რ); სიით 630. ლალა ფაშის დროს არდაზინდაშვილებს (ყორღანაშვილებს) მეფე სვიმონისგან უშოვითა მოქრისი (ისტ. სბ. IV—1635 წ.). 1654 წ. ყორღანაშვილი მერაბ ყიდულობს იოვანე აფხაზისაგან ყმას, რომელიც სათვანეთიდან აყრილა და მოქრისში დასახლებულა (სიძე. II—375).

449. მოხისი—მახისი—თრიალეთში, კლდეკრას ციხის დასავლ. (რ); სიით 516.

450. მოხისი—ალგეთში, კველეთის ხევის მარცხენა მხარეზე, ხორბუკის დასავლ., თხილოვნის აღმ. (რ); სიით 644. 1524 წ. მეფე დავით-დამიანე სწორავს მცხეთის ეკლესიას სოფ. მოხისს (ისტ. სბ II).

451. მუჯვისი—ალგეთში, მუჯვისის ხევის მარჯვენა მხარეზე, მანგლისის დასავლ. (რ); სიით 652. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (აბაშიშვილი-დავითი, ნოდარ სუჟრაჯი), 2 გამომღები და 2 ბოგანო ყმა.

452. მუგუთი—ქციის ხეობაში, მდ. ქციის მარცხენა მხარეზე, კარას დასავლ., თაფანის აღმ. (რ); სიით 356. 1536 წ. ერგო იოთამ ბარათაშვილს მუგუთში 10 კომლი და აზნ. ჩაჩიკაშვილი 6 კომლით (საისტ. მ. 1924 წ. 1). იხსენიება მე-XVII საუკ. საყაფლანიშვილოს დავთარში, 1694 წ. სიგ. (სიძე. II—164) და 1707 წ. სიგ. (სიძე. II—174, შეცდომით მუგუთი, § 60), როგორც ყაფლანიშვილებია მამული. 1701/11 წლ. აღწერ ითვლებოდა 2 მემამულე (აზნ. ჩაჩიკაშვილები) და 22 გამომღები ყმა; 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 6 მემამულე (აზნ. ჩაჩიკაშვილები), 23 გამომღები, 7 ბოგანო და 2 ამოწყვეტილი ყმა.

453. მუსეფარიანი—მუსეფარი—დბანისის ხეობაში, ჯანაზიანის სამხრ., ჯავშანიანის ჩრდ. (რ); სიით 238. იხსენიება მე-XVII საუკ. საყაფლანიშვილოს დავთარში. 1727 წლ. ესამზღვრება ახალშენს, მალნარს და ჯალდამს (სიძე. II—285), 1707 წლ. ვახუშტი ყაფლანიშვილის სააღაპოდ მუსეფარიანის გლეხებს შეაწერეს 1 ცხვარი (სიძე. II—174). 1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა 9 მემამულე (სახლხუცესი რობინჯანდამაშვილები, საყვარელიძე, გაბაძიძე), 16 გამომღები და 7 ბოგანო ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 6 მემამულე (დორათაშვილები, ხანდამაშვილები, უგანაძე), 26 გამომღები, 6 ბოგანო და 1 ამოწყვეტილი ყმა.

454. მუსიყალა—მუხის ციხე—ყარაბულაღში, ზურტაკეტის მარჯვენა მხარეზე, სარახველას სამხრ., სარკინეთის დასავლ.-სამხრ. (რ); გეოგრ. (გვ. 156) მუხის ციხე—ციხე მაღალი, „კლდის ზღუდით მოზღუდვილი“ 1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილი ერასტი) და 6 გამომღები ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 8 გამომღები და 4 აყრილი ყმა.

455. მუსიყალა პატარა—ყარაბულალში (იხ. § 56). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 4 გამომღები და 2 აყრილი ყმა.

456. მუსტაფას ნაყმევის დაბნეულის ელის—თაბუნი იხ. დაბნეული ელი

557. მუსტაფას ელის 1 თაბუნი—იხ. სარუსაპუნჩი.

458. მუტავისი—მუტაისი—დბანისის ხეობაში, ფინეზაურის მარჯვენა მხარეზე, სიქიშხანის სამხრ., სუგეჩანის აღმ.-ჩრდ. (რ); სიით 319. 1536 წ. ერგო იოთამ ბარათაშვილს მუტაისში 3 კომლი (საისტ. მ. 1924 წ. 1). იხსენიება 1707 წ. მებატონე ყაფლანიშვილები (სიძე. II—174). 1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მემამულე (კობიაშვილი) და 12 გამომღები ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 6 გამომღები და 3 აყრილი ყმა.

458 ა. მულანლუ—მულალუ—ელის მოსახლეობა, იხ. ელის ტერიტორია (§ 45 და III ნაწილი.) დასტ. ითვლებოდა: 1—სეიდ ყასუმა ალი ალას თაბუნი, 62 ელი (ნდ), 2—ალი ოღლი მამადას თაბუნი, 10 კომლი ელი თარხანი (ნე).

459. მუხათი—ალგეთში, ასურეთის ხევის მარცხენა მხარეზე, ბარბალოს სამხრ. (რ—ბუხათი); სიით 577. ჯავახ. რუკ. მუხათ გვერდი. 1558 წ. იესე ყიდულობს თურქისტანისგან მუხათს საზღვრებში: ზემო სოლაღანი, მარაბდა და ტაენაგეთი (სიძე. II—361). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 5 მებატონე (თურქისტანიშვილები), 7 გამომღები და 8 ბოგანო ყმა.

460. მუხათი შ.მბიანისა—ყარაბულალში (იხ. § 56). 1721 წლ. აღწ. ყარაბულალის მუხათში (გვ. 199) ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 9 გამომღები და 9 აყრილი ყმა.

461. მუხრანა—მუხნარი—დბანისის ხეობაში, მაშავერის მარჯვენა მხარეზე, წასიბლუს დასავლ., წყნეთის აღმ. (რ); სიით 216. იხს. მე-XVII საუკ. საყაფლანიშვილოს დავთარში. 1653—1707 წლ. სიგელებით მებატონეებად ყაფლანიშვილებია (სიძე. II—373, 174). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 2 გამომღები და 8 აყრილი ყმა. ყველას ცნობები ჩვენ მივაკუთვნეთ დბანისის მუხრანს, რადგან მოთავსებულია „დაბალში“, ე. ი. ქციის და დბანისის ხეობაში, ქციაში კი მუხრანი არ ყოფილა.

462. მუხრანა—მუხნარი—ყარაბულალში, ზურტაკეტის მარჯვენა მხარეზე, შის და საფიქლის წყალის შესართავის პირდაპირ (რ); სიით 458.

463. მძოვრეთი—ქციის ხეობაში, ორთაშუას აღმ., ჩხიკეთას სამხრ., წინწყაროს დასავლ. (რ—მძოვრეთი); სიით 378 1543 წ. (სიძე. I—305) ერგო ფარიშატ ბარათაშვილს მძოვრეთის 1 კომლი. 1713 (იქვე I—303) გოსტაშაბაშვილებს ყავდათ 1 ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 6 მებატონე (გოსტაშაბაშვილი, საამი და ედიშერ ბარათაშვილები, ნამანგლელევიშვილები, ზაზუნაშვილი, გერმანოზისშვილი, კანკაშვილი თომა), 1 უყმო აზნ. (ბაბუაძე) და 5 გამომღები ყმა. საბუთებში მძოვრეთი და მცოვრეთი ((ოვრეთი) ხშირად არეულია.

464. მწყნეთი—წყნეთა—ტაშირში, ტაშირის წყლის მარცხენა მხარეზე, ჩარდახლუს დასავლ., მდივანბეგის სოფლ. აღმ. (რ); სიით 164. იხს. მე-XVII საუკ. ეს ცნობა მივაკუთვნეთ ტაშირის მწყნეთს, რადგან იქ აზნ. ჩაჩიკაშვილები არ იხ-

სენებიან, აგრეთვე ცნობა 1707 წ. სიგ. (სიძე. II—174); ორივეში მებატონე ყაფლანიშვილებია. 1701/11 წლ. აღწ. (იხ. § 53) ითვლებოდა წყნეთაში 13 გამოძღვნილი ყმა. 1721 წლ. აღწ. ტაშირის მწყნეთში ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 3 გამოძღვნილი, 2 ბოგანო და 6 აყრილი ყმა. 1721 წლ. აღწ. ვარ. აყრილების შესახებ ნათქვამია: „ამ ზამთარს“ (იხ. § 13).

465. მწყნეთი—წყნეთი—დბანისის ხეობაში, მაშავერის მარცხენა მხარეზე, სამტრედოს აღმ., მუხრანას დასავლ. (რ); სიით 217. 1701/11 წლ. აღწ. (იხ. § 53) ითვლებოდა 2 მემამულე (აზნ. ჩაჩიკაშვილები) და 16 გამოძღვნილი ყმა. ეს ცნობა ეხება დბანისის მწყნეთს, რადგან ჩაჩიკაშვილებს დბანისის ხეობაში ყავდათ ყმები, ტაშირში კი არა. 1721 წ. აღწ. (დაბალში) ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), სოფელი აყრილი. ეს ცნობები მივაკუთვნეთ დბანისის მწყნეთს, რადგან მოთავსებულია „დაბალში“, ე. ი. ქციის და დბანისის ხეობაში, ქციაში კი მწყნეთა არ ყოფილა.

გარდა ქვ.-ქართლის ორი მწყნეთის (დბანისის ხეობის და ტაშირის) მოსახლეობისა, 1721 წლ. აღწერაში აღნიშნულია 3 მებატონის (ციციშვილების) ყმები. რიცხვით 17 გამოძღვნილი და 3 ბოგანო. რადგან ციციშვილებს არც ტაშირში და არც დბანისის ხეობაში ყმები არ ყოლიათ, ყავდათ მხოლოდ სკვირეთში. ალგეთში და თრიალეთში, ამიტომ მათი ყმები მოკლედ სადროშოს მწყნეთის მცხოვრებლებად ჩავთვალოთ (იხ. § 47). ეს მწყნეთი მდებარეობდა ტფილისის დასავლ. ჩრდილოეთით.

466. ნაღაზაშვიცი—ქციის ხეობაში, ავახანის აღმოსავლეთით, გუდარეხის დასავლ.-სამხრ. (რ); სიით ჭივჭივას და ირაგას ხეობათა შორის, 381 და 382 შუა. იხსენიება მე-XVII საუკ. საყაფლანიშვილოს დავთარში. გეოგრ. (გვ. 166) იქ იყო თამარ მეფის „ნასახლევი“.

467. ნადვალეთი—თრიალეთში, მდ. ქციის მარჯვენა მხარეზე, მის და კარწახის ხევის შესართავთან (რ); სიით 473. 1721 წლ. აღწ. (გვ. 16) ითვლებოდა 1 მებატონე (შანავაზ ხანი), 4 გამოძღვნილი და 2 ბოგანო ყმა.

468, 469. ნადვალეთი—სომხითში, ფოლადაურის მარცხენა მხარეზე, ზუკრუტის დასავლ., ჯარმეჩის სამხრ. (რ—ორი სოფელი); სიით 118 და 119. დასტ. (რ3ვ) იქ იყო ქორის ბუდე. 1721 წლ. აღწ. ორი სოფელი (გვ. 278): 1) ზემო ნადვალეთში ითვლებოდა 2 მებატონე (თუშმლიშვილები) და 2 გამოძღვნილი ყმა; 2) ნადვალეთში ითვლებოდა 2 მებატონე (თუშმლიშვილები), 9 გამოძღვნილი და 4 ბოგანო ყმა. აღწერაში კიდევ არის განმეორებული „ქვემო ნადვალეთი“, მაგრამ უთუოდ შეცდომაა, რადგან უწერია „არ არი“.

470. ნაზარას სოფელი—ალგეთში, მდ. ალგეთის მარჯვენა მხარეზე, თოფრაყალას აღმ., გულტაფას დასავლ. (რ); სიით 554. გეოგრ. (გვ. 168) ალავარს ქვეით ნაჯაბადინამდე და ეკლესია ნაზარა სოფლამდე სახლობენ ელნი ბაიდარის სულტანისა, რომელიც დაუსახლებია იქ შაცხფის. 1721 წ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ვახუშტო ბატონიშვილი) და 20 გამოძღვნილი ყმა.

471. ნაზარლუ — უსეინასი ელის მოსახლეობა, საფიქრებელია, ალგეთში ნაზარა სოფლის მეზობლად, იხ. ელის ტერიტორია § 45 და III ნაწილი. დასტ. (ნდ) ითვლებოდა 1 თაბუნი, 46 კომლი ელი.

472. ნათლული — მტკვრის გაღმა მარესს, ლოჭინის ხევის მარჯვენა მხარეზე, ხატისას და თელეთების აღმ. (რ); სიით 682. გეოგრ. (გვ. 192). იქ დის ნავთი მტკვრის კიდეს, მხოლოდ წყლის სიახლოვის გამო მრავალი არ იღებს.

473. ნალიბი — თრიალეთში, მოხისის დასავლ.-სამხრ., ჩამძვრალას აღმ.-ჩრდ. (რ); სიით 514.

474. ნაპალატევი — ყარაბულალში, ზურტაკეტის მარჯვენა მხარეზე, ლიპის აღმ., ორომაშენის დასავლ.-ჩრდ. (რ); სიით 449. 1774 წ. (სიძვ. II—94) სახლთხუცესი დავითი ყიდულობს იარაღისაგან ნაპალატევის თავის ქვაბებით, წყალით და წისქვილით.

475. ნარიახ სოფელი — ნარიახ სოფელი — დბანისის ხეობაში (იხ. § 53). 1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა 5 გამოძლები ყმა. 1707 წ. ვახუშტი ყაფლანიშვილის სააღაპოდ შეაწერეს 2 ცხვარი (სიძვ. II—174). ეს სოფელი არ შეიძლება იყოს თრიალეთის ნარიახი, რადგან ყაფლანიშვილებს თრიალეთში ყმები არ ყოლიათ.

476. ნარიახი — თრიალეთში, მდ. ქციის მარჯვენა მხარეზე, ტბის ყურის აღმ.-ჩრდ., ცხვარეთის დასავლ.-სამხრ. (რ); სიით 551-ს შემდეგ. გეოგრ. (გვ. 158) მას გამოუარს მდ. ქცია, ძვეს მეწინავე სასპასპეტოს საზღვარზე.

477. ნასაგური — თრიალეთში — ალგეთში (იხ. § 59). 1721 წლ. აღწ. სამეფო საბარათაშვილოში (გვ. 12), ითვლებოდა 1 მებატონე (შახავაზ ხანი) და 2 გამოძლები ყმა.

478. ნახიბლუ — ელის მოსახლეობა დბანისის ხეობაში, ქციის და მაშავერის შესართავის შუა (რ); სიით 216-ის წინ. დასტ. ითვლებოდა 1 თაბუნი, 27 კომლი ელი, აქედან 16 კომლი ბაზიერი (ნდ, სგ), იხ. ელის ტერიტორია § 45 და III ნაწილი.

478-ა. ნასოფლარები — ყაიყულში. დასტურლ. (ს) ცნობით ყაიყულში, გარდა ყორყორისა, რომელიც შემდეგ ორ სოფლად აშენდა (იხ. § 41), 8 ნასოფლარი იყო იმათგან ორი ანაყიზ ოღლისა და რძიებისა, 6 კი ტბის (გოლის) გარშემო ყოფილან. ვახ. რუკაზე და სიგელებში მხოლოდ 3 ნასოფლარია აღნიშნული (იხ. 479, 480, 481); ანაყიზ ოღლის და რძიების ამსიაში აღნიშნულია თავ-თავის ადგილას (იხ. 31-ა—533-ა). დანარჩენი 3 ნასოფლარი იხ. აქვე 481-ა, ბ, გ.

479. ნასოფლარი — ყაიყულში, ყაიყულის წყალის მარცხენა მხარეზე, ალიხანას სოფლ. დასავლ.-სამხრ., სააკას სოფლის დასავლ. (რ); სიით 183-ს შემდეგ ალიხანას სოფლის წინ.

480. ნასოფლარი — ყაიყულში, დერძი ოღლის სოფლის აღმ.-სამხრ., კირაკოხას სოფლ. დასავლ.-ჩრდ. (რ); სიით 215-ის შემდეგ.

481. ნასოფლარი — ყაიყულში, ყაიყულის წყლის მარჯვენა მხარეზე, ტაშქორდის სამხრ., აშულას სოფლ. ჩრდ.-აღმ. (რ—მარტო ნიშანია ნასოფლარის); სიით 215-ის შემდეგ.

481-ა, 481-ბ, 481-გ. ნასოფლარები — სიაში ყაიყულში (დასტ. ს).

482, 483, 484. **ნასოფლარები**—ტაშირში; სიით 132-ის შემდეგ.

485. **ნასოფლარი**—ტაშირში; სიით 126-ის შემდეგ. ტაშირის ერთს ნასოფლარს შესაძლებელია ქვიოდა „წყლის გაღმა იეჩი“ (იხ.).

486. **ნასოფლარი ჰატარა**—თრიალეთში (იხ. § 57), საბეჭდავის და ბართის საზღვარზე (დასტ. ავ).

487. **ნაქალაქევი**—ყარაბულალში, ზურტაკეტის მარცხენა მხარეზე, რვეაშენის აღმ. სამხრ., ჯაბარყელას დასავლ. (რ); სიით 424. 1543 წ. ერგო ფირიშატ ბარათაშვილს ნასოფლარი ნაქალაქევი (სიძე. 1—305). 1727 წ. მოწმე მღვდელი (იქვე I—247). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (ზაალიშვილი, ყაფლანიშვილი ოთარი), 4 გამომღები და 1 ბოგანო ყმა. 1721 წლ. აღწ. ცნობები ჩვენ მივყუთენეთ ყარაბულალის ნაქალაქეს, რადგან სომხითის ნაქალაქევი ცალკე აღნიშნული აღწერაში, როგორც ვახუშტი ბატონიშვილის სოფელი.

488. **ნაქალაქევი**—სომხითში, შულავერის წყლის მარჯვენა მხარეზე, შულავერის აღმ.-ჩრდ. (რ); სიით 20. გეოგრ. (გვ. 144) ნაქალაქევი შულავერის ბოლოს დიდა შენობები და ფრად დიდი წყარო იყო 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ვახუშტი ბატონიშვილი); 10 გამომღები და 3 ბოგანო ყმა.

489. **ნაქურდევი**—ალგეთში—ქციის ხეობაში (იხ. § 54). 1441 წ. ბატონი ბარათა უბოძებს თევდორე ბუჯელულაშვილს ნაქურდევს, ესამხლერება ურთხნას და დიდ წლებს (სიძე. 1—36). 1724 წ. ამილადბარ გოსტაშაბაშვილი ყიდულობს მანუჩარ ქავთარაშვილს ქალის მარიამისაგან ნაქურდევში ერთ საკომლოს (იქვე 1—73).

490, 491. **ნახიდური**—ქციის ხეობაში, მდ. ქციის ორთავე მხარეზე, ფარიზის დასავლ., ბალახაურის აღმ. (რ—ორი სოფელი); სიით 347, 348. იხსენიება მე XVII საუკ. საყაფლანიშვილოს დავთარში. 1654 წლ. (სიძე. 1—341) ესამხლერება თავზრგვალას. 1696 წ. სადედოფლო ნახიდურის მოურაობა ებოძა პაპუა ორბელიშვილს (იქვე II—220, 221); გამომღმა ნახიდურს ეღვა ყენის საფეშქაშო 4 მინალთუნი (დასტ. სკბ). იგი სადედოფლო სოფელია (სადედ. დასტ. კა, ლკ, მ.). ნახიდურის ქვემო სახლობენ ელნი (გეოგრ. გვ. 168, 178). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა (საფიქრებელია ორივეში) 5 მებატონე (სვიმონ ბატონიშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი, გილაქიშვილი, ყარჩიხაშვილი, დედოფალი), 27 გამომღები და 7 ბოგანო ყმა. იქ ყოფილა 2 მამასახლისი.

492, 493. **ნახშირის გორა**—სეკირეთში, ვერეს ხევის მარცხენა მხარეზე, წყლულეთის აღმოს.-ჩრდ. (რ—ორი სოფელი); სიით 666, 667. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა ორივე (ზემო და ქვემო) ნახშირის გორაში 1 მებატონე (სამი და ედიშერი ბარათაშვილები) და 7 გამომღები ყმა. ცალკე, ქვემო ნახშირის გორაში ითვლებოდა 1 მებატონე (თარხნიშვილები), 4 მემამულე (აზნ. გეთანაშვილები), 2 გამომღები და 1 ბოგანო ყმა.

494. **ნაჯბადინ**—**ნაბადინლუ**—ქციის ხეობაში, ელის მოსახლეობა მდ. ქციის მარცხენა მხარეზე, ბაიდარის აღმ., ხუნანის (ყიზყალას) დასავლ. (რ); სიით

344-ის წინ—2 ობა. დასტ. (ნდ) ნაჯაბადინში ითვლებოდა (იხ. ელის ტერიტორია § 45 და III ნაწილი) 1 თაბუნი, 106 კომლი ელი გამოძღები და მოლა აღიას 1 თაბუნი, 10 კომლი ელი თარხანნი (იქვე, ნე); ითვლებოდა 130 თალარი და 10 ჩანახი ბრინჯი (იქვე, პდ). გეოგრ. (გვ 168) ალავერის ქვემო ნაჯაბადანამდე და ეკლესია-ნაზარას სოფლანდე ესახლენ ბაიდარის სულტანის ელნი მამადიანნი, რომელიც დაუსახნლებია იქ შაი სეფის.

495. ნიაწარი—ყარაბულაღში, ძველი გომარეთის ხევის მარცხენა მხარეზე, საკურისის აღმ., სოფ. ძველი გომარეთის დასავლ. (რ); სიით 422. იხსენიება მებატონეები: 1720 და 1736 წლ. ზაზუნაშვილი (სიძე. I—71, 247 II—346), 1732 წ. თაყაშვილი (იქვე II—323), 1736 წ. ყაფლანიშვილი (იქვე II—346). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 4 მებატონე (გურიელი, ზაზუნაშვილი, თაყაშვილები), 6 გამოძღები და 1 ბოგანო ყმა.

496. ნილოცა—ღბანისის და ქციის ხეობებში, (იხ. § 54). სვიმონ ზურაბისშვილის სიტყვით (იხ. 1792 სიგ. სიძე. I—368) ეს სოფელი ზურაბიშვილებისაა.

497. ნობისა—ღბანისის და ქციის ხეობაში (იხ. § 54). სვიმონ ზურაბიშვილის სიტყვით (იხ. 1792 სიგ. სიძე. I—368) ეს სოფელი ზურაბიშვილებისაა.

498. ნუგზარის სოფელი—სომხითში; მამხუტის ხევის აღმოსავლეთის ტოტის მარჯვენა მხარეზე, კატავეთის დასავლ.-სამხრ., მამხუტის აღმ. (რ—ნუგზარისი); სიით 50. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ამილახორი) და 5 გამოძღები ყმა.

499. ნური აღას თაბუნი—(იხ. ელის ტერიტორია § 45 და III ნაწილი). ითვლებოდა 1 თაბუნი, 30 კომლი ელი თარხანი (დასტ. ნე).

499-ა. ობა—2, ალკეთში, ელის მოსახლეობა სარვანის ჩრდ., კუმისის ტბის აღმ. სამხ. (რ); იხ. ელის ტერიტორია § 45. და III ნაწილი.

500. ოთარ მდივნის დაბნეული ელის თაბუნი—იხ. დაბნეული ელი.

501. ოთურ ბულახი—ოთაურბულახი—ტაშირში, ტაშირის წყალის მარცხენა მხარეზე, ყირბულახის აღმ., ყარაყალას დასავლ. (რ); სიით 133. ოთურბულახი აშენებული (თუ აუშენებული?) სოფელი აიდარბეგის ხეობაში, სამოურაო დარგა ყულისა (დასტ. კე). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (მეფე), ნაოზარი ნასოფლარი.

502. ოლთისი დიდი—ოლთისი ზემო—თრიალეთში, ანტრაპის ხევის მარცხენა მხარეზე, თეთრი წყაროს ჩრდ.-დასავლ. (რ); სიით 545. ოლთისი სახასო სოფელი თრიალეთში, სამოურაო ზურაბ თარხანიშვილისა (დასტ. ახ). ედვა დიდ ოლთისის ყენის საფეშქაშო 6 მარჩილი (იქვე სკბ). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (სულეიმანიშვილი ომანი), 6 გამოძღები და 2 ბოგანო ყმა. დიდი ოლთისი ჩვენ ვუწოდებთ ზემო ოლთისს, როგორც მოსახლეობის, ისე გიდასახადის რაოდენობის გამო.

503. ოლთისი ქვემო—პატარა ოლთისი—თრიალეთში, ხეველრმის ხევის მარჯვენა მხარეზე, მაჩეთას აღმ. (რ); სიით 546. 1654 წ. ოლთისის მოურაობა ებოდა პატარა ჯავახიშვილს (სიძე. II—43). სახასო სოფელი თრიალეთში, სამოურ-

რაო ფალავანდიშვილისა (დასტ. ჰზ); ედვა ყენის საფეშქაშო 4 მარჩილი (იქვე სკბ). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ავალიშვილი) და 3 გამომღები ყმა.

504. **ორთაშუა**—ქციის ხეობაში, გარისის აღმ., მძოვრეთის დასავლ., აბელიას სამხრ. (რ); სიით 377.1656 წ. დაეა გარისელების და ბარათას აზნაურების ორთაშუას საზღვარზე (სიძვ. 11—57). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ნამანგლეღევიშვილები), 1 მემამულე, 1 უყმო აზნ. (ბაკაშვილი), 4 გამომღები და 1 ბოგანო ყმა. ეს ცნობები ჩვენ მიეკუთვნეთ ქციის ორთაშუას, რადგან ნამანგლეღევიშვილებს სომხითში და ყარაბულალში, რადაც იყენენ სოფლები ამ სახელწოდებით, ყმები არ ყოლიათ.

505. **ორთაშუა**—ყარაბულალში (იხ. § 56). 1721 წლ. აღწ. (გვ. 260) ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 2 გამომღები და 5 აყრილი ყმა.

506. **ორთაშუა**—**თრთაშუი**—სომხითში, ფოლადაურის მარცხენა მხარეზე, დამბლუტის დასავლ., დედცნუტის აღმ. (რ); სიით 114. დასტ. (რპვ) იქ ყოფილა ქორის ბუდე. 1721 წლ. აღწ. (გვ. 269) ითვლებოდა 1 მებატონე (გილაქიშვილი) და 9 გამომღები ყმა.

507, 508. **ორთლუ**—ყაიყულში, მელიქ ბეგის სოფლ. აღმ., წყაროს სოფლ. დასავლ. (რ—ორი სოფელი); სიით 189, 190. დასტ. (კე, ჰზ) აშენებული სოფლები ყაიყულში; ზემო ორთლუ, სამოურაო ფირამადასი, ქვემო ორთლუ, სამოურაო ბესპაზ საგინაშვილისა. ამ სოფლებს უნდა გულისხმობდეს სიძვ. 1692 წ. (სიძვ. 11—310), რომლითაც სოფელი ორთლუ მიეცა სამოურაოდ ახმადანამდ ოღლის ყაიყულის სოფლის ბეთლემის მაგიერ.

509, 510. **ორმოზანი**—**ოროზმანი**—**ორზმანა**—დბანისის ხეობაში, მაშავერის სამხრეთის უსახელო ტოტის ორივე მხარეზე, ორმოზანის ტბის დასავლეთით (რ—ორი სოფელი); სიით 287, 288. 1536 წ. ერგო იოთამ ბარათაშვილს ნახევარი ზემო და ქვემო ოროზმანი (საისტ. მ. 1924 წ. 1). იხს. მე-XVII საუკ. საყაფლანიშვილოს დავთარში. გეოგრ. იხსენიება ორმოზანის ტბა (გვ. 150). 1707 წ. ვახუშტი ყაფლანიშვილის სააღაპოდ შეაწერეს გადასახადი (სიძვ. 11—174). 1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა 4 მემამულე (დბანელი, მამასახლისი, ლაზარე დალაქი), 33 გამომღები, 2 ბოგანო, 2 აყრილი ყმა. 1721 წლ. აღწ. (ორი სოფელი) ორივეში ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 1 მემამულე (დბანელი), 12 გამომღები, 9 ბოგანო, 1 აყრილი და 7 ამოწყვეტილი ყმა.

511. **ორმოშენი**—ყარაბულალში, ზურტაქეტის მარჯვენა მხარეზე, ლიპის და ნაპალატევის აღმ., ბახჩალარის დასავლ. (რ); სიით 454. 1721 წ. აღწ. ითვლებოდა 4 მებატონე (იარალაშვილები), 7 გამომღები და 3 ბოგანო ყმა.

512. **ოსკერიჭის სოფელი**—**ოსკიპარა**—**ოქრო მქედლის სოფელი**—ტაშირში, ტაშირის წყალის მარცხენა მხარეზე, ფათალას აღმ., აღტაშის დასავლ. სამხრ. (რ); სიით 129—ოსკიპარა. დასტ. (სკბ.) ოქრომქედლის სოფელს ედვა ყენის საფეშქაშო 4 მინალთუნი. 1721 წლ. აღწ. ოსკერიჭის სოფელში ითვლებოდა 1 მებატონე (მეფე), 9 გამომღები და 3 ბოგანო ყმა. მე-XVII საუკ. საყაფლანიშვილოს დავთარში მოხსენებული ოსკევანის სოფელი არ შეიძლება გულისხმობდეს იას. ლორთქიფანიძე—„ქვ.-ქართლი“

ოსკერიქას სოფელს, რადგან მებატონეები სხვადასხვა არიან: ოსკერიქაში—მეფე, ოსკევანაში—ყაფლანიშვილები.

513. **ოფრეთი**—სომხითში, შულავერის წყალის მარცხენა მხარეზე, წერაქვის სამხრ., ჯილიზას ჩრდ. (რ); სიით 40. დასტ. (სკბ) ედვა ყენის საფეშქაშო 12 მინალთუნი; ედვა აჯილლის ქერი კოდი 30 (იქვე, ი); ოფრეთი სადღეოფლო სოფელია ერთობითა (სადღე. დასტ გ, თ, მ.); გეოგრ. ოფრეთი—მცირე ქალაქი და ციხე, ძვეს გორულის ხევის ქვევით (გვ. 144). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (დედოფალა), 18 გამომღები და 2 ბოგანო ყმა.

514, 515. **ოქსუზი**—ყაიყულში, ყორყორას დასავლ.-სამხრ., ორთლუს ჩრდ. (რ—ორი სოფელი); სიით 197, 198. ოქსუზი ყაიყულის სოფელი, სამოურაო ოთარ ყაფლანიშვილისა (დასტ. ს).

516. **ოშეთი**—ალგეთში, ოშეთის ხევის მარჯვენა მხარეზე, სოფ. ამლივის ჩრდ., ორბეთის ციხის დასავლ. (რ); სიით 616. 1721 წლ. აღწ. ათვლებოდა 4 მებატონე (ნოდარ სუფრაჯი, ავთანდილი სუფრაჯი, აბაშიშვილი დავით და აზნ. მერაბისშვილი ლუარსაბ) და 7 გამომღები ყმა.

517. **ოძისი ზემო**—ალგეთში, ბორცვის ჯვარის დასავლ. (რ); სიით 647. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 4 მებატონე (თარხნიშვილები, თუმანიშვილი მდივანი ოთარი, თაყაშვილი, საამი და ედიშერი ბარათაშვილები) და 11 გამომღები ყმა.

518. **ოძისი ქვემო**—ალგეთში ბორცვის ჯვარის დასავლ.-სამხრ., შარაბეთის აღმ. (რ); სიით 648. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (თარხნიშვილი ლუარსაბ და თუმანიშვილი მდივანი ოთარი), 13 გამომღები და 4 ბოგანო ყმა. 1721 წლ. აღწერაში ცალკე მოხსენებული ოძისი, სადაც ცხოვრობდნენ ლუარსაბ თარხნიშვილის ყმები, ქვემო ოძისად ჩავთვალეთ, თუმცა ამისათვის უთუო საფუძველი არაა.

ქვემო ქართლის ოძისი იხს. 1699 წ. (ხაზ. გუჯრ. გვ. 24), როგორც მდებარე „ალგეთის გაღმა“, რაც შეცდომაა, თუ გეზი ტფილისიდან იყო აღებული. რაც შეეხება სხვა ცნობებს 1588—1712 წლებისას (სიძვ. II—35, 36, 64, 255), გამოურკვეველია, ეხებიან ისინი ქვ.-ქართლის ოძისებს, და რომელს მათგანს, თუ მესამე დროშის ოძისს (გეოგრ. გვ. 216). ამ სიგელებში მებატონეებად იხსენებიან სააკაძეები (1588, 1663 წლ.), ჯავახიშვილი (1590 წ.), სვიმონ ბატონიშვილი (1712).

519. **პაატას სოფელი**—დბანისის ხეობაში (იხ. § 56), 1721 წლ. აღწ. (გვ. 183) ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 1 მემამულე (აზნ. საყვარელიძე) და 1 ბოგანო ყმა.

520, 521. **პალუა**—**პალუაიები**—**პალუყაი**—ტაშირში, ტაშირის წყლის მარცხენა მხარეზე, თელუს სამხრ., იენგიახის აღმ., ქელუთის დასავლ. ჩრდ. (რ); სიით 138. პალუყაის ედვა ყენის საფეშქაშო 6 მინალთუნი (დასტ. სკბ). 1721 წლ. აღწ. ორივე პალუებში ითვლებოდა 1 მებატონე (მეფე), 15 გამომღები და 2 ბოგანო ყმა.

522. **პაპის გორა**—ალგეთში—ქციის ხეობაში (იხ. § 59). 1671 წლ. პაპუნა გოსტაშაბაშვილი უცვლის თაყა ასანბეგისშვილს ენაგეთის ყმებს და პაპის

გორის 5 დღის მიწას ტბისის მამულზე (სიძვ. j—44, 50, 356). 1701 წ. მეფე ნაზარალიხანი ყიდულობს თაყა ბარათაშვილისაგან პაპის გორის გვერდში 4 დღის მიწას (იქვე I—369).

523. **პარიფისი**—**სარაფისი**—**სომხითში**, შულავერის წყალის მარჯვენა მხარეზე, ხორაკეტის აღმ.-ჩრდ., კერატას სამხრ. (რ); სიით 45. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (შანაზარაშვილი), 1 გამომღები და 1 ბოგანო ყმა.

524. **პატივანი**—**პატიმანი**—**პატიმარი**—**ალგეთში**, ლაკვის წყალის და მდ. ალგეთის შესართავთან, ლაკვის წყალის მარჯვენა მხარეზე, (რ); სიით 633. 1728 წ. იესე გოსტაშაბაშვილი ყიდულობს მამად ალა ისპიაშვილისაგან პატივანში სასახლის ორ წილს მამულით, რომელიც ისპია ალას უყიდა დემეტრე თაყაშვილისაგან (სიძვ. I—383). 1733 წ. მედიაშვილს უყიდა თათრიანობის დროს ქაიხოსრო თაყაშვილისაგან სამკვიდრო მამული პატიმანში, რომლის ორი წილი დემეტრე (თაყაშვილს) მიუყიდა იასე ასლანბეგის შვილისათვის (იქვე I—141). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (თაყაშვილები) და 2 გამომღები ყმა.

525. **პირმიწეთი**—**ალგეთში**—**ქციის ხეობაში** (იხ. § 54). იხსენიება 1756 წ. მებატონე გერმანოზის შვილები (სიძვ. I—330).

526. **ჟანგირი**—**სომხითში**, ზუკრუტის აღმ.-სამხრ., ბარნაკარის დასავლ. (რ); სიით 15.

527. **რატევანი**—**დბანისის ხეობაში**, მაშავერის მარცხენა მხარეზე, ყორან-თას დასავლ.-ჩრდ., ქვეშის აღმ. (რ); სიით 223. იხსენიება 1447/59 წ. (ისტ. სბ. III); შვილები მებატონეები 1468 წ. ჯავახიშვილები (სიძვ. II—30), 1746 წ. ქავთარა- (ისტ. სბ. V). 1536 წ. (საისტ. მ. 1924 წ. 1) ერგო იოთამ ბარათაშვილს რატევანი 11 კომლით. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 6 მებატონე (ქავთარაშვილები, იოთამას შვილები, შერმადინაშვილი), 18 გამომღები და 7 ბოგანო ყმა.

528. **რაფაქეთი**—**ქციის ხეობაში**, მდ. ქციის მარცხენა მხარეზე, კამარეთის (შეცდობილი კაზრეთის) დასავლ.-ჩრდ., ბოცოეთის აღმ.-სამხრ. (რ); სიით 406. სვიმონ ზურაბიშვილის სიტყვით რაფაქეთი ეკუთვნის ზურაბიშვილებს (1792 წ. სიძვ. I—3:8). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ზაალიშვილი) და 3 ბოგანო ყმა.

529. **რევაზას სოფელი**—**ყაიყულში**, დევაგოზის ჩრდ., ორთლუს აღმ. (რ); სიით 195.

530. **რევაშენი**—**ყარაბულალში**, ძველი გომარეთის ხევის და ზურტაკეტის შუა, სხალნარის აღმ., ნაქალაქევის დასავლ. (რ); სიით 425. იხს. 1543—1756 წლ. (სიძვ. I—305, 247, 330, 246, 248, II—159, 156.), მებატონეები გერმანოზიშვილები (1543, 1692, 1700, 1756 წლები), ყაფლანიშვილები (1702 წ.). გ. ლარაძის სიტყვით ლარაძეებს ქონდათ ორი ხოდაბუნი რევაშენის თავს (იქვე I—248/1792 წ.). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 3 მებატონე (გერმანოზიშვილები, ყაფლანიშვილი რევაზი), 1 უყმო აზნ. და 4 გამომღები ყმა.

531. 532. **რეხა**—**თრიალეთში**, საპონაურის ხევის მარცხენა მხარეზე, ცრიცის დასავლ.-სამხრ., კოხაჯის დასავლ.-ჩრდ. (რ—**ორი სოფელი**); სიით 534, 535. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა (უთუოდ ორივეში) 3 მებატონე (ციციაშვილები), 19 გამომღები და 4 ბოგანო ყმა, 3 მამასახლისი.

532.ა. რუებზე—ქციის ხეობაში; სიით 344-ს წინ. იხ. ელის ტერიტორი § 45 და III ნაწილი; ითვლებოდა 7 ელის ობა.

533. რუსთავი—ბოსტან ქალაქი—ნაგები—მტკვრის გაღმა მხარეში, საყალტუთის ჩრდ. (რ); იხს. 1722 წლ. გუჯარში (ისტ. სბ. I); გეოგრ. (გვ. 180) ქალაქი და ციხე ააშენა ქართლოსის ცოლმა, შემდეგ თრდატ მეფემ ააშენა მშვენიერო ეკლესია, გურგასლანმა შიგ დასვა ეპისკოპოზი, აოხრდა ბერქა ყენის შემოსვლისას. მე-XVII საუკუნის პირველ ნახევარში აოხრებული იყო. მეფე ერეკლემ ნაზარალიხანმა იქ სასახლე ააშენა; დაანგრია ვახტანგ მეფემ. დასტურლ. (პდ) ინდოს ლანჩბრის თაბუნი თესდა 80 თაღარ ბრინჯს.

533-ა. რძიების ნასოფლარი—ყაიყულში (დასტ. ს), იხ. § 42.

534. სააკას სოფელი—ყაიყულში, ყაიყულის წყლის მარცხენა მხარეზე, ალიხანას სოფლის აღმ.-სამხრ., ფარემუხას სოფლის დასავლ.-ჩრდ. (რ); სიით 185. დასტ. (ს) სააკას სახასო სოფელი ყაიყულში, სამოურაო ალიხანასი.

535. სააკას ლილო—მტკვრის გაღმა მხარეს (იხ. § 57). ედვა ყენის საფეშქაშო 9 აბაზი, მოთავსებულია დიდუბესა და ქვიტკირის ლილოს შუა. (დასტ. სკბ).

536. საბა—სომხითში, ფოლადაურის მარცხენა მხარეზე, დარბაზის აღმ., ურუტის დასავლ. (რ); სიით 111.

537. საბა—საბი—საბას სოფელი—სომხითში, ფოლადაურის მარჯვენა მხარეზე, ხურუტის დასავლ., ჯარმეჩის აღმ. (რ); სიით 99. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (შანაზარაშვილი) და 5 გამომღები ყმა. დასტურლ. (რპვ) იქ ყოფილა ქორის ბუდე. რომელ საბას გულისხმობს 1721 წლ. აღწ., აგრეთვე დასტურლ., გამოურკვეველია.

538, 539. საბატე—თრიალეთში, მდ. ქციის მარცხენა მხარეზე, ერენ თურანის და ბეშქენაშენის ხევის შორის, კუკიის აღმ., ეძანას დასავლ.-ჩრდ. (რ—ორი სოფელი); სიით 487, 488. სახასო სოფელი, სამოურაო მუსხელაშვილისა (დასტ. მზ); ედვა ყენის საფეშქაშო 10 მარჩლი (იქვე, სკბ), ესამზღვრება კიტებს, ორი სოფელი, ერთს ქვია „პატარა“ (იქვე მვ). გეოგრ. (გვ. 160) მის ზეით წალკის ეკლესია. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (მუსხელაშვილი და თურქისტანიშვილი), 17 გამომღები და 7 ბოგანო ყმა, 2 მამასხლისი.

540. საბერეთი—დბანისის ხეობაში, მაშავერის მარცხენა მხარეზე, ღორისთავის აღმ., უშევანის ჩრდ., ყიშლარის დასავლ. (რ); სიით 226.

541. საბეჭდავი—თრიალეთში, ბეშქენაშენის ხევის აღმ. ტოტის მარცხენა მხარეზე, ქვემო კნოლეს აღმ. სამხრ., სამადლოს ჩრდ. (რ); სიით 494. დასტ. (მვ) ესამზღვრება ბარეთს და კნოლეს. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (სულეიმანიშვილი), 9 გამომღები და 2 ბოგანო ყმა.

542. საბოზკურო—საბოზურო—თრიალეთში, ბარეთის ტბის სამხრ., მეთრევანის დასავლ. (რ); სიით 508.

543. საბროწლე—თრიალეთში, ბარეთის ტბის აღმ.-სამხრ., მერთევანის დასავლ. (რ); სიით 510.

544. საბუზარი—ალგეთში, ლაკის წყალის მარჯვენა მხარეზე, ახერისის დასავლ., ზასის აღმ.-სამხრ. (რ); სიით 636. 1543 წ. ერგო ფარიშატ ბარათა-

შეილს ქვემო საბუხარში ერთი ყმა (სიძე. I—305). ცხადია, იყო ზემო საბუხარში. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 5 მებატონე (საამი და ელიშერი ბარათაშვილები, ქავთარაშვილები, გერმანოზიშვილები) და 5 გამომღები ყმა.

544¹. **სადედოფლო ელი**—ალგეთში, ელის მოსახლეობა, (სადედ. დასტ., ლგ) ნახიდურიდან ჯავანშირამდე სადედოფლოა, მისი რაოდენობა გამორკვეული არაა, იხ. ელის ტერიტორია § 45 და III ნაწილი.

545. **სავანლუ**—ელის სოფელი, იხ. ელის ტერიტორია § 45 და III ნაწილი. ითვლებოდა 1 თაბუნი, 18 კომლი ელი (დასტ. ნდ).

546. **სავანეთი**—დბანისის ხეობაში, გეტის წყლის მარცხენა მხარეზე, დამალლოს აღმ., დბანისის დასავლ. (რ); სიით 246. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 5 მებატონე (იარალაშვილები, ყარაბუღახისშვილი), 13 გამომღები და 4 ბოგანო ყმა.

547. **სათვანეთი**—**სთონეთი**—**თორნეთი**—**სთორნეთი**—ალგეთში, დვალთას ხევის მარჯვენა მხარეზე, ბოლრანეთის სამხრ., ხორბუკის აღმ. ჩრდ. (რ); სიით 625. 1635 ს. იხსენიება სთორნეთის მოწმეები (სიძე. სბ IV). 1654 წ. მებატონე აფხაზი (სიძე. II—275); 1717 წ. სააკაძეებს ბახუტას, ივანეს და ნიკოლოზს ებოძა საგინაშვილის ნაქონი 2 კომლი სთორნეთში (იქვე III—176). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 3 მებატონე (ყელგრძელი სააკაძე, აფხაზიშვილი, მანგლელი), 8 გამომღები და 1 ბოგანო ყმა.

548, 549. **საკარისები**—**საკარი**—დბანისის ხეობაში, კეჩუტის ხევის მარჯვენა მხარეზე, მის და მაშავერის შესართავთან (რ—ორი სოფელი); სიით ორი სოფელი 285, 286. 1536 წ. (საისტ. მ. 1924 წ. 1) ერგო იოთამ ბარათაშვილს ნახევარი საკარისი. 1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა (საფიქრებელია ორივეში) 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 1 მემამულე (ავთანდილიშვილი იავანა), 24 გამომღები და 2 ბოგანო ყმა. 1721 წლ. (მოთავსებულთა ყარაბუღალში, შეცდომა იხ. § 11 აღწ.) ორივე საკარისებში ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები) 14 გამომღები და 5 აყრილი ყმა. 1721 წლ. აღწ. ვარ.ში ერთი ყმა „ახალ მოსულთა“ არის აღნიშნული.

550. **საკეცე**—ქციის ხეობაში, მდ. ქციის მარცხენა მხარეზე, ცხნარის დასავლ., ყურის ხევის აღმ. (რ); სიით 367. იხსენიება 1720—1732 წლ. (სიძე. I—71, II—278, 300, 298, 303, 307, 320, 322), მებატონეები: 1720 წ. ზაზუნაშვილი, 1725 თაყაშვილი, 1728—32 წ. ორბელიშვილი, თაყაშვილი, ზუზუნაშვილები, გურიელი. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 5 მებატონე (ზაზუნაშვილები, გურიელი, თაყაშვილები), 4 გამომღები და 1 ბოგანო ყმა.

551. **საკირე**—ტაშირში (იხ. § 53). 1536 წ. (საისტ. მ. 1924 წ. 1) ერგო იოთამ ბარათაშვილს ნახევარი საკირე და საუხუტესო. 1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (ყაფლანიშვილები ლუარსაბი და მამუკა) და 12 გამომღები ყმა.

552. **საკარისი**—ალგეთში მდ. ალგეთის და ლაკვის ხევის შუა, აზიკის აღმ. სამხრ., ფუტრევის (რ); სიით 650.

553. **საკურისი**—ყარაბულალში, ძველი გომარეთის ხევის მარცხენა მხარეზე, ნიაწარის დასავლ., კვირიკეთის აღმ. (რ); სიით 423.

554. **სალამალექი**—დბანასის ხეობაში—ტაშხრში (იხ. § 52). 1721 წლ. აღწ. (გვ. 220) ნაჩვენებია ლოქში. ეგ არ უნდა იყოს 1930 წლ. აღმ. დაყ. (გვ. 38) სალამალექი, რომელიც მოთავსებულია ბაშქიჩეთის რაიონში, ყარაბულალის სასოფლო საბჭოს რაიონში, რადგან ლოქის მთა მეტად დაშორებულია ყარაბულალიდან. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), სოფელი აყრილი. 1721 წლ. ვარ-ში: „იქ სამი კომლი სახლებულია“.

555. **სამაგარა**—დბანასის ხეობაში, მაშავერის მარცხენა მხარეზე, ქარატაკის დასავლ. სამხრ., შინდლარის აღმ. (რ); სიით 306. 1536 წ. (საისტ მ. 1924 წ. 1) ერგო იოთამ ბარათაშვილს სამაგარა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (იოთამისშვილები და შერმადინაშვილი), 3 გამომღები და 5 ბოგანო ყმა.

556. **სამადლო**—თრიალეთში, ბეშქენაშენის ხევის მარცხენა მხარეზე, საბეკდავის სამხრ., ბარეთის ტბის დასავლ. (რ); სიით 493. დასტ. (გვ) ესამზღვრება ბეშქენაშენს, მეთრევენიდან სამადლოსაკენ მიდიოდა ქალაქის გზა. გეოგრ. (გვ. 170) სამადლო ალგეთის ჩრდილო საზღვარზეა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (სულეიმანიშვალი), 4 გამომღები და 1 ბოგანო ყმა.

557. **სამაჩვეთი**—ალგეთში, ასურეთის ხევის მარცხენა მხარეზე, ბოგვის აღმ., ტაგნაგეთის დასავლ. (რ); სიით 586. იხს. 1661—1655 (II—378, 380), როგორც მოსამზღვრე სოფ. ასურეთის, 1784—1789 წლ. (ისტ. სბ V) როგორც იარალაშვილების სოფელი. მეფე ერეკლე ირალი ირალაშვილის სულის მოსახსენიებლათ სწირავს ნათლისმცემლის მონასტერს იარალაშვილების სამაჩვეთის მესამედს. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 4 მებატონე (იარალაშვილები), 1 მემამულე (აძნ. ეგრისელაშვილი), 17 გამომღები და 16 ბოგანო ყმა.

558. **სამება**—სომხითში ტალავერის და მამხუტის ხევებს შუა, ყუდროს დასავლ., ჩოჩხობანის ჩრდ. (რ); სიით 57.

559. **სამება**—ალგეთში, მდ. ალგეთის მარჯვენა მხარეზე, საწურბლეს დასავლ., ჩხიკეთას აღმ.-სამხრ. (რ); სიით 569.

560. **სამეხრეო**—**სამესრეო**—თრიალეთში, მდ. ქციის მარცხენა მხარეზე, ფარების აღმ., კუკიას დასავლ. (რ—ორი სოფელი); სიით 524, 525. სახასო სოფელი თრიალეთში, სამოურაო ოთარ მდივნისა (დასტ. გზ), ედვა ყეენის საფეშქაშო 11 მარჩილი (იქვე, სკბ). 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (მეფე), 13 გამომღები და 5 ბოგანო ყმა.

562, 563. **სამსონი**—სომხითში, ფოლადაურის მარცხენა მხარეზე, აკუტის დასავლ., აკოფას სოფლის აღმ. (რ—ორი სოფელი); სიით 106, 107. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (შანშიაშვილები: პაპიაშვილები, დოღმაზაშვილები, ნაზარა), 1 გამომღები და 1 ბოგანო ყმა.

564. **სამტრედო**—**სატრედო**—დბანასის ხეობაში, მაშავერის მარცხენა მხარეზე, ძწყნეთის დასავლ., ყორანთას და ველკეთის აღმ. (რ); სიით 218, გეოგრ. (გვ. 154) სამტრედოსთან მაშავერზე ქვიტკირის ხიდი იყო შკიდი თვალით. ეს ხიდი რუკაზედაც არის ნაჩვენები. მებატონებად იხსენებიან: 1587 წ.

(ისტ. სბ. II) ერაჯი ბარათაშვილი, 1718 წ. (სიძვ. II—176, 483) გიორგი ბატონიშვილი, ყაფლანიშვილები, საამი და ედიშერი ბარათაშვილები, 1729 წ. (იქვე — 303) ზაზუნაშვილი და ყაფლანიშვილები, 1736 წ. (იქვე 342) გიორგი ბატონიშვილი და ყაფლანიშვილები. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილი ერასტი), 2 გამომღები და 8 აყრილი ყმა.

565. **სამღერეთი**—ქციის ხეობაში, ირაგას ხევის მარჯვენა მხარეზე, კუშტის უბნის დასავლ., ლიპის აღმ. (რ); სიით 402 სალირაშენი, რაც შეცდომაა, იხ. § 60. იხსენიება 1580, 1643 წლ. (სიძვ. III—162, II—47), მებატონეები სააკაძეები. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 10 მებატონე (ციციშვილები, შალიკაშვილი ნაზირი ედიშერი, მუსხელაშვილები, დოლენჯიშვილები, მანგლელი, ქავთარაშვილები), 42 გამომღები და 7 ბოგანო ყმა.

566. **სამშვილდე**—**ორბეთი**—ქციის ხეობაში, კიეჭივას მარჯვენა მხარეზე, თაფანის დასავლ., კრწანისის აღმ.-სამხრ. (რ); სიით 371. იხსენიება 1466/72 და 1582 წლ. (ისტ. სბ. III, და II), ესამზღვრება ველკეთის. ედვა ყენის საფეშქაშო 6 აბაზი (დასტ. სკბ). მეზობლად მდებარე კრწანისს ეწოდა „სამშვილდის კრწანისი“ (იქვე). გეოგრ. (გვ. 166) სამშვილდე, ანუ ორბეთი ააშენა მეფე ფარნავაზმა, იყო საერისთავო ქალაქი მეფე სვიმონამდე, ქალაქი ფრიად მაგარი ზღუდე დიდი ლოდებით შემოვლებული, ეკლესია ააშენა მირდატმა, შემუსრათემურმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 3 მებატონე (ხოსროხანიშვილი, სულეიმანიშვილი, ბურღიაშვილი), 22 გამომღები და 6 ბოგანო ყმა.

567. **სამწვერისი**—**სიმწვერისი**—სომხითში, ფოლადაურის მარჯვენა მხარეზე, ბერდიკის აღმ., ლურჯი ვანქის ჩრდ. (რ); სიით 85. იხსენიება 1670—1716 წლ. (სიძვ. I—250, 254, 256, 257), მებატონე შანშიაშვილი და იალიკაშვილი. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (შანავახანი და შანშიაშვილი), 29 გამომღები და 12 ბოგანო ყმა.

568, 569. **სანაინი**—ბერდუჯის მხარეში (იხ. § 44), დებედას მარჯვენა მხარეზე, ახბატის დასავლ. (რ—ერთი სოფელი); სიით ორი სოფელი 16, 17, მებატონე არლუთაშვილები. რუკით სომხითში, უთუოდ, მიტომ რომ, სოფელი და ეკლესია ეკუთვნოდა სომხებს (გეოგრ. გვ. 138).

570. **საპიტიახლო**—თრიალეთში, მდ. ქციის მარჯვენა მხარეზე, საპონაურის და ცხვარეთის ხეების პირდაპირ (რ); სიით 537.

571. **საპონაური**—თრიალეთში, საპონაურის ხევის მარცხენა მხარეზე, ცხვარეთის აღმ.-ჩრდ. (რ); სიით 532. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (ციციშვილები), 5 გამომღები და 1 ბოგანო ყმა.

572. **სარეხველა**—**სარახველა**—ყარაბულალში, ზურტაკეტის მარცხენა მხარეზე, სარკინეთის დასავლ. (რ); სიით 460. იხსენიება მე-XVII საუკ. საყაფლანიშვილოს დავთარში. 1701/11 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილი ლუარსაბი), 1 მემამულე (ღრეული კაცია) და 4 გამომღები ყმა. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილები), 4 გამომღები და 6 ბოგანო ყმა.

573. **სარაჯლო**—**ყარაჯლო**—ემინას ელის თაბუნი, სომხითში, შულავრის ჩრდ.-დასავლ. (თან. რ.—სარაჩლო); დასტ. (ნდ) ითვლებოდა 1 თაბუნი, 94 კომლი, იხ. III ნაწილი.

574. **სარვანი**—**სარვანები**—ელის სოფელი ალგეთში, ღვინჭრობის აღმ., საყალბუთნის ჩრდ. (რ); სიით 552-ის წინ 1 ობა. (იხ. III ნაწილი) დასტ. (ნდ) სარვანები. ითვლებოდა 1 თაბუნი, 43 კომლი. 1802 წ. (სიძვ. I—402) მოურავი დათუა გოსტაშაბაშვილი.

575. **სარკინეთი**—თრიალეთში, აბანოს ხევის სადინთან, ჩრდილის უბნის აღმ.-ჩრდ., ხორხების დასავლ. (რ); სიით 480. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე (ყარაბუღახისშვილები), 4 გამომღები და 1 ბოგანო ყმა. ეს ცნობები მიეკუთვნეთ თრიალეთის სარკინეთს, რადგან ყარაბუღახისშვილებს ყარაბუღალში, სადაც იყო ამ სახელწოდების სოფელი, სრულიათ არ ყავდათ ყმები, ხოლო სომხეთში, სადაც იყო ამგვარივე სოფელი, ყავდათ მხოლოდ „გაცემული“ ყმები. (იხ. IV ნაწილი).

